



# ილორი

www.ilori.ge

E-mail: r.jalagania@mail.ru



№215 (274) 9-16 აპრილი 2013 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო 30 თემი

## სამეგრელო ღირსეულად უნდა იყოს წარმოდგენილი საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში!



### გთავაზობთ ინტერვიუს ანაკლიის მკვიდრთან, ცნობილ ექიმთან ბატონ ელგუჯა მსარტიასთან.

ელგუჯა ბრძოლის ძე მსარტია, დაბადებული 1954 წელს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში. 1971 წელს დაამთავრა სოხუმის მე-6 საშუალო სკოლა. 1972 წელს ჩაირიცხა უკრაინის ქალაქ ივანო-ფრანკისკის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1978 წელს. 1978-79 წლებში გაიარა ინტერნატურა ქალაქ ვიტომიროს ბოგუნსკის რაიონის საავადმყოფოში. 1980 წლიდან ექიმ-თერაპევტად მუშაობდა გაგრის საავადმყოფოში. კვალიფიკაცია გაიარა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში. 1983-85 წლებში მუშაობდა გაგრის საქალაქო პოლიკლინიკის უბნის თერაპევტად, 1985 წელს კი გადავიდა ზუგდიდში. 1987 წელს დააფუძნა სამეურნეო ანგარიშზე მოქმედი ანაკლიის კლიმატო-ბალნეოლოგიური ცენტრი კარდულოლოგიური პროფილით, რომელიც იმ დროს, ერთ-ერთი პირველი, თვითდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულება იყო საქართველოში და 1990 წლის ბოლომდე იყო მისი მთავარი ექიმი. შემდეგ კი იყო ანაკლიის და სოფელ ერგეთის საექიმო ამბულატორიის გამგე, სადაც დღემდე აგრძელებს სანახევროდ მუშაობას. 2002-2006 წლებში იყო ანაკლიის გამგებელი, მაგრამ ერთი წუთითაც არ მიუტოვებია თავისი პროფესიული მოღვაწეობა. გააჩნია კარდოლოგიური პროფილის სამი სამედიცინო ნაშრომი.

### ჟეკის მუღღი და ორი შვილი.

ამ მცირე შესავლის შემდეგ, უმჯობესია ბატონ ელგუჯას მივუხმობთ: ჟეკი იყო, პიპოკრატეს ფიცი მაქვს დადებული და, ადამიანურ გულმორწყალებს რომ თავი გაგანებოთ, სწორედ ეს ფიცი მაგაღებდა, რომ ერთნაირი რეზულტებით გაეწყო დახმარების ხელი ნებისმიერ გასაჭირში ჩავარდნილ ადამიანს, რომელ პოლიტიკურ პარტიას, რელიგიურ მიმდინარეობას ან ეთნიკურ ჯგუფსაც არ უნდა მიეკუთვნებოდა.

ჩემი მშობლებიც ექიმები იყვნენ. 1938 წელს ისინი პირველები ავიდნენ ბენში და სამედიცინო სამსახურის ნაჟარეს საფუძველი, სადაც 1940 წლის ბოლომდე ერთ-ერთად ემსახურებოდნენ ავგილობრივ მოსახლეობას. 1941 წლის დასაწყისიდან დაბრუნდნენ ანაკლიაში და სიცოცხლის ბოლომდე უერთგულად საყვარელ პროფესიას და ხალხს. აქედან მოყოლებული, ენგურს გადმა საქართველო - აფხაზეთი და აფხაზეთი, სადაც მათ რეგულარულად უხდებოდა პროფესიული საქმიანობა, კარგად იცნობდნენ ესპანეთის ოჯახს.

### როგორც დიდი კონსტანტინე ამბობს - „ბებრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ“.

კარგად მახსოვს, აფხაზეთში 1992-93 წლების თავსმოხვეული ომი ახალი დამთავრებული იყო, ათასი ჯურის შეიარაღებული ხალხი ირრავა იქამად სამეგრელოში, რომელთაც ადამიანის ცხოვრება ჩირადაც კი არ უღირდა.

სწორედ ასეთ მძიმე კამს, შუაღამით გადმოვხედი აფხაზეთს აღივლებდი ენგური და კარებზე მომიკაკუნა, იმის თხოვნით, რომ თანამირემო მისი მძიმედ დაკრული მძაღლაძერჩინა. გასაკვირი არაა, არაფერი ყოფილა ჩემთვის, რადგან ჭეშმარიტ აფხაზს თავისი მეგობრისა და ახლობლის სიც-

ოცხლე ბევრად უფრო ძვირად უღირს, ვიდრე საკუთარი!

ჩემად, ღამის მუცელზე ხოხვით გადავლახეთ პირობითი სახლვარი. სიმართლე გითხრა, აფხაზეთზე მეტად ქართველი მესახლდრეკების მეშინოდა, რადგან შევარდნაძე-სახელწიქულის ხელისუფლება და მისი ყანადები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ პირადი ურთიერთობები არ აღმსდგარიყო ქართველებსა და აფხაზებს შორის (იგი საგანგებოდ დაიბაძა და დროებით გაქვდა სააკაშვილის კრიმინალური მთავრობის ხელში), რაც წარმატებული სახალხო დიპლომატიის უტყუარი შედეგად გახლავთ.

გამოთეხისას, როგორც იქნა, თანამირემო ჩავაღწიეთ. ყოველნაირი პირველადი სამედიცინო ზომა მივიღე ავადმყოფის გადასარჩენად. პრეკარატებიც და გადასახვევი მასალაც დაუტოვე და მასინძის მიერ შემოთავაზებულ გასამრჯელოზე კატეგორიული უარი განვიცხადე. ახლაც თვალწინ მდგას სისარულის ელდისაგან გაორგებული აფხაზის სახე. უკან წამოსახველად რომ გავემხადე, აფხაზმა მითხრა: - ბატონო პურ-მარილი გაუმალე თქვენს პარტიკულარულ და უარს თუ მეტყვით, სჯობია აქვე მომკვლით, - და თან გადატენილი ავტომობილი გამომიწვია.

უარი ვეღარ ვუთხარი, რადგან პურ-მარილზე უარის თქმა აფხაზ მასინძისათვის ყველაზე მძიმე შეურაცხყოფაა. სახელდახელოდ გაშლილ აფხაზურ სუფრას მიუხედავად. სადღეგრძელოებზე ბევრად მეტი წვევლა-კრულვა გამოვვიყენე იმ ავად-სახსენებელი პოლიტიკოსების მიმართ, ვინც აფხაზ და ქართველ ხალხს თავს მოახვია ეს მძამაკელი ომი. ახლაც კი, როცა სიტუაცია შედარებით დამშვიდებულია და მეტი დაფიქრების დრო და საშუალება გაგვანია, ის აფხაზი და მისი ერთ დროს მძიმედ დატრიალი სახლიკაცი ჩემს მძაღლაფიცვად მიმინევებს თავს და ხშირად მიუთხოვს ხოლმე ერთმანეთს.

ამ შემთხვევამ გადაგვალახინა ერთ-მანეთისადმი შიშის და უნდობლობის ბარიერი და ენგურს გადმოდან სამედიცინო დახმარებისათვის სტუმრობა ჩვეულებრივი ამბავი გახდა ჩემს ოჯახში.

მალე ჩემი ბიძაშვილი, ცნობილი ქირურგი რევაზ ესარტია შემოგვიერთდა, რომელიც ასევე ხშირი სტუმარი იყო აფხაზეთში. რითი არ გვიოვლა პაციენტადლე - ფეხით, ცხენით, დროებით, ხანდისხან მანქანითაც...

რევაზი, შეიძლება ითქვას, სასწაულებს ახდენდა - პირდაპირ სასადილო მაგიდაზე წამოაწვენდა ავადმყოფს და ოპერაციას ისე უკეთებდა. ბუნდური იყო მაშინ, თუ ეს სასადილო მაგიდა პაციენტის სივრცის აღმონდობდა.

სამწუხაროდ, თვითონ რევაზს უმუხტლა ჯანმრთელობამ, საკამოდ ახლავარდულ ახაკში უკურნებელი სენით გარდაიცვალა. გვიან გაიგეს აფხაზეთში რევაზის სიკვდილი, რაც მართებულად გვისაყვედურეს! მაგრამ, საოცარი და გულის ამანუყებელი, ანაკლიაში აფხაზეთიდან ჩამოტანილი ამბავი აღმოჩნდა - მადლიერმა აფხაზმა მძებმა საგანგებო სურვა გაუშალეს რევაზ ესარტიას, თურმე, და ასე მიაგეს პატივი მისი სახელის ხსოვნას!

2004 წლიდან, სააკაშვილის და მისი ნაც-მომარობის, სახელმწიფო სათავეში მოსვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა სიტუაცია აფხაზეთთან მიმართებაში. ურთიერთობა არ გაწვევტილა, მაგრამ ორივე მხარე, აფხაზური და ქართული, ორმაგად დაიბაძული ვიყავით,

ნორმალური ადამიანისათვის წარმოუდგენელი პროვოკაციის მოლოდინში. ჩვენთვის ცხადი გახდა, საკუთარი მთავრობა, მისი პირველი კაცის თამაობით ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ერთმანეთთან არ მიუსულებიყავით და საყოველთაოდ ცნობილი სახალხო დიპლომატია არ ამუშავებულყო!

ამის შემდეგაც ხშირად გადავუყვანივართ აფხაზებს ენგურს გადმა, საკუთარი ოჯახის წევრების საშველად. იცოდნენ რა ჩემი სეკტიკური დამოკიდებულების თაობაზე სააკაშვილის ნაციონალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში, არც თუ ხუმრობით მუშენობდნენ: თუ საქართველოში გაგვიტრდეს, ჩვენთან წამოდი აფხაზეთში ოჯახის წევრებიანად და თვალის ჩინებით მოვივლით. ამრიგად, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აფხაზეთი ჩემი მეორე სამშობლოა!

საქართველოსთვის, 2008 წელს განაღებული მოღალატური ომის შემდეგ უცილებლად გამოფორდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე გაყოლებულ სასახლვრო ზოლზე მდგომარეობა, რადგან ამ ზოლზე აფხაზთა გაგლენა საგრძობლად შემცირდა. მაშინ, როცა თითქმის გადაწურულად მიგვანდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივა, ეტყობა აფხაზებსა და ჩვენს შორის მდგარი მესახლდრეკების სულში მანც იმდავარა ქრისტიანულმა საწესმა და, როცა მორიგ „გამომახებაზე“ მიმავალი მივადგებოდით ენგურის მეორე ნაპირს, როგორც კი მივადგებდნენ, ექიმი მოდიდა, მაშინვე თავახიანად მოგვმართავდნენ: „**Ради Бога, ешайте, доктор!**“

როგორ გვინათ, ასეთი ადამიანები, რომელთათვისაც მეორე სიცოცხლე გვირუქნია, როდისმე უარს იტყვიან ჩვენთან მეგობრობასა და თანაცხოვრებაზე?

„**სახალხო დიპლომატია**“ - რომელსაც ისტორიულად მოტევე ქვეყნებს შორისაც კი ურთიერთობის დალაგება შეუძლია, განა სხვა რამეა?

ქართველებსა და აფხაზებს რომ ერთმანეთის გარდა სხვა პატრონი და ხელშემწი არავინ გაგვანია, განვიღმამოცმა წელიწადში თვალნათლივ დაგვანახა და კარგად ვიცით!

მითხარი, ახლა, შეიძლება ჩემი მხრიდან მათადმი დალატი?

როგორც მეგრელები ამბობენ, ამაზე ფიქრიც კი „**გაშინებენ!**“

სად ის, როცა თანამდებობრივად გვევლება რაღაც საქმის აღსრულება და, სად ის, როცა ამ დავლების აღსრულებას წინაპარა სულელი ვაგვლებს...

დიდი განსხვავებაა ამ ომ მცნებას შორის - ფუნქციონალური ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის თავის მართებისთვის მრავალი მიზეზის მოყვანა შეიძლება (რასაც ყოველთვის „**ხეჩებდნენ**“ შევარდნაძე-სახელწიქულის, მისი შვილობილი მის სააკაშვილად და მათი ბანდის წევრები), წინაპართა ანდერძის აღსრულებლობისათვის კი დღვის სამსჯავროს წინაშე მოიწვევს წარსდრობა, სადაც თავს ვერაგზით ვერ გაიმართლებ!

ნებისმიერი საქმის ჩავარდნის პირველი ვარიანტი მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელით თუ შემოიფარგლება, მეორე ვარიანტი კი მძიმე სულიერ ტვირთს უქადის ადამიანს, რაც აიძულებს მას, რომ ბოლომდე დაიხარჯოს, წინაპართა ნების აღსრულებისათვის უმძიმეს ჯაფა გასწიოს და, თუ ეს საჭირო გახდება, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასდაც კი მიადწიოს საწადელს!

წინაპარი და მათ მიერ დამკვიდრებული ტრადიცია კი იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ძალადობით ჩამოატრეს ჩვენს სამშობლოს, მხოლოდ იქ დაბადებულს და გახრდილს თუ გაახსენდება და პასუხისმგებლობას აღუტრავს მათი წმინდა სულების წინაშე. მხოლოდ გასხვისებულ ტერიტორიაზე დაბადებულს და ფხადმულ ქართველს არ დააძინებს უპატრონოდ მიტოვებულ საფლავებზე ფიქრი, რომელსაც უმეტესწილად, მაგნათვან მტრებად გამოცხადებული, აფხაზები და ოსები უვლიან.

ყოველივე ამ ჭეშმარიტების ფონზე, ჩვენამდე მოსული ხმები, ბატონი ალექსანდრე ჭაჭიას შესაძლო პრეზიდენტობის შესახებ, ტერიტორიულ-სამართლებრივი საქართველოს კვლავ ერთ ოჯახად შეკერის რეალურ იმედად მიგვანია!

იქნება, რაც გინდა „**ვერო-ამერიკული ე.წ. დემოკრატიის**“ შარავანდელით შევოსოთ იგი!

აი, რა განსხვავება იქნება ბატონი ალექსანდრეს პასუხისმგებლობასა და ნებისმიერი სხვა პოლიტიკოსის პასუხისმგებლობას შორის, თუ დღის წესრიგში მათ შორის საქართველოს პრეზიდენტად არჩევანის გაკეთების საკითხი დადგება!

ნუთუ ეს არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ ქართველი ადამიანი ამჯერად მაინც დაფიქრდეს და ქვეყნისათვის სასარგებლო არჩევანი გააკეთოს?

ნუთუ არ დადგა დრო, რომ რეალურად შევფასოთ საქართველოსაგან ჩამოცოცხლებულ რეგიონებში შექმნილი სიტუაცია და აფხაზების პატივისცემა სამეგრელოს, მეგრელებისა და მეგრული ენის მიმართ არ შევფასოთ სეპარატისმის განვითარების ესკალაციად?

ქართველებს, აფხაზებისა და ოსების ერთად ყოფნა-არყოფნის საკითხი თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში უნდა გადაწყდეს და არა ენგურში, ან თუნდაც ვაშინგტონში!

ისე ნუ ჩამოთვლით, რომ კუთხურ ინტერესს ვაუღრებ, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მსგავს ქვეყანაში რეგიონალური პარტიკული აუცილებლად უნდა იყოს დაცული, მაშინ აუცილებელია, რომ საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში იყოს თუნდაც ერთი მეგრული, როგორც უდიდესი კუთხის წარმომადგენელი და მისი ინტერესების დამცველი.

როგორც ვიცით, პოლიტიკური პარტიის დიქტატ „**ნაციონალიზმის**“ და მათი „**ბეღლის**“ - სააკაშვილის ვაგლენა თანდათან მცირდება არა მხოლოდ სამეგრელოში, რაც მათ საშუალებას მისცემს ჩვეული უზნეოთი მორთონ წაწეონ იმის თაობაზე, რომ სამეგრელო ღირსეულად არაა წარმოდგენილი საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში და ეცადონ ელიტაში საკუთარი კანდიდატის გაყვანას, რაც მხოლოდ ზიანის მომტანი იქნება საქართველოსათვის!

ამდენად, აუცილებელია, რომ ქართველმა ხალხმა გზა გაუსწინას უმაღლეს ხელისუფლებაში სამეგრელოს ისეთ ღირსეულ შვილს, როგორცია ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, რითაც უუკველად დაჩქარდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხების გადაწყვეტა.

როცა ჩემს მასინძელ აფხაზებს ვაგუშობდი ქართული საზოგადოების აზრი ალექსანდრე ჭაჭიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევის თაობაზე, დაფიქრდნენ, ერთმანეთს აფხაზეთად გადაულაპარაკეს და ერთმა ასაკოვანმა მამაკაცმა, ბატონი ალექსანდრეს ბაბუა რომ გაისხნა საუბარში, მეგრულად ჩილაპარაკა ჩემს გასაკონად: „**ენა იფრელ ჯგირ სქუა მარა „ქართი“-ს მუჭო შეხვალუნა თე ამბეს - ეს ყველაფერი კარგი შეიღო, მაგრამ „ქართი“-ს - თბილისში როგორ შეხვდებიან ამ ამბავს?**“

ქვეყნის მორალატიკე შინაურებისა და გარეშე მტრების მიერ, აწლებლების განმავლობაში დათესილი უნდობლობა „**ქართობილისისა**“ და „**სამეგრელო-აფხაზეთის**“ შორის, დღესაც უპირველეს გადასალახ ბარიერად რჩება, რომელსაც ახალ რეალობაში არჩეულმა საქართველოს მიმავალმა პრეზიდენტმა უნდა მიხედოს და აღადგინოს! ერთადერთი ადამიანი, ვისაც დღეს ხელეწიფება ძველებური მეგობრანთესური კავშირების აღდგენა აფხაზ და ქართველ, ოს და ქართველ ხალხებს შორის, სწორედ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია გახლავთ.

განვიღმამოც ოცმა წელმა დაგვანახა, რომ სახელწიქულ შევარდნაძისა და მიშა სააკაშვილისთვის ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა!

მიმავალი ვეინვენებს, ქვეყნის და ხალხის იმედად მოსული ახალი მთავრობისა და მის თაყვაც ბატონ ბიძინა ივანიშვილისთვის რა წონადობისაა იგი!

ჩვენ კი, ჩვენი მხრიდან, ყველაფერი უნდა ვიღონოთ საიმისოდ, რომ ნებისმიერი მშვიდობიანი ძალისხმევით ხელი შევუწყოთ აფხაზებს, ოსებსა და ქართველებს შორის არსებული, მეგობრული და ანთესური კავშირების აღდგენას!

ელგუჯა მსარტია  
ექიმი-კარდოლოგი

# “აფხაზეთი - XIX საუკუნე”



“აფხაზეთი - მე-19 საუკუნე” - ასე ჰქვია ალბომს, რომელიც ამ პერიოდის აფხაზეთის მოცავს და რომელიც 261 უნიკალურ ფოტონამუშევარსა და ნახატს წარმოგიდგინებს. ალბომი ერთგვარი გიდის როლს შეასრულებს XIX საუკუნის აფხაზეთში მოგზაურთათვის.

თუმცა, როგორ გამოცემის რედაქტორი ნინო ბურძინაშვილი აღნიშნავს, “გამოცემა მნიშვნელოვანი წინაპირობაა იმისთვის, რომ ამ მიმართულებით სამეცნიერო სამუშაოებიც დაიწყო”.

ალბომის ავტორები ორ, ქართულ-აფხაზურ ენაზე მომზადებულ მასალებსა და ფოტოებს ენგურს გამოდმა ათი წლის განმავლობაში აგროვებდნენ, ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად.

ზურაბ შენგელია (ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ინსტიტუტის ხელმძღვანელი): - ალბომის შექმნის იდეა 2000 წელს გაჩნდა, ერთ-ერთ აფხაზურ ოჯახში სტუმრობისას. აფხაზმა მასპინძელმა ქართველ სტუმარს სთხოვა, თუ შესაძლებელი იქნებოდა, აფხაზეთის შესახებ ენგურს გამოეცხადებინა დოკუმენტური ფოტომასალა შეეგროვებინათ. ომის შემდეგ აფხაზეთში მშველად გახადგურდა. დაიწვა არქივები, მუზეუმები... შესაბამისად, ეს აფხაზური ინტელიგენციის ერთი ნაწილის იდეა და

თხოვნა იყო, იმ ადამიანთა თხოვნა, ვინც ომის შედეგად საკუთარი წარსული დაკარგა.

ასე დაიწყო თბილისში მასალების მოძიების ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესი. ეძებდნენ ყველგან: არქივებში, ინსტიტუტებში, პირად კოლექციებში...

ალბომი აფხაზმა ისტორიკოსმა თეო გიციამ შეადგინა. მასში სწორედ აღნიშნული პერიოდის დოკუმენტური მასალა შევიდა. ამ ათი წლის განმავლობაში 650-ზე მეტი ფოტო, გრაფიკა თუ ნახატი მოგროვდა. მათ შორის ბევრი პირველად გამოქვეყნდა: გრიგორი გაგარინის ჩანახატები, ივან აივაზოვის ნახატები, პოტიმდის გრაფიკები, დიმიტრი ერმაკოვის, ბოგოლიუბოვის, ალექსანდრე როინიშვილის ფოტოები.

“ხელოვნების მუზეუმში მთავარი იყო სურათი, რომელსაც ეწერა თავადი შერვაშიძე, მაგრამ რომ ვითხვებ, რომელი თავადია-მეთქი, ვერ მიპასუხებს. მოგვიანებით, ხელნაწერების ცენტრში ფოტოგრაფ ვლადიმერ ბარკანოვის ნამუშევარი ვნახე და მივხვდი, რომ ის ნახატი სწორედ ბარკანოვის ფოტოს მიხედვით იყო შესრულებული და ცნობილ მხატვარს, “ვეფხისტყაოსნის” ილუსტრაციების ავტორს, მიხაი ზინის ეკუთვნოდა”, - იხსენებს თეო გიციამ. შეგროვებული 650-მდე ფოტოდან ნაწილი იმდენად დაზიანებული იყო, რომ ალბომისთვის მხოლოდ მათი მცირე ნაწილი შეირჩა. ამ ფოტოებიდან ბევრია ისეთი, რომელიც ალბომში დაბეჭდვამდე უცნობი იყო.

გამოცემის რედაქტორი ნინო ბურძინაშვილი ამბობს, რომ ალბომი ოთხ ნაწილად დაიყო. პირველი ნაწილი მოიცავს აფხაზეთის მთავართა სახლს, შერვაშიძეების ისტორიას, მუჰაჯირობასა და რუსეთ-თურქეთის ომებს; მეორე - არქიტექტურულ ძეგლებსა და დასახლებულ ადგილებს; მესამე - ეთნოგრაფიულ მასალებს; მეოთხე - კულტურისა და განათლების სფეროს.

ალბომში წარმოდგენილი ფოტოებისა და ნახატების მიხედვით შეგიძლიათ შეიქმნათ სრული სურათი, თუ რა ხდებოდა მეცხრამეტე საუკუნის აფხაზეთში.

მაგრამ, რამდენიმე სკელტანიანი წიგნიც კი არ ვყოფა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ასახვას თუნდაც XIX-XX საუკუნეებში. მაგალითად, ივანე ჯავახიშვილმა 1998 წელს აფხაზი და ქართველი საზოგადოების წინაშე საკითხი დასვა - პორუნიკ ნიკოლოზ ემუხვარს, როგორც ღირსეულ აფხაზ მამულიშვილს, რომელმაც საკუთარი სიცოცხლე მშობლიურ ქალაქის გადარჩენისათვის გადადო, ძველი დაედგას სოხუმის ნანგრევებში და სიმბოლურ საფლავზე ქანდაკება აღემართოს თბილისშიც.

საკუთარი ღირსების დაცვისა და ქალაქის გადარჩენისათვის, ასეთი მძიმე აღსასრული ერგო ნიკოლოზ მელიტონის ძე ემუხვარს - ლეო ქიანელის დაუეწყარი ნოველის “პაი აბას” პერსონაჟი - უჯუშ ემხას პროტოტიპს.

არანაკლებ, საინტერესო პიროვნება იყო ნიკოლოზ ემუხვარის უფროსი ძმა, დავით (ბოდლო) ემუხვარი. იგი კონსტანტინე გამსახურდიას “მთავრის მოტაცების” გმირის - თარაშ ემუხვარის ერთ-ერთი პროტოტიპია - ცხოვრების წესითა და სიცოცხლის ტრაგიკული დასასრულით, ბატონი დავითი მართლაც ძალიან ჰგავს თარაშ ემუხვარს.

ამ რამდენიმე წლის წინ ცნობილმა ქართველმა ჟურნალისტმა ვილენ მარდალეიშვილმა სტატია გამოაქვეყნა (გ.მარდალეიშვილი, “წინაპართა ანტილიები არ გვაპატიებენ”, “კომუნისტი”, 29 მარტი, 1988 წელი). მასში ბოდლო ემუხვარის მეუღლესთან, ქალბატონ ლილი ნაწიბაია-ემუხვართან სტუმრობა აღწერილია.

“ძველ, ტრადიციულ აფხაზურ ოჯახში აღმოვჩნდი. აღმოვჩნდი სათნო ქალის პირისპირ, რომელიც საინტერესოდ გვიამბობს ემუხვარების ოჯახის ისტორიას, იმას, თუ რა სიტუაციები და სიმწარე აგემა ცხოვრებამ...”

იქვე მისი ქალიშვილი - ეკიმი სტომატოლოგი ლილია ემუხვარი საჩვენოდ არჩევს ძველ გაზეთებსა და ფოტოსურათებს, სახლშია შვილის შვილი - ფიზიკოსი დათო შარვაშიძე. ქალბატონი ლილია დრო-ჟამით

გაყვითლებულ ფოტოს მაწვდის: - აი, ნახეთ, რა სურათი ინახება ჩვენთან; მასზე აფხაზეთის დეკლარაცია აღბეჭდილი... კტყობა, სურათი მეფისნაცვალთან მიღების შემდეგ გადაიღეს...”

მოკლედ, აფხაზეთი და საქართველოც იმ “ოქროს” ინახავს, რაც სულიერად ამდიდრებს ამ ორ მოძმე ხალხს. მთავარია ვიპოვოთ ეს ოქრო და მკითხველის სამსჯავროზე გამოვიტანოთ იგი.

იმედია, რომ ქართველი და აფხაზი ეროვნების შემოქმედები როდისმე შესძლებენ ამგვარ ისტორიულ ანალებზე ერთობლივად კვლევით მუშაობას, რათა მხედველობიდან არ გამოვრჩეს ამ ორი ხალხი ღირსეულ წარმომადგენელთა ცხოვრების უმნიშვნელო წერილმანაც კი, რადგან ის, რაც რიგითი მკითხველისათვის “წვირილმანია”, შეიძლება ფასდაუდებელი საუნჯე გამოდგეს ჩვენი საერთო წარსულისათვის!

ნ. ჯაფარიძე



## ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

### ცოდნა - უპირველეს ყოვლისა!

განუმეორებელია ყოველი ადამიანის სიცოცხლის არსი. ყოველთვის არსებობდა და იარსებებს გარემო, რომელიც არაფრით არ იქნება დამოკიდებული ამა თუ იმ პიროვნებაზე, მაგრამ, აღნიშნული გარემოს მთავარი მოქმედი პირი მაინც ადამიანი იქნება - მისი მენტალიტეტი, ქცევა თუ მოქმედება, ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში დაყოფილი ცოდნა და გამოცდილება.

ნებისმიერ ღამეზე სანახაობას, ესთეტიური ხიბლის გარდა, თავისი აღმზრდელითი ფუნქციაც გააჩნია. და აქ საქმე არა იმაშია, თუ როგორია ადამიანის გარეგნობა, არამედ იმაში, თუ როგორი წყობისაა მისი სულიერი სამყარო.

ნებისმიერი სკოლა, როგორც პედაგოგიური სისტემა, გახლავთ დამოუკიდებლად განვითარებული ერთიანი მმართველობითი სისტემა, რომელიც რიგი კომპონენტებისაგან შედგება.

ქალაქ გაღში მოქმედებს პუბლიკური კოლეჯი, რის შესახებაც უამრავი სახიკეთო სიტყვის თქმა შეიძლება: კოლეჯში ჰქმნა რიგი დასაინტერესოებელი სიტუაცია სუფევს, რომელსაც აქ დასაქმებული კოლექტივი ქმნის, მისი დირექტორის წარმომადგენლობით.

გაღის პუბლიკური კოლეჯი 2000 წლის 1 ნოემბერს დაფუძნდა გაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ახა აგუმაზის ინიციატივით. კოლეჯის პირველი დირექტორად დაინიშნა გამოცდილი პედაგოგი და ორგანიზატორი ემა ქეცბაია. შემდეგ იგი შეცვალა გუნდა ქვარჩია, რომელიც პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მასწავლებელია.

კოლეჯის შექმნა განაპირობა აფხაზეთში საშუალო დონის სპეციალისტების დიდი დეფიციტმა. კოლეჯში დღეს შეიძლება შემდეგი სპეციალობების ათვისება: დაწვებითი კლასების მასწავლებელი, მხარეთულები-კონდიტერი, ბუღალტერი და მძღოლი.

2009 წლის 1 სექტემბრიდან კოლეჯი გან-

თავსდა ახალ შენობაში. კოლეჯის ფუნქციონირების განმავლობაში 99 ადამიანი დაეუფლა პედაგოგის სპეციალობას, მხარეთულებს პროფესია ათვისა 18-მა ადამიანმა, მძღოლის კვალიფიკაცია კი მიენიჭა 397 კურსდამთავრებულს. სტუდენტები გაღის, ტყვარჩელის და ონაშირის მეცხოვრებლები არიან. აფხაზეთის სხვადასხვა სკოლებში წარმატებით საქმიანობენ ჩვენი კოლეჯის კურსდამთავრებულები ლია ხეიტია, ლაშინა ლაცუბაია, მარინა გოგობია, ნატალია ფეტკელაია, ვიქტორია კერესელიძე, მუელა ტაბაღაია, ნინო ბასარია, ლინა კვეციანი და სხვები. მრავალი ჩვენი კურსდამთავრებული კი საბავშვო ბაღებშია დასაქმებული.

დღეს კოლეჯში 78 მოსწავლე ირიცხება. რომლებიც პრაქტიკას გადიან სკოლებში. კოლეჯში დასაქმებული არიან დიდი სტაჟისა და გამოცდილების მქონე უმაღლესი კატეგორიის პედაგოგები ვ. შონია, პირველი და მეორე კატეგორიის პედაგოგები რ. ესართია, მ. ქვაცაბაია, გ. საკანია, ა. ხიზანიშვილი, ხ. აბრუშია, ი. გურგუაია, ი. აფხაია, ი. აქუბარდია, ნ. დაკარგულია და ლ. ფაცურია.

ბოლო დროს ამავდროულად კოლეჯის შესაძლებლობები - მიმდინარეობს სასწავლო კაბინეტების რემონტი და აღჭურვა აუცილებელი თვალსაჩინოებებითა და თანამედროვე ტექნიკით. კოლეჯს ასევე გააჩნია აუცილებელი წიგნაღი ფონდი. კოლეჯი ბიუჯეტის ხარჯზე არსებობს და სახელმწიფო სახსრებს არ იშურებს ჩვენთვის ავეჯისა და ორგანიზაციის შესაძენად.

კოლეჯის დირექტორი გუნდა ქვარჩია მიიხსენებს: “მე ბედი მაქვს კარგი ხალხის აღმოჩენისა და მოზიდვის საქმეში. ვიმედოვნებ, რომ ამ ხალხთან ერთად კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწევთ...”

6060 ლაპარაკია, გაზეთი “Tan”

### აფხაზეთის ღირსეული შვილი ვიტილი ვიტალი დარასელია 55 წლის ბახდებოდა



მაგრამ ვერ გახდა, რადგან ემაწვილი ბიჭი - 25 წლის ასაკში ემსხვერპლა ავროავარიას, თუმცა იმდენი სასახლო საქმის გაკეთება მოასწრო ამ მოკლე ხნის განმავლობაში, რომ მისი სახელი, ექვსგარეშეა, საუკუნეებს გადასწვდებოდა.

ამ თარიღისაღმდეგ მიძღვნილ დონისიძობაზე ონაშირის რაიონის ხელმძღვანელმა ვიტილი დარასელიამ გახლავთ უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, რომელსაც დღესაც კი სიამოვნებით მიიღებდა თავის შემადგენლობაში მსოფლიოს ნებისმიერი უძლიერესი საფეხბურთო კლუბი. ვიტალის საფლავზე თავი უღებო მიიტანეს ონაშირის ადმინისტრაციის ხელმძღვანელებმა, დეკურატებმა, რესპუბლიკის საზოგადოებრიობისა და სპორტული

სფეროს წარმომადგენლებმა. ახალგაზრდა აფხაზი ფეხბურთელის ხსოვნისადმი მოწიწება და ღრმა პატივისცემა გამოიქვეყნა შორეული ავსტრალიიდან გამოგზავნილ ხსოვნის ბარათში ოლიმპიური თამაშების სამზღვის ჩემპიონმა ვიქტორ სანკევამ.

“სულგანათლებული ვიტალი დარასელია გახლავთ შესანიშნავი ფეხბურთელი, რომელიც ათლეტიზმითა და თამაშის მაღალი ტექნიკით გამოირჩეოდა. იგი საბჭოთა კავშირში გამორჩეული შემტევი ტიპის ნახევარმცველი იყო, რომელსაც სწორედ გააქონდა გოლები”, - უთხრა აფხაზურ სის კორესპონდენტს ფეხბურთის ფანატიკოსმა გულშემბატკივარმა ივანე ხაშიძემ. მას ხშირად ადარებენ ხოლმე აფხაზური ფეხბურთის ხატს და მის სათამაშო კლასს სახელმძღვანელოდ იყენებენ დამწველი ფეხბურთელების წევრინსა. ვიტალის დიდი პოპულარული ამშვენებს სოხუმის სანაპიროზე მდებარე მინი-ფეხბურთის სპორტულ სტენდს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ

სწორედ ვიტალი დარასელიას მიერ გატანილი გადამწვევი გოლის წყალობით აიღო თბილისის “დინამო” ვეროპის თასის მფლობელთა თასი, როცა 1981 წელს 2:1 დაამარცხა გერმანიის “კარლ-ცეისი”. გარდა ამისა, ვიტალი დარასელია იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში ორჯერ გახდა ევროპის ჩემპიონი ჰაბუკებს შორის, მონაწილეობდა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში და 5-ჯერ შევიდა საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში.

არავინ იცის, კიდევ რამდენი რამის გაკეთებას მოასწავებდა ეს მართლაც ზღაპრული მონაცემების მქონე ფეხბურთელი, რომ არა ავტოავარია, რომელმაც ვიტალის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ეს გახლავთ არა მხოლოდ აფხაზეთისა და საქართველოს, არამედ საბჭოთა და უცხოური ფეხბურთის დიდი დანაკარგი.

დღეს ვიტალი დარასელიას სახელს ატარებს ქალაქ ონაშირის სტადიონი.

გთავაზობთ მკითხველთა გამოსმაურებებს ინტერნეტსაიტზე “GEWORLD.GE” რომლებიც მოჰყვამ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინტერვიუს: “ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იბი ღირსეულად იქცევა”



აგტორი: ლილია
მომხრე ვარ, რომ საქართველოს პრეზიდენტი არა საერთო სახალხო არჩევნებით, არამედ პარლამენტის მიერ იყოს არჩეული, და იგი, ძირითადად, საგარეო პოლიტიკური კურსის და ქვეყნის საგარეო ორიენტაციის დაბალანსებით იყოს დაკავებული... და კიდევ ერთი, არც ერთი ძველი დისკრედიტირებული სახე პრეზიდენტად!!! ჩვენ გვინდა პრეზიდენტი – დაბრძოლებული და ქვეყნის გაერთიანებაზე ორიენტირებული, ასევე, აფხაზეთისთვის და ოსებისთვისაც მიღებული.

აგტორი: თეოდო
“ნაცებმა” პატრიოტობას მთლიანად გამოაცალეს სარჩული და სულ სხვა მცნებად აქციეს. ჭაჭიას მსჯელობაში კი ნამდვილი პატრიოტიზმი იგრძნობა.

აგტორი: ლალო
კარგი ინტერვიუა, საინტერესოდ აზროვნებს ბატონი ალექსანდრე ჭაჭია, ბევრ რამეში ვეთანხმები.

აგტორი: ნუშტი
პატრიოტული სულისკვეთება აშკარად ძალიან მოაკლდა, ბოლო დროს, ქართველ ერს. ამ ინტერვიოდან კი იგრძნობა ეს პატრიოტული სული.

აგტორი: მალაქილი
ვეთანხმები ლილიას. პრეზიდენტად დისკრედიტირებული სახე არ უნდა ავირჩიოთ! პირიქით, ახალი ფიგურა უნდა იყოს და ჭაჭიასავით ჯანსაღად მოაზროვნე, ან თავად ალექსანდრე ჭაჭია!

აგტორი: მარტვილი
ჩვენთან, მარტვილში, დიდ პატივს სცემენ ბატონ საშას, ძალიან ჭკვიანი და ერუდირებული ადამიანია. მე მისი წიგნი მაქვს წაკითხული და სტატიებსაც ხშირად ვკითხულობ. ამიტომ, მიმანია, რომ ის აქ უნდა იყოს და აქტიურად მონაწილეობდეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აგტორი: ხათო
ღამეა, მაგრამ ძალიან დაინტერესდა და წაეკითხე. დიდად ნახამოვნები და გახარებული ვარ, რადგან სინათლე დაეინახე ამგვარ კუნაპეტ სიბნელეში!

აგტორი: ნუნუ
თავმდაბალი ადამიანი ყველაფერს მიღწევს, ამავი კი ყველაფერს დაჰკარგავს: თავმდაბლობას საქმე ყოველთვის დირსებასთან აქვს, სიამაყეს კი – შურთან. ჭაჭია ხუსტად ასეთი თავმდაბალი ადამიანია, ამიტომ, ყველაფერს მიღწევს...

აგტორი: სალი
არ მესმის, რა არის პრეზიდენტის არჩევა პარლამენტის მიერ, ან, სხვანაირად, და საერთოდ, ბოლო ორ არჩევნებზე არც წავსულვარ და არც შემდეგზე გაპირებდი წასვლას. მაგრამ, თუ ეს ადამიანი იქნება საპრეზიდენტო კანდიდატი, ნადავლად წავიდოდი. მაგარი სიმპატიური და განათლებული ადამიანია!

აგტორი: კოკო
გეოპოლიტიკის გაკვეთილი ჩაგვიტარა. რა მაგარი ყოფილა – არ მეკონა.

აგტორი: ტიტა
არავის იმედი არ მაქვს! ვინც ავირჩიოთ, ყველამ ქვეყანას უღალატა – შევარდნადი-

დან დაწვებული, სააკაშვილით დამთავრებული. ეს ივანიშვილი, ჯერჯერობით, ნაცებს ვერ ერევა – დამხმარებები სჭირდება, რომელთა ნაკლებობაც განიცდის. თუ მაგარი ბიჭი არის ეს ჭაჭია, ჩამოვიდეს და დაეხმაროს!

აგტორი: მანო
საერთოდ საჭირო არის რომ პრეზიდენტი ჰყავდეს ამ ქვეყანას? და თუ უნდა ჰყავდეს, მაშინ სჯობია პრეზიდენტად ავირჩიოთ ასაკოვანი ადამიანი, რომელსაც არ ექნება დიქტატურისკენ მანიაკალური ლტოლვა.

აგტორი: ბამბრდელი
მართალია ეს კაცი, დაუგდეთ ყური, აქამდე სად იყო, ან ესაა სად არის, არ ვიცი. მალე გამოვიდეს პოლიტიკურ არენაზე, თორემ უვიცებმა და ამერიკის მონებმა წალეკეს ქვეყანა!

აგტორი: ბიბი
“...ვინც სხვათა შემცნობია: გამჭვრეტელია. ვინც თავისი თავის შემცნობია: გასხვიოსნებულია. ვინც სხვათა მძღველია: ძლიერია. ვინც თავისი თავის მძღველია: მძღვეთა-მძღვეთა. ვინც გარეყოფიერსა მიეღვრის: ენებააშლილია. ვინც არყოფნას უჭვრეტს: სრულქმნილია. ვინც საკუთარ გარწერილობას ფლობს: მრავალგამიერია...” ეს ბატონ საშახვა ნათქვამი!

აგტორი: ალექსი
მაგარი კაცია, საპრეზიდენტო კანდიდატად გამოდგება, თუ, რა თქმა უნდა, აფხაზეთის და ოსეთის დაბრუნებაში ბოლომდე ბრძოლას დაგვიპირდება!

ალექსანდრე ჭაჭია აფხაზეთიდან გახლავთ და შეუძლებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბოლომდე არ იბრძოდეს.

აგტორი: ნოზარი
ვეთანხმები ალექსის – მართლა მაგარი კაცია და საპრეზიდენტო კანდიდატად გამოდგება, თუ, რა თქმა უნდა, აფხაზეთის და ოსეთის დაბრუნებაში ბოლომდე ბრძოლას დაგვიპირდება!

აგტორი: ბოლბოტი
მართალია ეს კაცი, კარგად მოვისმინოთ და რასაც გვირჩევს, ისე ვიმოქმედოთ, თორემ – გათავდა საქართველო! ვეთანხმებით! დროა, უკვე ჩამოვიდეს და აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი გაქანების და ინტელექტის მქონე პოლიტიკოსები ძალიან სჭირდება საქართველოს.

აგტორი: მანისი
ალექსანდრე ჭაჭია პრეზიდენტობის ყველაზე ღირსეული კანდიდატია! შეუძლებელია არ დაგეთანხმოს!!!

აგტორი: ბუბა
ივანიშვილის და სააკიანის შეხვედრიდან ჩანს რომ ნაცები რევანშისტების ემხადებოდნენ, ამიტომ, ივანიშვილისთვის საჭიროა ისეთი ადამიანების გვერდზე დგომა, როგორც ჭაჭიაა!!!

აგტორი: კუპური
მართლა, ისე მიდის საქმე, როგორც ეს კაცი ადრე გვეუბნებოდა! ნეტავ დაგვეჯერებინა – ასე ხომ არ გავიწვევბოდით?!

აგტორი: ბიორბი
დიდი ხანია, რაც ბატონი ალექსანდრეს ნაშრომების შესწავლით ვარ დაკავებული და, მინდა გითხრათ, რომ, რამდენიმე წლის წინ გამოთქმულ მოსაზრებებს სკეპტიკურად ვუყურებდი, მაგრამ დღეს უკვე დავერწმუნდი, რომ, რაც მან იწინასწარმეტყველა საქართველოზე, თითქმის ყველაფერი ახდა და, ამიტომაც, ჩემი დიდი სურვილი იქნებოდა, თუ იგი ჩაერთვებოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში.

აგტორი: თინათი
კარგი ადამიანი და ჭკვიანი პოლიტიკოსია, ბატონი ალექსანდრე ჭაჭია! ეს კაცი ბიძინას გუნდში ძალიან სჭირდებათ,

რადგან იქ, ჯერჯერობით, ამერიკელების დოღია გამართული! ამას კი თავისუფლებას ვერ დაარქმევ!

აგტორი: ნიკო
არ შეიძლება, რომ, ესეთი აზროვნების ადამიანი აქ არ იყოს და არ მონაწილეობდეს ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს დიდი შეცდომაა და ამაში ჩვენ, ხალხი ვართ დამნაშავე!

აგტორი: თამთა
ძალიან სიმპატიურია! იდეების რა მოგახსენოთ – ზოგი მომწონს, ზოგი კი – არა. ისე, პრეზიდენტის არჩევნის წესი მომეწონა, და ის, რომ პრეზიდენტობის კანდიდატად ისეთი ხალხი უნდა წარვადგინოთ, რომლებიც არ არიან გასვრილი ძმათამკვლელ ომებში დაღვრილი სისხლით!

აგტორი: სალი
რამდენიმე სტატია წაკითხული მაქვს და ძალიან მომწონს. მაგარი ჭკვიანი ვინაა და, ეტყობა, მაგარი განათლებულიც! ჩვენთან აუცილებლად საჭიროა. ამიტომ, დროა, ჩამოვიდეს!

აგტორი: ნანა
საქართველოში მიმდინარე მოვლენებს რომ ეხები და რომელიმე კონკრეტული პიროვნების შეფასებას ახდენ, ცოტა ფრთხილად უნდა იყო, მაგრამ ამ პიროვნების შეფასებისას, პირდაპირ ვამბობ, რომ ჭეშმარიტი და მართალი პოლიტიკოსია! დროა, უკვე აქ იყოს...

აგტორი: ბიბა
ის რამდენიმე ომი, რომელიც ჩვენ გადავიტანეთ, იყო დამღუპველი ჩვენი ქვეყნისთვის. ამიტომ, ახალი პრეზიდენტის არჩევნისთვის, აფხაზეთის და ოსების აზრზე, რაღაც სემინტში, გასათვალისწინებელია. ამიტომ, ასეთი ადამიანი საჭიროა, ამ მომენტში!

აგტორი: ხაჩო
მინდა, რომ ეს ადამიანი ქართულ პოლიტიკაში რაც შეიძლება მალე ჩაერთოს. არ ჰყავს ქვეყანას შეილება დასაკარგავი, მით უმეტეს, ესეთი ჭკვიანი...

აგტორი: ვაჟა
სხვათა შორის, ჯერ კიდევ შევარდნადის პრეზიდენტობისას, საერთო ნაცნობების მეშვეობით ვცდილობდი – ბიძინა ივანიშვილი ჩართულიყო პოლიტიკურ მოღვაწეობაში, რათა შევარდნადის შემდეგ პრეზიდენტის პოსტი დაეკავებინა. საჭირო იყო იმ კატასტროფის თავიდან აცილება, რომლისკენაც ახალგაზრდა დამანგრეველებისთვის ხელისუფლების გადაცემით შევარდნაზე ქვეყანას მიაქანებდა, და ივანიშვილს შეეძლო ამის გაკეთება. მაშინ მიპასუხეს, რომ ესაუბრენ მას, მაგრამ ივანიშვილმა პოლიტიკაში ჩართვაზე კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ ნათქვამია – სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს... ეს მომეწონა ყველაზე მაგრად ამ სტატიიდან! ნეტა მაშინ დაგვერებინა ბიძინას ამ რესპოდენტისთვის. ხომ გადავრეზობოდით იმ საშინელებას, რაც ქვეყანას და ჩვენ, ხალხს დაგვემართა? თუქც, არც ესაა გვიან, პრემიერმა ყურად იღოს ბატონი ჭაჭიას რჩევები და, დარწმუნებული ვარ, საქართველოს მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება.

აგტორი: ბონი
ეს კაცი არის ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერისკაცი, მრავალი წიგნის, პუბლიცისტური და პოლიტიკური დატვირთვის მქონე წერილების ავტორი. ადამიანი, რომელიც ასე სჭირდება ჩვენ ქვეყანას. ამიტომ, საჭიროა, რაც შეიძლება მალე ჩაერთოს პროცესებში!

აგტორი: ბობი
“რამ დაგვლუპა და რა გადაგვარჩინეს!” – აი, რა სასარგებლო კრედიტო მინდოდა ეს ადამიანი და ვიცი, რომ ქვეყნის კეთილდღეობისთვის ყველაფერს გააკეთებს. ყოველთვის დიდი სიამოვნებით ვკითხულობდი ამ ადამიანის ნააზრევს და ეს ინ-

ტერვიუც ასეთივე დადებითი მუსტის მატარებელია

აგტორი: კოკა
აი, ვკითხულობ, თითქოს ყველაფერი სწორია, მაგრამ საქმე უფრო დაგვიანახებს...

აგტორი: მამუბა
ახალ მთავრობას ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი და ბევრ რამეში მოუწევთ გარკვევა, ასე რომ, ნამდვილად დასჭირდებათ ჭაჭიასთანა მცოდნე და გამოცდილი ადამიანი.

აგტორი: რუმა
შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს, რომ ამბობენ – ასეა. ალექსანდრესთანა ჭკვიანი ადამიანის რჩევებს არაფრად ავღებენ.

აგტორი: მანჩო
ღრმა ნააზრევია და ეტყობა რომ ადამიანი ესმის რასაც ლაპარაკობს. დაუჯეროთ, ხალხო!

აგტორი: ბამბო
ბატონი ალექსანდრე საოცარი პიროვნებაა. იგი დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი ნიჭით და გონებით, ასევე, პრაქტიკულ საკითხთა არსში ღრმად წვდომის უნარით! ამიტომ, აუცილებელია მისი ნიჭი სამშობლოს კეთილდღეობას მოვახმაროთ!

აგტორი: მბრი
ბატონმა საშამ, თავდაპირველად, შთაბეჭდილება თავის ნიჭიერებით მოახდინა. შემდეგ, როცა გავეცანი მის ინტერვიუს, მიხვდი რომ საოცრად სხარტი გონება და პოლიტიკური გათვლის ფენომენალური უნარი გააჩნია. ამიტომ, მე მის გაპრეზიდენტებას ვემხრობი – ორივე ხელით!

აგტორი: იამი
კარგია, მაგარია, პაერივით საჭიროა ჩვენი დღევანდელი სახელისთვის!

აგტორი: ლანა
მაინც, რომელ ბასტიონზე ოცნებობენ? ნაციონალისტების და ნახევრად გიჟი სააკაშვილის ადგილს ქართულ საზოგადოებაში არ არის, გაითავისონ როგორმე. ახლა ალექსანდრეს დროა!

აგტორი: ბიორბი
აქაც და სხვა სტატიებშიც იგრძნობა, რომ ღრმად მოაზროვნე პიროვნებაა.


აგტორი: ღიმა
ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, დაინტერესდი მისი ნაშრომებით და მათი წაკითხვით დავერწმუნდი, რომ ბატონი ალექსანდრე წინასწარმეტყველებული ნიჭით დაჯილდოვებული პოლიტიკოსია. რაც მას თავის ნაშრომებში აქვს დაწერილი საქართველოზე, თითქმის ყველაფერი ასე პროცენტით ახდა.

აგტორი: ბიო
იყო ადამიანი რომელიც სამშობლოს კეთილდღეობაზე ამდენს ფიქრობს, ესე იგი, ხარ გენიოსი. ამიტომ მისი ნააზრევი რომ არ განხორციელდეს ცხოვრებაში, ეს საქართველოს ღალატია!!!

აგტორი: ნანიკო
რამდენი ხანია ამ პიროვნების სტატიებს და ინტერვიუებს ვკითხულობ, სადაც ერთნაირი სულისკვეთება და პატრიოტიზმი იკვეთება. ასეთი პატრიოტი და ასეთი ინტელექტის მქონე ადამიანი, რატომ პასიურობს ქვეყნის უბედურების ჯამს, ძალიან საინტერესოა.

გაზეთ “ილორის” კომენტარი – მკითხველი რომ არ გადავალათ, გწვევთ გამოხმაურებების ბუკეტას, სადაც ქვეყნის მოქალაქეები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ბატონმა ალექსანდრემ კენჭი იყაროს საქართველოს პრეზიდენტად. ათასზე მეტი გამოხმაურებაა მოსული მხოლოდ ერთ ინტერნეტსაიტზე, რაც სავესები საკმარისი გახლავთ ხელმოწერების შესაგროვებლად. ახლა კი, უნდა დაველოდოთ, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს თავად ბატონი ალექსანდრე ჭაჭია!

# 21-ე საუკუნის "მამლუქები"



საკრებულოში ხდება რაიონის თანამედროვე "ბეის" (საპატრიოტო მოქალაქის) არჩევა. საკრებულოს თავმჯდომარე მიმართავს რაიონის "მამლუქებს":

– "მამლუქო!" დღეა ჩვენი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, უნდა ავირჩიოთ "ბეი". რაიონის სინიციაციო ჯგუფის სახელით გთავაზობთ, ეს წოდება მიენიჭოს რაიონში გამორჩეულ პიროვნებას – ყვარყვარეს, რომელიც თავისი ღირსეული ცხოვრებით, ყველა ადრინდელ მთავრობას წარმატებით მოერგო! გთხოვთ დაახასიათოთ ის.

პირველი "მამლუქი" – ვინ იყო ის, ვინც კომუნისტური რეჟიმის დროს, ხმალამოწვილი წინ მიგვიძღვრა კომუნისტურსა? **ღარბაზი** – ყვარყვარე... ყვარყვარე... ყვარყვარე.

მეორე "მამლუქი" – ვინ იყო ის, ვინც ეროვნული მოძრაობის გამარჯვების შემდეგ ზვიადისტობას იბრალვებდა? **ღარბაზი** – ყვარყვარე... ყვარყვარე... ყვარყვარე.

მესამე მამლუქი – ვინ იყო ის, ვინც მხედრობის გვერდს უმშვენებდა? **ღარბაზი** – ყვარყვარე... ყვარყვარე... ყვარყვარე.

მესამე მამლუქი – ვინ იყო ის, ვინც მოქალაქეთა კავშირის სახე იყო ჩვენს რაიონში? **ღარბაზი** – ყვარყვარე... ყვარყვარე... ყვარყვარე.

მეოთხე "მამლუქი" – ვინ იყო ის, ვინც ნაცისტობისთვის თავს იკლავდა და ყველა "ქართული ოცნების" მხარდამჭერს, 2 ოქტომბერს დაპატიმრებით ემუქრებოდა? **ღარბაზი** – ყვარყვარე... ყვარყვარე... ყვარყვარე.

მეხუთე "მამლუქი" – ვინ არის ის, ვინც დღეს ყველაზე მეტად ცდილობს დაამტკიცოს, რომ "ქართული ოცნება" – ეს მისი ბავშვობის დროინდელი ოცნებაა? **ღარბაზი** – ყვარყვარე... ყვარყვარე... ყვარყვარე.

**თანამჯდომარე** – მამ გავმარჯვოს ყვარყვარეს!

ღარბაზი მოიცვა განუსაზღვრელმა სიხარულმა და დაიწყო სკანდირება: **მზარ-მზარ-მზარ, მზარ-მზარ-მზარ, მზარ-მზარ-მზარ.**

ღარბაზი ვიღაცამ წაიკანავლა: – რაიონში ერთადერთი პროფესორი გვეყავს და, იქნებ, იმასაც მივცეთ ეს წოდებაო? თავმჯდომარემ მაშინვე დაუცაცხანა: **"ჩარტყილები"** ხსენება არ იყოს აქაო.

ახე აირჩიეს თანამედროვეობა ახალი "ბეი", დასახუქრეს ფულადი პრემიით და უსურვეს წარმატება მომავალ ყვარყვარეში.

**P.S.** ძვირფასო რედაქციო, თუ შესაძლებელია ეს ფაქტობრივ ყველა საკრებულოს გადავცით სამახსოვრო საჩუქრად. იქნებ ჩაიხედონ საკუთარ თავში და შერცხვეთ. ნაკლებ საიმედოა, მაგრამ, მაინც, ვინ იცის, იქნებ მათშიც გაიღვიძოს ქართულმა თავმოყვარეობამ.

პატივისცემით,  
**"ნარნალი"**

# პოეზიის კუთხე

**დიდამამაცილარევი**  
სკუალეფი, ვაიჩქუნა სოლე მულ,  
დობშულადექ, შური ონდეთ ინმა-  
ქანც,  
მუთ ქიფხანდი უზა ფაფალც დო-  
ფულ,  
იფაბრკალუქ, სიაფარა ვემშაძ  
ტანც.  
ცაშ დალ პიც ღურუ ურცხას  
გეჭვიტანც,  
ზღვაშ შხილინი ღურუშ ბირას  
იკაფურ,  
მუკალ ვალი გოლილატურ მუ-  
ნაფას,  
ვაგა, ნანა, ცა მინჭყორც ვარ ცა  
მანგარც.  
არიებულ დული მატუ, ცვა ტა-  
ცუნც,  
პიც მიღმებდვა წუმოლინილ ბირ-  
ცხაშ წვანც,  
ბუა დოფულ ეციმილი ფურცე-  
ლამც,  
უნა ღურუ ოლაფარეს გეჭურანც.  
ჩქიმ რკიალი გინმადვალუ პლან-  
ტეფუც,  
სკუალეფი, აკა წუნი გეკურცხით,  
კორცხილო ხვათახვალე აკა  
წუნც  
თოლ დომჭურით თებული დო  
ბურაცხილც;  
ღვაში ზისხირ ბირცხაშ წვან-  
დფუც გაჭვანანც  
დო რჩხვილით დულმა წელეფც  
მითმიჭანეს:  
სკუალეფი, სო იჯინეთ... სო ინ-  
ჭანთ...  
თენა მიჭირც ონჯლორეთ თოლც  
სო განჯანთ;  
ბუა დიდ რქ, თელშო დიასკური  
რქ,  
თუთა ბაბა, ალობაშე ფურე რქ,  
სორო განშე ორო, რუმეს მიკო-  
რეთ,  
თქვან ონჯლორე, აჰა, ღურას გი-  
ვორქ,  
– თქუ დიდაქ დო გიცანცალუ  
პლანტეფუც:  
– ვაგა, დიდას მუში სკუა ლალა-  
ტენც,  
ვაგა, დიდას, მუში კათა ლალა-  
ტენც,  
ვაგა, დიდას, მურცუ მურე ალა-  
ტენც,  
დიდაშ ცოდაქ ქაგინაფუ როკ ტან-  
ჯას,  
ივარ ხომლა ფურცელქ ხოლო  
დობურიც...  
ბუა მურციხიქ რჩქინელც დიდაშ  
სათინჯათ  
შარა ვარე, ათე დიხა ვაპანჯას.  
ელემ იხორია

# სააკაშვილის ციხის რეჟიმს უეჭირული ძალი პატიმრების სია



ერთ-ერთ ქართულ გაზეთში დაიბეჭდა ყოფილი მხჯავრდებული ქალის წერილი, რომელიც **"ნაციონალთა"** კონტროლირებად ციხეებში უყურადღებობით გარდაცვლილი ქალების სიის ნაწილს ასაჯაროებს.

„ძნელია იმ წუთების და დღეების გახსენება, რაც ქალმა პატიმრებმა მიწიერ ჯოჯოხეთში, №5 ციხეში გამოვიარეთ. მტკივნეულია იმის გახსენება, როგორ მოდიოდა სიკვდილი პატიმარ ქალებთან და სათითაოდ მიჰყავდა ისინი. მტკივნეულია, მაგრამ აუცილებელი, რათა ეს რეჟიმი აღარ გან-

მეორდეს. არცერთი ცოცხალი ადამიანი, როგორც დამნაშავეც არ უნდა იყოს იგი, არ იმსახურებს ისეთ მოპყრობას, როგორაც ჩვენ გვეყრბობოდნენ!“

გთავაზობთ გარდაცვლილთა სიას:

**ქეთევან ჩხიკვაძე** – მას გული მარჯვენა მხარს ჰქონდა, ითხოვდა გამოკვლევაზე გაეყვანას, თუმცა, არ მოუსმინეს. ეუბნებოდნენ, მერე რა, რომ მარჯვნივია, სამაგიეროდ, ჯანმრთელიაო. არადა, მანკი ჰქონდა, მკურნალობას იხვეწებოდა. ციხის რესპუბლიკურში გადაიყვანეს, საიდანაც მალევე დააბრუნეს – არაფერი გჭირსო. იმავე საღამოს გარდაიცვალა

**ჯიქია** – ქალური პრობლემები აწუხებდა, სულ იწვა, ვეღარ დგებოდა. საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ გვიანი აღმოჩნდა, სისხლისგან დაიცალა.

**ირინა ბედენიძე** – დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალა. საბანაოდ შევიდა და ალგოლზე მიაკრა დენმა. ვინ დაიწყოება გამოძიებას, სპდ-ის ქალთა კოლონია ხომ სატანაში ვწუხეთ.

**ნანა მითავარია** – დაუდევრობის და უყურადღებობის მსხვერპლი გახდა. უგულობამ იმსხვერპლა.

**ტომა მერაბიშვილი** – გათავისუფლებამდე

2 თვით ადრე გარდაიცვალა, სასწრაფო დახმარება რამდენიმე საათის შემდეგ მოვიდა, არადა, გადარჩენა შეიძლებოდა.

**ლიკა ნატრიაშვილი** – ბავშვს 10 წელი იმისთვის მიუსაჯეს, რომ დის გაუპატიურებას შეეწრო და მოძალადე დაჭრა. ლიკა ფსიქოტროპული პრეპარატებით გაჭყიპეს. კარცერში თვეობით ჰყავდათ, მერე ფსიქიატრიულში მოტყუებით გადაიყვანეს და მალევე გაევიგო, რომ თავი მოიკლა.

**თამილა აზერბაიჯანელი** – გული აწუხებდა. ე.წ ბუნტის შედეგ, ზაფხულის საღამოს, ჩვენ თვალწინ გაუსკდა გული და ნაადრევი სიკვდილით მოიცვალა.

**ნინელი გვახაია** – ინფარქტგადატანილი ქალი „კორტიში“ ჩაიკეტეს, კესო დანელია სამედიცინო ნაწილში მიძიე ავადმყოფს არ იღებდა, ზედმეტი ხარჯი იყო, დირექტორი კი ამას ვერ „ხედავდა“. ცუდად გახდა, ვენაში ანალგინ-დომედროლის ნაზავი გაუკეთეს და დილით გარდაცვლილი ნახეს!

**მაჭარაშვილი** – 31 დეკემბერს გარდაიცვალა. ნავის გასატან ურიკაზე დადეს და ისე გაიტანეს კოლონიიდან მისი უსიცოცხლო სხეული.

# სააკაშვილი საქართველოს "არმენიზაციის" წინააღმდეგია



პრეზიდენტმა კრიტიკულად შეაფასა აფხაზეთის გაველით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის წინადადება. „ერევანში უკვე გაკეთდა განცხადება, რომ გადიან ტექნიკურ დეტალებს აფხაზეთის რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით. რკინიგზა არის არა მხოლოდ ლეგალიზაცია რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციის, პირდაპირ პლაცდარმს ვაძლევთ რუსეთს კავკასიის დაპყრობის. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, იმ სიტუაციაში, როცა რუსეთს მყარად აქვს გადაწყვეტილი, რომ 2015 წელს ვერაზიის კავშირის სახით გარკვეულწილად აღადგინოს საბჭოთა კავშირის, საბჭოთა იმპერია, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე“, – განაცხადა საქართველოს ჯერ კიდევ პრეზიდენტმა.

საინტერესოა, როდის და რატომ მოეკიდა დაუძინებელ მტრად მიხეილ სააკაშვილი **"მშობლიურ"** სომხეთს, როცა იგი ჩვენი სამხრეთელი მეზობლის ყოველ კაპრიზს და პოლიტიკურ მოთხოვნას სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებდა. გაიხსენეთ, თუ როგორი სისწრაფით მოაწერა მან ხელი კანონის რელიგიის შესახებ (დიახაც რომ სომხეთის კათოლიკოსის გარეგინის სურვილის შესაბამისად), მაშინ, როცა საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ პირადად სთხოვა ამ პირწავარდნილ დაშნაკს, რომ თავი შეეკავებინა აღნიშნული მიხედვით ინიციატივისათვის კანონის სახის მიცემისაგან!

მოკლედ, კალმის ამ ერთი მოსმით, ამ პირწავარდნილმა **"დაშნაკცუტიუნელმა"** მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს მართლმა-

დიდებელი ეკლესია ლამის ერთ-ერთ რიგით სექტას გაუთანაბრა.

მეტი თავხედობა და მართლმადიდებლობისადმი უპატივცემლობა მართლაც რომ წარმოუდგენელია!

სავარაუდოდ, მიხეილ სააკაშვილი სომხებზე იმით არის გაბრაზებული, რომ, მათი დახმარებით ვერ მოახერხა პროვოკაციის განადგობა ჯავახეთის რეგიონში, რაც მას ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის ამღვრევის საშუალებას მისცემდა. მღვრე წყალში კი კარგად იჭრება ის თეზისი, რომელსაც ძალაუფლება პქვია და რომელიც უკვე "საიმედოდ" დაპყრობეს ავღსახსენებელმა ნაციონალებმა და მათმა უბადრუკმა **"ბელადმა"** მიხეილ სააკაშვილმა. ამიტომაც ვერ იხვენებს გამწარებული სააკაშვილი და მსამიან ისრებს უშენს ყველას, ვისაც კი მისწავლება. საბვედნიეროდ მას შხამიანი ნესტარი უკვე ამოღებული აქვს და ვერაგითარ გაგლენას ვერ ახდენს პოლიტიკურ სიტუაციაზე, მაგრამ მაინც ჯიუტად დგას საძრახის პოზიციაზე – **"ჩემს შემდეგ თუნდაც ქვას უთოვია"** ამიტომაც არ ინდობს თვით თავის თანამემამულე სომხებსაც კი და ჩვეულ სიმყრალეს აორთქლებს მათ.

მოდო და, დაუჯერე რამე ამ უხეილ ცრუპენტელას, რომელიც ახლაც უტიფრად ამტკიცებს, რომ საქართველოს ჩემნაირი **"აღმშენებელი"** მეფე ჯერ არ ჰყოლიაო!

რას იზამ, ოქტომბრამდე არც ისე დიდი დროა დარჩენილი და ჩვენც მოთმინებით და **"გაგებით"** უნდა შევხედეთ ამ მართლაც შეურაცხადის სულელურ ტრიუკებს.

**ჩქინ მამსტრო, ქეწეაჯლონი!**  
ალექსანდრე ჭაჭიას  
ბირა ცაშა ქაფურინე,  
ამდლა საარკო დლა რე,  
ირფელ ართო ვარკალანს დო  
მოწკარწანტეს ოლაფარე...  
ჩქინ მამსტრო, ქეწეაჯლონი,  
თი შვანი დო თიშენერ დლა რე,  
ომარგალეშე ცვაიჭანარს  
შორშე ბუაშ ჩხორია მარე...  
გურ მუ ხიოლ ელამშუნა,  
კონიშ ნინას ვარაგადე,  
თი ბორჯი რე, გეზოჯე დო  
თიშეგამაღს ქეწეაჯლონი...  
გითმანამად გილაგაგანს,  
თინა ხოლო ვა მაფულე,  
ჩქინ ხიოლ ბრელს ონჯარე  
გურთ ირფელს გინაფულენს...  
ჩქინ მამსტრო, მა სი რთხულე  
დღასუ ჩქინსე ქეწეაჯლონი,  
ზეფორ გინე გემიძუნა  
ერქემ ცაშა, ჟი ქახუნე...

**ბიფურხანთი**  
ჩქიმ მაკირთხალემს...  
ქორდ თიცადი ახალ წან,  
მუშახვამად გამათვალედ,  
მუთ მემიდინ ჩქიმ ნანაქე  
ირო ბხვადუქ ხვათახვალე...  
ჩქიმო ახალ წანა ვარე,  
ვართ ქირსე დო ვართ თანაფა,  
გურელაჭვილს ირინერო  
მიჭირს სერით გოთანაფა...  
თინა მისხუნ, ხვალე ვორდე,  
თორპირტყალეფს ვა ვორწყედე,  
თქვანი გურშო ბჭარუნდე დო  
ჩქიმ მიღარნალს მიღვობედე...  
თინა მისხუნ, გიფურხანთ,  
მისხუნ თინა, ხვალე ვორდე,  
გოთანაშა მიკვობედე  
ბჭარუნდე დო სი გიფორდე...

რ. ხიდაშელი

რამაზ კუპრა

# რა ხლეობდა და რა ხლება ზუბდიღვი?!

## ავტოსადგომების გუმი ზუბდიღვი

ავტოსადგომების რაოდენობით ზუგდიდის ტოლს არ უღებს მილიონიან ქალაქებს, უფრო მეტიც, შესაძლოა უსწრებდეს კიდევ. ოფიციალურად ზუგდიდში არის 4 ლიცენზირებული ავტოსადგომი. ამათ ემატება ათამდე არაღიარებული ავტოსადგომი, რომელიც არსად არ არის აღრიცხული.

“არსებობს დებულება, რომელიც განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა იყოს ავტოსადგომი. მას უნდა ჰქონდეს, თუ ის ემსახურება საქალაქთაშორის რეისებს 150-200 მეტრის მანძილზე მოსახლეობის დასახლებაში, არანაკლებ 4 საბილეთო საღაპრო, სადისკინგო ოთახი, დედათა და ბავშვთა ოთახი, ტრანსპორტის დასადგომი ბაქანი, ყოველივე ეს არცერთ ავტოსადგომს არ გააჩნია, ჩვენს გარდა. ჩვენი ავტოსადგომის გარდა, დანარჩენი ავტოსადგომები, არანაირად არ აკმაყოფილებენ სტანდარტებს. ისინი მუშაობენ პრიმიტიულად და რატომ უჭავენ ამის გამო ადგილობრივი ხელისუფალნი თვალს, გაუგებარია. ჩვენ კი მუშაობის საშუალება არ გვეძლევა.” – აცხადებს შპს “ავტოსადგომი” ერთ-ერთი აქციონერი ნუგზარ შეროხია.

1976 წელს საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით, პირდაპირი მიყიდვის წესით, 21 აუქციონერზე გაიყიდა ზუგდიდის ცენტრალური ავტოსადგომის შენობა-ნაგებობები და ტერიტორიები. “სანამ ავტოსადგომს ჩვენზე გაყიდდნენ, მანამდე შექმნილმა ბანდამ, “მხედრონის” ძალის გამოყენებით ყველა ავტომობილი გადაიყვანა რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე. ვის არ მივმართეთ, რომ ავტომობილი დაბრუნებოდა თავის ძველ ადგილსამყოფელს. როდესაც გიგი უგულავა იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი, შეგვიბრდა, რომ თუ ავტოსადგომის მეპატრონენი ერთი თვის განმავლობაში შევაკეთებდით და კეთილმოვაწყობდით ავტოსადგომს, მას დაუბრუნებდა თავის ფუნქციას. ჩვენც დაგვრიადით, ავიღეთ დიპლომაცია და სესხები და ავტოსადგომი სტანდარტების შესაბამისად გადავაკეთეთ, მაგრამ უგულავას მოუწია თბილისში თანამდებობაზე გადასვლა და შეპირება შეპირებად დარჩა. ანალოგიურად დაგვაიმედა ზაზა გოროხიაშვილიც, რომ ის ჩაატარებდა ტენდერს. ტენდერი მართლაც ჩატარდა, რომელიც ჩვენ მოვიგეთ. გოროხიამ დაგვაგადა, თუ ავტოსადგომის გარეთა ხელს კიდევ უფრო შევაკეთებდით – მოგვეცემოდა საქმიანობის უფლება. ჩვენც შევედგით საქმეს. ისევე ავიღეთ სესხები, სახლში თუ რამე გაგვანდა, ყველაფერი გაყიდეთ და მოგახმარეთ შენობის რემონტს, მაგრამ არც ზაზა გოროხიამ შეგვის უფლება დანართიბი.” – აღნიშნა ნუგზარ შეროხიამ.

სატრანსპორტო სფეროში სრული ქონისა ზუგდიდში და თუ ეს საკითხი დარეგულირდება, სოლიდური თანხა შევა ადგილობრივ ბიუჯეტში.

“ეს ავტოსადგომები ყოველმხრივ არღვევენ ავტოსადგომების დებულებას, ამიტომ უნდა აღორძინდეს ჩვენი და დაკომპლექტდეს საქალაქთაშორისო მარშრუტები. ეს ხელს შეუწყობს ქალაქის ცენტრის განვითარებას, რადგან ჩვენგან წასული ავტომობილები გადაიან ქალაქის ცენტრის გვერდის ავლით. ავტომობილები, რომლებიც გააჩნიათ სხვა ე.წ. ავტოსადგომებს, ჩვენგანაა გატაცებული და აუცილებლად უნდა დაგვიბრუნდეს. თუ ეს შესრულდა და აღორძინდა ცენტრალური ავტოსადგომი, ეს იქნება ჩვენი მთავარი მოთხოვნის დაკმაყოფილება, რასაც, იმედია, თავს გაართმევს ქალაქის ახალი ხელმძღვანელობა.” – დასძინა ნუგზარ შეროხიამ.

ლალა ძირია, ზუგდიდი

### “სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირით”.

– სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად დაინიშნა პირწავარდნილი “ნაცი” (ადრე – პირწავარდნილი კომუნისტები), ხალხის დაუძინებელი მტერი, მექრთამე-გამომძალაველი, უკანონობის დამკანონებელი (სხვა, უფრო ბინძური ეპითეტები გამოყენებისაგან თავს ვიკავებ) **როლანდ ახალაია**, რომელმაც თავისი “ფიურების” უშუალო მხარდგებელი გაყვლიფა, გაძარცვა და ისე სასტიკად დააშინა რეგიონის მოსახლეობა, რომ მისი სახელის სხენებით ახლაც აფრთხობენ გაჭირვებულ ბავშვებს. ახალაიას მიერ დათესილმა შიშმა და ტერორმა ის შედეგი გამოიღო, რომ იგი ამჟამად მაქორთვად დეპუტატად მოგვევლინა, რაც მხარის დიდი სირცხვილია.

– გუბერნატორად მოგვევლინა ახევე “ნაციების” დამკვერელი, ყოფილი სემინარიელი, ყოფილი “კმარელი” და ა.შ. – გიგი უგულავა. ახალი გუბერია და საშუალებებით ძარცვა-ყაჩაღობის ფაქტები აპოკალიფს აიყვანა და მთელი რეგიონი “შიშბაღბაზა”, რა საქმიანობასაც ახლა “მინაფლებული” წარმატებით ახორციელებს დედაქალაქში, ჯერჯერობით, რადგან იგი უკვე “ქვიშას მიბარებული მიცვალებული ითავა”!

– შემდგომ გუბერნატორად გვევლინება “დედის ბიჭის” შესახელობის მქონე ზაზა გოროხია, რომელსაც იმ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა, როცა რეგიონი “კულის რეაქციამ” იყო გაძარცვული, მაგრამ ამ ემსახურებოდა ისეთი შესაშური “ფხა” გამოიჩინა, რომ თითო-ორი გასაყვლეფი პიროვნება მაინც გამოჩნდეს და რეგიონში საბოლოოდ დაასრულა ყაჩაღობა და ძარცვა-გლეჯვა.

– ოღის პროკურორ ახალაიას, ზუგდიდში, სადაც განთავსებული იყო მისი რეზიდენცია, ჰპერივით სჭირდებოდა უკანონობათა დამკანონებელი, ყურმოჭრილი მონა-მოსამართლე და მან ქუთაისიდან გადმოიყვანა მოსამართლე დავით კეკელიძე, რომლის უკანონო და უსამართლო გადაწყვეტილებებზე ლეგენდები დიდხანს შემორჩება ხალხის მეხსიერებას. იგი ამჟამადაც აგრძელებს თავის უდიდეს საქმიანობას...

– აღნიშნული ვაი-პიროვნებებიდან არცერთი არ იყო ზუგდიდელი და, ამდენად, არასოდეს უფიქრიათ ზუგდიდელთა კეთილდღეობაზე.

– “ქართულმა ოცნებამ”, რომელმაც ბნელში მზის სიხვივით შემოიანათა, უდავოდ უხვად გამოიყვანა გასწია “ნაციების” პოლიტიკურ გეგმებად გადაქცევისათვის, მაგრამ რეგიონში ვერ გასწია სათანადო აგიტაცია-პროპაგანდა, ნაკლები ყურადღება დაუთმო ისეთი ხალხის შერჩევას და გვერდში ამოყენებას, რომელთაც ნამდვილად ხელწიფებოდათ არსებული ხელისუფლების სამართლებრივი დისკრედიტაცია, ყურადღება არ მიექცა ისეთ ძლიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობას, როგორცაა სახალხო მოძრაობა “სამეგრელო”, რომელსაც რეგიონში საკმაოდ მაღალი პოლიტიკური რეიტინგი გააჩნია და რომლის ავტორიტეტიც დღითიდღე იზრდება.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ნეგატიური გარემოებებისა, რომელმაც ზუგდიდში არასასურველი მაქორთვა დეპუტატი მოგვივლინა.

რა ხდება დღეს?

მიუხედავად იმ ძირეული სასიკეთო ცვლილებებისა, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს, ზუგდიდში სიტუაცია ჯერ ისევ დაუბალანსებელია, რამეთუ უკანასკნელი პერიოდის სასამართლო პროცესების შემყურე ხალხი ფიქრობს, რომ აქ დაუსჯელობის ატმოსფეროა შექმნილი. აქა-იქ სულისმღაფავი “ნაციმობრობა” ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომ ქვეყანა თითქოსდა კვლავ მათია და ყველაფერს, ყოველგვარ მათს მიერ ჩადენილი ბოროტ-მოქმედებისაგან თავის არიდების მიზნით, ყველაფერს “პოლიტიკურ ზეწოლად” ნათლავს. საკითხავია, სად იყო “ნაციმობრობა” მაშინ, როდესაც მისი მმართველობის პერიოდში ათეულ-ათასობით უდანაშაულო ადამიანი აღმოჩნდა გისოსეხმდამა, უამრავი ქუჩებში იქნა ჩახოცილი, დაიბრუნდა მრავალი მიტინგი, მომიტინგეთა მიმართ განხორციელდა არაადამიანური ძალადობა,

### ძვირფასო ზუგდიდელებო!

ჩემო ტკბილო ხალხო! მე, როგორც ძირძველი ზუგდიდელი, ქედს ვიხრთ თქვენს წინაშე და გულახდილად გეტყვით: გადაფიქრებული მქონდა კალმის ხელში აღება, მაგრამ უკანასკნელ ჟამს განვითარებულმა მოვლენებმა იმდენი სადარდელი და სათქმელი დამიგროვო, რომ არ ძალმიძს იგი არ გავიზიარო. ამასთან, იმედი მაქვს, რომ თქვენი უმრავლესობა დაეთანხმება ჩემს გულისთქმას.

მაშინ, როდესაც საქართველოში აშკარად გამოიკვეთა სწორი პოლიტიკური მიმართულება, რაც, ცალსახად, ახალი ხელისუფლების დამსახურებაა, ზუგდიდში და მთლიანად სამეგრელოს რეგიონში საკმაოდ დიდია დაბრმავებულ-დაყრუებული ადამიანების რიცხვი, რომლებიც ისე გულდაზღვრულად მისტირებენ “ნაციონალურ მოძრაობას”, თითქოს მიცვალებული ეს-ვნით ოჯახში (რაც ფაქტობრივად ჭეშმარიტება გახლავთ, რადგან ნაციონალიზმ რეალურად გარდაიცვალა). თითოეული თქვენთაგანისათვის ცნობილია, რომ ნაციონალიზმის ხელისუფლებაში მოსვლა (უფრო მართებული თქმა იქნება – მათ მიერ ძალადუფლების მიტაცება), რომელსაც შემდგომ “ვარდების რევოლუცია” ეწოდა, დიდად განაპირობა ავადსახსენებელი ედუარდ შევარდნაძის არასწორმა პოლიტიკამ, რომელმაც, თავის დროზე, მუხანათურად და დიდი სისხლისღირის ფასად დაამხო გამსახურდას კანონიერი ხელისუფლება, რაც ქართველმა ხალხმა ძალზე მტკივნეულად აღიქვა და განიცადა. აღნიშნულ ვერაგობას მოჰყვა მთელი ჯაჭვი უსამართლობებისა – სამეგრელოში შემოიჭრა კრიმინალთა ბრძო “მხედრონის” სახელწოდებით, რაც შევარდნაძის თანხმობით იქნა განხორციელებული და სისხლიანი მასშტაბებით ბევრად გადაჭარბა კახაკთა თუ სხვა მოთარეშეთა კეზეკეციებს, რომელსაც ცარიზმის რუსეთი ახორციელებდა ქართველთა მოსაპირობის მიზნით. სწორედ შევარდნაძის მიერ საკუთარ ხალხზე განხორციელებულმა ძალადობამ განაპირობა “ნაციონალიზმის” მოსვლა ხელისუფლებაში, პრინციპით: “ოღონდ შევარდნაძე ნუ იქნება და ყველაფერზე თანახმა ვართ”. ამ ვერაგულ კამპანიაში, რა თქმა უნდა, მგერელებიც აქტიურად ჩაერთვნენ (რა ვიცოდით, თუ შევარდნაძეს მოგვანატრებდნენ).

თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა და ხალხს ოპტიმიზმის განცდა დაუფლდა, მაგრამ დრომ დაგვარეშა, რომ ეს ყველაფერი ბურჟოაზია იყო და “რაც დაეთესო, იგივე მოიგებო”. ნაციონალიზმმა მალე გამოიჩინა ფრთებქვეშ დამალული ჭინკები და ისე ძლიერ დაგვიკორტნა, რომ იარებს კიდევ დიდი ხანი ვერ მოვიშუშებთ!!

ისეთ უკანონობას, რაც თავს მოგვახვიეს ნაციონალიზმმა, მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება და მატანეს არ ახსოვს. მათთან მიმართებაში “ფაშინიცი” კი მეტ თანაგრძობას იმსახურებს. გაუგონარია იმ რეპრესიათა მასშტაბები, რაც “ნაციონალიზმის” განხორციელებს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რეპრესიებისაც არ დააყოვნა და დაღა ის შედეგი, რაც უნდა დამდგარიყო და რასაც ხსნა ჰქვია. ეს ყველაფერი შეიგნო და გაათვითცნობიერა ზუგდიდელთა უმრავლესობამაც, მაგრამ კარკეული ნაწილის შეგნებამდე ეს ჯერ კიდევ ვერ დავიდა, რისი ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ოქტომბრის არჩევნებში “თავი ვისახელოთ” და მამალი “ნაცი” გავადეპუტატეთ. უამრავი კითხვა იბადება, თუ რატომ მოხდა ეს? შევეცდებით, თქვენი ნებართვით, ამ მოკრძალებულ წერტილში მოკვდ მითხრობოდეთ, თუ რამ განაპირობა დადებითი მოვლენებისადმი ამგვარი უარყოფითი იმპულსები.

– იმ ავადსახსენებელი “ვარდების რევოლუციის” (უპირაინი იქნებოდა გვეწოდებინა “ცოცხების რევოლუცია”) შემდგომ ზუგდიდის რაიონის არ ჰყოლია ადგილობრივი ხელისუფალი თუ სახელისუფლებო მმართველობა, რომლებიც ხალხში სარგებლობდნენ ავტორიტეტით, გულთან ახლოს მიიტანდნენ რაიონის გაჭირვებას, მოვალენი იქნებოდნენ საკუთარი თანაქალაქელების აზრი გაუხიარებინათ, რაბაც, რა თქმა უნდა, თავისი დადი დაასვა სხვადასხვა საჭირობოტო საკითხების გათვალისწინებასა და მოგვარებას, რამეთუ –

### რომელთა შორის ბევრი ფატალური შედეგით დასრულდა?

რა იყო ეს, თუ არა რეპრესია, თავისუფალი აზრის დაუშვებელი მეთოდებით შეზღუდვა?

რატომ უჭირთ ნაციებს საკუთარი დანაშაულობების აღიარება?

პასუხი ერთია – ყველა დანაშაულის სათავეა მათი ხელმძღვანელი სააკაშვილი, რომელიც რეალობის შეგრძნებასთან აფრკად არის და ხავსს ეპოტინება, მაგრამ ბრძნული გამონათქვამია: “ძადლი ჰყეფს, ქარავანი მიდის”!

ბოლიში მინდა მოვეხადო მკითხველს, რადგან ცოტა გლოზალურ სფეროში შევიჭერი, მაგრამ ყოველი სიბოროტის სათავე სწორედ “ნაციმობრობაა”, და რამდენიმე სიტყვა ნამდვილად არ კმარა მათი დანაშაულებრივი ქმედებების სამხილად.

თუ კვლავ მიუზღუნდებით ზუგდიდის რაიონს, არაერთხელ დაწერილა და თქმულა – ჩვენი სირცხვილი იმდენად მძიმეა, რომ დასაფარავად ლეღვის ფოთოლი კი არა, ლეღვის ხეების ტყე არ გვეყოფა. დღეის მდგომარეობით რეგიონი უპატრონო ძალღივითაა მივადებული. სწორედ ეს განაპირობებს იმ ფაქტს, რომ “ნაციების” მომხრეები და თანამგრძობნი ჯერ ისევ უხვად არიან, არხინად გრძნობენ თავს და თუ მათთან შეხვდ პოლემიკაში, გუბერნატორით თუ მაქორთვარი დეპუტატით გაშინებთ კიდევ. საზოგადოების შეგნებული ნაწილი და ინტელექტუალის წარმომადგენლები კი სდუმან, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს – “დგანან და ელიან” (თუმცა, არ იციან – რას ელიან). მართალია, ზოგჯერ იმართება მცირემასშტაბიანი აქციები, მაგრამ ეს ზღვაში წვეთივითაა. ამ აქციებში მონაწილეობენ უმეტესად მედღერობით სქესის წარმომადგენლები, რომლებიც ყოველი დროისა და პოლიტიკური შეხედულებების მქონე ხელისუფლებას პოლიტიკური კლიმატის გათვალისწინებით უჭერდნენ მხარს და, დემოტა ნუ ქნას, რაიმე შეიცვალოს, თორემ ქამელეონებივით შეიცვლიან ზნესაც და ფერსაც (რაც არაერთხელ მომხდარა) და კვლავ მოძულეებულ პოლიტიკოსთა მხარეს დაიჭერენ! ზოგი მათგანი იმხაც კი აცხადებს საჯაროდ, რომ ახალ მოავრობაში ბევრი ნათესავი ჰყავთ და შეუძლიათ თვით არაპროფესიონალის დანიშნა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, რაც უარყოფითად მოქმედებს “შეოცნებეთა” იმიჯზე!

ახალმა ხელისუფლებამ, რომელიც მხსნელად მოვევლინა ქვეყანას, აუცილებლად უნდა მიაღწოს იმას, რომ სამართლიანად დაისაჯოს ყველა უკანონობის ჩამდენი, ვინც არ უნდა იყოს იგი – თავკაცი თუ რიგითი, რეგიონში უნდა გაატაროს სწორი საკადრო პოლიტიკა, საზოგადოებრივ ორგანიზაცია “სამეგრელოსთან” უნდა დაამყაროს მჭიდრო საქმიანი კავშირი, რომელიც მზადაა მხარში ამოუღვეს ჭეშმარიტებას, რაც აუცილებლად სასიკეთოდ წაადგება ქართველ ერს დაქართულ სახელმწიფოებრიობას, ხელს შეუწყობს და დადებით როლს შეასრულებს აფხაზეთთან პერსპექტიული მოლაპარაკების საქმეში. ამიტომ, დროა, ვამხილოთ ჩვენს რიგებში შემოპარული ნიდაბორგებული მსტოვარი, რომელიც ღია მტერზე გაცილებით საშიში და სახიფათოა.

აქვე მინდა მოკვდ შევეხო ერთ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხს, რაც უშუალოდ ეხება “ვეროკავშირს”. გაგონარიათ, ვეროკავშირის წევრობა საშური საქმეა, მაგრამ ყველამ ვინცღღეთ, რომ ვეროპარლამენტის წარმომადგენელი ენაგატლეკილი ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირით უფრო მეტად დაინტერესდა, ვიდრე საქართველოს დაკარგული ტერიტორიებით.

და ეს მიუხედავად იმისა, რომ ნაციები უცხვირიპრო და უხნო არსებები არიან!

როზმირ ბოზენია, ზუგდიდი

**ბახარიების გვარის დალოცვა**  
2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი ილია II დალოცავს ბახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც “ლიბერთი ბანკში” გახსნილია ანგარიში. GE36LBO11199431911000 (პ.ა. ლიანა ბახარიას სახელზე) მნიშვნელოვანია, ყველა ბახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოთ ნებისმიერი თანხა. დეტალების დასახულებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599728591 – ზაშრ ბახარია.

# კოლხეთი – პაცობრიობის ცივილიზაციის სათავე



დასაწყისი "ილორი" №171-214

პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ ნიგალის პროვინციაში (კლარჯეთის დასავლეთით), სხვა ქართველურ ტომებთან ერთად, ცხოვრობდნენ მეგრელები, ხოლო სპერში მოსახლეობდნენ ჭანები. იქვე დასძენს: „არაა ინტერესმოკლებული აღნიშნოთ, რომ ეს მრავალტომიანობა – ქართლ-იბერიული, მეგრული და ჭანური მოსახლეობის არსებობა ჭოროხის ხეობაში, ნიგალსა და სპერში, აღბეჭდილია თვით მდინარე ჭოროხის ისტორიულ სახელწოდებაში“ და მიუთითებს რომ „მეექვსე მხარე კლარჯეთის, ეს არის როგორც დადგენილი ნაწილი ისტორიული ჭანეთ-ლაზეთისა; ამ მხარეში ისტორიულად იყო და დღესაც არის ლაზური“ (მეგრულ-ჭანური ჯგუფის) მოსახლეობა“. (პაველე ინგოროყვა. ჭანეთ-ლაზეთის..., გვ.7-8,9,57).

პ. ინგოროყვას მოჰყავს სომხურ უსახელო გეოგრაფიაში (VII-IX საუკუნეების) წარმოდგენილი დასავლეთ საქართველოს აღწერილობა (რომელიც, როგორც პ. ინგოროყვა ამბობს, ქართველ მეკლევართა ყურადღების გარეშე არის დარჩენილი), იქ ნათქვამია: „კოლხეთი, ე. ი. ვერი, არის ქვეყანა აზიისა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთებამდე და მის შტომდე (ლიხამდე), რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან.“

ეს ქვეყანა (ოთხი): მარ(გ)ველი-ვი; ვერევიკი, რომელ არის საკუთრივ ვერი, ფასისის მდინარის მოსაზღვრედ, ამავე სახელწოდების (ფასისის) ქალაქითურთ; ლაზი-ვი; დ) ჭანი-ვი, რომელ არს ხალტეთი (ხალდია)...

ასახელებენ ხუთ ქალაქს: იანი, კოტა (ქუთაისი), როდოპოლისი (ვარციხე), ათინა, რიზონი და სხვა მრავალი ნათესადგურს, ე. ი. ზღვის სანაპირო დაბა – ქალაქი, რომელთა შორის არს ტრაპიზონტი“. (პაველე ინგოროყვა. ჭანეთ-ლაზეთის... გვ. 64).

პაველე ინგოროყვა ასკენის, რომ ტრაპიზონის მხარეს ქართულ წყაროებში ეწოდება, როგორც ხალდია, ქალდია, ისე „ქვეყანა მეგრელთა“ ანუ „ქვეყანა სამეგრელოსი“. ასევე ექვთიმე მთაწმინდელის (958-1028) მიხედვით ტრაპიზონის მხარეს ეწოდება „სოფელი (ქვეყანა) მეგრელთა“. გიორგი მთაწმინდელიც (1009-1065) მიუთითებს, რომ ტრაპიზონის მხარეს ეწოდება ქვეყანა სამეგრელოსი.

ჩვენ ფართო შეგნვრით დიდი მეცნიერის, პაველე ინგოროყვას „გიორგი მერჩულეზე“, რომელშიც უდიდესი მეცნიერული ხილვით და დიდი თბიქტურობით განხილულია ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხები. ავტორის დებულებები, დასკვნები, განზოგადებები ყოველთვის სწორი და უტყუარია. ის ყველა ფაქტს, მოვლენას თავის სახელს არქმევს, არ ერიდება გააკრიტიკოს (კეთილი ტონით, კეთილშობილურად) გამოჩენილ მეცნიერთა ზოგიერთი არასწორი შეხედულებანი.

პაველე ინგოროყვას შრომიდან ნათლად ჩანს, რომ კოლხეთი – ჭანეთ-ლაზეთი იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, როგორც ეთნიკურად, ისე ისტორიული წარსულით და ერთიანი ქართული

სახელმწიფოს პირველი მესაძირკველი კიდევ ვამბობ: მართალია, ჯერ კიდევ საქართველო, როგორც სახელმწიფო, არც ტერიტორია არ არსებობს, მაგრამ კოლხეთი ეს ხომ იგივე საქართველოა.

ლაზი პოეტი იაკობ (იაშა) თანდღივად წერს:

### კოლხობა

*სარფში გავმართეთ მისტერები  
მოსაგონებლად გარდასულ დღეთა,  
ეს იყო ჩვენი ისტორიების  
გამომხვევება და ძალთა ფლეთა.*

ასევე მოგვყავს ადგილი იაკობ თანდღივად მიერ ლაზურად დაწერილი ლექსიდან:

*დუნიას მთელის მუშთ იოვა,  
მუში თაბრკალე ელუნ,  
აშო იყვენ, აშო ქორტუ,  
აია დულია აშო ნულუნ,  
სი სო შეანეშ გოგაჭარა  
ელნა მიწვა ეშო ვულურ  
სარფი შურის ოვართქალა,  
მეორა სკანდენ ეშაბულუნ...*

(იაკობ (იაშა) თანდღივად. მუხათა საუფლოში..., გვ. 42,79).

ისე, როგორც პაველე ინგოროყვა, ექვთიმე თაყაიშვილი იყო არა მარტო დიდი, მსოფლიოში გამოჩენილი მეცნიერი, მეკლევარ-არქეოლოგი, არამედ უაღრესად ობიექტური, პრინციპული, პირუთვნელი მეცნიერი, დიდი პატრიოტი, საქართველოსთვის თავშეწირული პიროვნება, საქართველოს განძის მცველი და შემხახველ-გამამდიდრებელი საფრანგეთში, მას სიყვარულით „საქართველოს მამასახლისს“ უწოდებდნენ. მხოლოდ ორი პატარა მაგალითი თუ რას წერენ მასზე ქართველი მეცნიერები:

წარსულის შესწავლა კეთილშობილური საქმეა. ვინც წყაროს წყალს სვამს, მან სათავეზე უნდა იფიქროსო, – ეს ქართული ანდაზა ხატოვნად განმარტავს ყველა ისტორიკოსის მოვალეობას; აუცილებელია შეისწავლო წარსული, შეისწავლო სათავე იმ ხალხის ცხოვრებისა, რომელსაც თვით ეწაფები. ექვთიმე თაყაიშვილმაც თავისი სიცოცხლე ამ დიდ საქმეს შესწირა, რასაც აშკარად ადასტურებენ მისი არქეოლოგიური მოგზაურობანი და ამ მოგზაურობათა შედეგები, – წერენ რ. მეტრეველი და შ. ბაბუნაძე.

პროფ. შოთა მესხია წერს: ექვთიმე თაყაიშვილის პუბლიკაციები იყო ახალი საფეხური ქართულ ისტორიოგრაფიაში, ახალი სიტყვა მეცნიერებაში; მაგრამ თაყაიშვილი მრავალფეროვან წყაროთა მართოდენ შემკრები და გამომცემი როდი იყო, ყოველ ახალ პუბლიკაციას თან ახლდა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევები საქართველოს ისტორიის წამყვან პრობლემებზე.

ისიც გვინდა ვთქვათ, რომ 1916 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა შექმნა „მწერალთა კავშირის“ პროექტი (დებულება), რომლის მიხედვით კოტე მაყაშვილმა, ტიციან ტაბიძემ, პოლო იაშვილმა, მიხეილ ჯავახიშვილმა და სხვებმა მოიწვიეს ყრილობა და დააფუძნეს მწერალთა კავშირი. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგაც, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (ერთ პერიოდში) იყო კოტე მაყაშვილი.

რადგან სიტყვამ მოიტანა ვიტყვი: კომუნისტებმა საქართველოს მწერალთა კავშირიდან სხვადასხვა დროს გარიცხეს გამოჩენილი მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, პაველე ინგოროყვა, გერონტი ქიქოძე (1931), გრიგოლ რობაქიძე (1935), მიხეილ ჯავახიშვილი (სიკვდილის შემდეგ), ტიციან ტაბიძე (1937), ზვიად გამსახურდია (1977) და სხვ.

თურქეთში მცხოვრებ ლაზ-მეგრელთა დიდ ნაწილს წარმოადგენს არ აქვს, რომ ისინი ეთნიკურად საქართველოს უკავშირდებიან. გერმანიაში მცხოვრები ლაზი ქალბატონი სელმა (სალმა) კონივა (გონივა) ამბობს: თურქეთში სიტყვა ლაზის სხენება არასასიამოვნოა, მიუხედავად იმის, რომ თურქეთის ხელისუფლების

მაღალ ეშელონებში ბევრი ლაზი მუშაობს.

ქალბატონმა სელმა (სალმა) კონივამ (ლაზი პოეტი, დაიბადა ისტორიული ლაზეთში, რიზეს ვილაითის არდაშენის ილჩეს სოფელ დუთხეში, 1960 წელს. დამთავრებული აქვს დორტმუნდის უმაღლესი სკოლის სოციალური-პედაგოგიის ფაკულტეტი. ასწავლის ანუ ფრანკის გაერთიანებულ სკოლაში სოციოლოგიას.

სელმა კონივა არის 1992 წ. შექმნილი კანკარის სამხრეთ კავკასიის კულტურათა და ენათა საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლაზური ენისა და კულტურის დაცვის კავშირ „ლაზეთურას“ გამგეობის წევრი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გამოსცა შესანიშნავი ნაშრომი ლაზების შესახებ, რომლისათვის სასამართლოში უჩივიან. ს. კონივას არაფერი აქვს თურქეთის ერთიანობის, მთლიანობის საწინააღმდეგო. პირიქით ლაზ-მეგრელების მოძრაობა ერთგულად უჭერს მხარს ერთიან თურქეთს, რომ თურქეთში მცხოვრები მეგრულ-ლაზები, როგორც ქალბატონი ს. კონივა ამბობს, თურქეთის ერთგული მოქალაქეები არიან და ისიც კარგად იციან, რომ ლაზების გარეშე არ იქნება თურქეთი: მაგრამ თურქეთში მცხოვრებ ლაზებს უნდათ ჰქონდეთ ადამიანური უფლებები.

სელმა კონივა მოუწოდებს მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს, დემოკრატიულ ძალებს, მხარი დაუჭირონ ლაზურ ორგანიზაციებს თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში და ასევე თხოვს მათ, ხელი შეუწვიან ლაზურ ორგანიზაციებს ლაზების მოთხოვნილი კონგრესის ჩატარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ სელმა კონივა თავის წიგნებით (თურმე ლაზურ ენაზეც!) სტატიებით აღიარებს თურქეთის ერთიანობას, თურქეთის დემოკრატიულ მოძრაობას, მიუხედავად ამისა, მაინც უჩივიან სასამართლოში ლაზეთზე წიგნის დაწერა, თურქეთში და საზღვარგარეთ მეგრულ-ლაზური დემოკრატიული ორგანიზაციების დაცვისა და ხელშეწყობისათვის (გერმანიაში არსებობს მოძრაობა „ლაზებურა“).

აქვე ვაქვეყნებთ სელმა (სალმა) კონივას ლაზურ ენაზე დაწერილია და ქართულად თარგმნილი ორ პატარა ლექსს:

### თბილისიში

*ნდდა ივასენ, ებტაცა დო მე ტარე,  
გურხალერი იროთე ვარ ბორტარე,  
სი, გშამშირე შეიმი, მა ქოგ ზირარე.  
ნა ორე-სთერი, გოგადარე თბილისი!  
წანაფე გოლულუნ, ვა გიჭონდრინენ,  
მელვა გური მილუნ, ედო ვა ნილენ,  
პანინეფე გურხალერი ვა გილენ,  
ნა ორე-სტერი, გოგადარე თბილისი!  
გოლიფინიოთ კინეფე*

*ზულა უზა კალესა  
კართალი მომიღათენ  
მსქვალინა არქაბიშა.  
ენცე ე მჟულა ენცე  
ფელუკა ჯეფხელარე  
მელიათიშა მობიბა  
სუხუმიშა ბიღარე.*

### თბილისს

*დღე იქნება, აფეთქებები, გეწვევი,  
გულდამწვარი მარად ხომ არ ვიქნები,  
შენ, მეგ ზურო ჩემო, ერთი გიხილო.  
როგორიც ხარ, შემოგველე, თბილისო!  
წლები გადის, მაგრამ არ მავიწყდება  
მოსვლა გულთ მინდა, არ წისვლება,  
კაცი ასე გულდამწვარი ვერ ივლის.  
როგორიც ხარ შემოგველები თბილისს!  
ბანიფინიოთ ჩიტაპო*

*განიფინეთ ჩიტებო,  
შვი ზღვისა მხარესა,  
წერილი მომიტანეთ  
კოპწია არქაბედან.  
გადიყარე, ღრუჯლო,  
ნავში მინდა ჩავდომბა,  
მელიათში ხოფს მოვუსვამ,  
სოხუმისკენ გავცურავ.*

ქვემოთ მოგვყავს ორი ქართველი

მეკლევარის თვალსაზრისი კოლხეთ-საქართველოს შესახებ (ზოგიერთ საკითხზე).

ჯემალ ჯიქია აღნიშნავს, რომ ძნელი გასაგები აღარ უნდა იყოს, რომ მსოფლიო ენა დღევანდელი ქართული ენაა, რომელსაც სხვა მშობლიური ენისგან განსხვავებით დედა-ენა ეწოდება. რომელი ენების დედაა იგი? იგია ყველა არსებული თუ დაკარგული ენების დედა და აქ უცხო არაფერია, ყველაფერს ხომ დედა ჰყავს. ასევე ენებსაც ჰყავს (იგი ცოცხალია) დედა და ეს ენა ქართულია. იქვე ამბობს, რომ არაერთი წმინდანი მიუთითებს. ლაზარე – ქართული ენააო.

ჯემალ ჯიქია მიუთითებს: უძველეს დროის სწავლული ეპიფანე ბრძანებს: „უწინ კოლხებს დამწვრებლა პქონდათ“. ჩვენ ვიცით. წინა დღეს გუშინ, იმის წინა – გუშინწინ ჰქვია და თუ ამდენი იცოდა ეპიფანემ, იგი იტყოდა კოლხების დამწვრების ასაკს, მაგრამ იმდენად დიდი ხნის წინ იყო, ასე მოიხსენიებს: „დიდი ხნის წინ“.

7-4 ათასი წლის წინანდელი კოლხური დამწვრებლა გაშიფრულია (შოთა ხეველიძე, ჯემალ ჯიქია, ვია კვა შილავა, ანზორ შონია, კუკური ფიფია და სხვ.). მაგრამ, კოლხებს უფრო ადრინდელი დამწვრებლა ჰქონდათ, რომელიც ჯერ მიკვლეული არ არის. ხომ არ არის კოლხური დამწვრებლა 7 ათასი წლის წინანდელი? ხომ არ არის ის 11 ათასი წლის წინანდელი? (კლაუს შმიდტი), ხომ არ არის 40 ათასი წლის წინანდელი (უცნობი რუსი მეკლევარი). 40 ათასი წლის წინ კოლხებს სახელმწიფოებრიობა და დამწვრებლაც ჰქონდათ? ამ საიდუმლოს გაგებას შეიძლება მრავალი – მრავალი წელი დასჭირდეს. მრავალი საუკუნე დასჭირდა იმის დადასტურებას, რომ კოლხებს 4 ათასი წლის წინ დამწვრებლა ჰქონდათ. ცხადზე უცხადესია, რომ კოლხებს 4 ათასი წლის ადრინდელი დამწვრებლა და სახელმწიფოებრიობა ჰქონდათ, მაგრამ უფრო როდინდელი? აი, საკითხა სკიოხი, აი, მიიმე კითხვა!

მირიან ქართველი წერს (მომყავს ვრცელი ამონარიდი):

„ლაზიკის (საქართველოს) ტერიტორია – გეოგრაფიული არეალი, პატრიარქ ადამიდან მოყოლებული, მოიცავდა თანამედროვე საინგილოს (კახის რაიონი, შეკამდე) – აღმოსავლეთის საზღვარს, ტრაპიზონის ოლქი – სამხრეთ დასავლეთი საზღვარი, მდინარე არაქსის ხეობა აზერბაიჯანის ნახიჭევანამდე – სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვარი, თანამედროვე გელენჯიკი იყო – ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი და კავკასიონის ქედი – ჩრდილოეთის საზღვარი. ზემოთ აღნიშნულ ტერიტორიას ეწოდება დიდი ლაზიკა (საქართველოს), სადაც ქრისტიანობამდე სხვა ტომის ხალხები თითქმის არ ცხოვრობდნენ. ქართული სასულიერო სკოლებიც ამ ტერიტორიის შიგნით იყო განთავსებული“. ვიმეორებ მ. ქართველის ნათქვამს: ლაზიკის გულსა და მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ოთხი მდინარის აუზში მცხოვრები ტომი. მდინარე ენგური (ენის გული), რიონი (მზის ძეს ობადე, ფასი ანუ რჯულით გამოხეიდუღნი), მტკვარი (ტკვა-ცის კიბე, რი-ძეს ასასველები) და ალაზანი (წერილი-ჭარი ზანისა ანუ წმიდა ზანი). ზემოთ აღნიშნული საზღვრების გარეთ ლაზებს (ქართველებს) ჰქონდათ სამისონერო მცირე დასახლებები, კერძოდ, შემეგრების ბაბილონში, მცირე აზიის ტერიტორიაზე, ეგვიპტეში, საბერძნეთში იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში, რიაზანში, ნიუნი-ნოვოგოროდში, სარატოვში, სარანსკში და ურალში. ეგვიპტის იმპერია ქართული ქურუმების შექმნილია და ფარაონები, კლეოპატრამდე ყველანი იყვნენ ქართველები, რომელთა ხელშეწყობითა და პრაქტიკული დახმარებით, ქართველმა ქურუმებმა სწავლა-განათლება მთელ მსოფლიოში გაიტანეს.

**კლიმენტ შელია,**  
პროფესორი, მეცნიერების  
დამსახურებული მოღვაწე  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# აფხაზეთი, საქართველო – კონსტიტუციური ლაბირინტი

გამოვიდა ცნობილი ქართველი მწერლისა და პუბლიცისტის ბატონ რაფიელ გელანტიას წიგნი: აფხაზეთი, საქართველო – კონსტიტუციური ლაბირინტი, რომელიც ეძღვნება იმ თანამემამულეებს, ვინც ვერ მოესწრო აფხაზეთში დაბრუნებას. წიგნი იხსნება ბაღრი ცირამუას წინასიტყვაობით "საპირი, ძალზე საპირი წიგნი", რომელსაც აღნიშნული წიგნიდან მოხმობილ წერილებთან ერთად ვითავაზობთ მკითხველებს.

**შემძრა რაფიელ გელანტიას მეორე წიგნში! წინ მიღვეს და ფიქრობ:**

**ნუთუ სამშობლოს გასაკვირველი გრძობა დაილია, და შრა, დაიწრება, გამოუტყუროდა მისი სადინარი, ნუთუ ქართველი კაცის სახელმწიფოებრივ შეგნებას დამბლა დაეცა, ნუთუ ოდენ საშოვარი ახსოვს და ქვეყანა არაა!**

**აგტორი ფაქტებს ვაწვდის, ვითარებას აღწერს და გვიხატავს, ასეა საქმე გვეუბნება, არაგისთან დაგვობს, საკუთარი თავის გარდა, მაგრამ... წიგნი ყველას გველაგება! აგტორი სახრეს არ გვიღებებს, მაგრამ წიგნი სახრება, სამხრეთის ქარსა და წვიმასში გვერეკება ცუდად გაწვრთნილებს, მამულის წინაშე უთავბოლოდ ვინააქარდიანებას და გულებზე მჯიდის მობრავუნეთ, უპირველესის, სამარადკამოს ვერ შემსმენელებს...**

**ეს წიგნი ჩვენი თაობის გაფრთხილებაა. ვინც არგად წაიკითხავს, – საკუთარ გულითგულში ჩაიხედავს და დაფანტული საზრისის ძებნას დაიწყებს, ვინც ზურვულად-ისევ იმ გუბებში დარჩება, რომელსაც გუშინაც ცხოვრებას ეძახდა და დღესაც ეძახის!**

**ეს წიგნი მომავალი თაობის გაფრთხილებაა, შემოახილია, რომ არ ვარგა ასე... ცოტა ხანიც და, იქნებ, არც არაფერი დავგრჩეს დასაკარგი!**

**მასხენდება პოეტის სიტყვები: – რაა გზიანი? – მეტყვიან და ვასახუბო უმაღ ჩემსკენ მოღრველი კისერს დათვისას: მაგ უმაქნისი ქედის ყურებას, რომელიც ძალზე მექართულება, გაუძლოს გულმა!**

**ეს წიგნი, ამ განსაცდელზეა და იმაგ დროულად:**

- ქვეყნის უკეთეს მომავალზე ფიქრითაა დამბიმბული;
- სისასტიკის, უგულობის, უთავმოუფ ვარგობის მაგალითებით აღსავსე და მრავალთა უსულგულო ზედაობით გაძეპილი;
- მამულის უსაშველო ტკივილებით გათანგული და ქვეყნის უანგარო სიყ ვარულით გაციისკოვრებული;
- დიდი შერიგებისა და გამოლიანების გზების მაძიებელი და ქართველთა და აფხაზთა გონიერების გამარჯვების რწ მენით განათებული!

**იგი რაფიელ გელანტიამ გვილაგებდა და მოაყოლა:**

- შე, ჩემთამეგდარო, გაიღვიძე, გაიღვიძე, რაა აძღვნი ძილი! გაიზმორე მინც, იქნებ ერთი ნერვი მინც შეგვრხეს ამ წვეარამსა და გოდებაში, იქნებ შე ტოკლე, გაიზმორე, გვერდი შეიცვალეო...
- აგტორს სჯერად და გვაძინებებს, რომ თუ ძალიან მოვიწოდებთ და შევიცვლით მხარს, გავივალმასებთ ტკუას და გონებას:
- უსათუოდ გავითავისებთ სამშობლოს პირველადობასა და უზენაესობას;
- სოხუმი უსათუოდ იქნება ქართულ-აფხაზური ქალაქი და აფხაზები მტრულად და ზიზღით არ გამოიხედავენ ეგუზს გამოდამ;
- უსათუოდ აღდგება ჩვენი სისხლის-მიერი, ნათესაური, სამორდლო კავშირები და სინანულის ცრემლებს შევაშრობთ ერთმანეთს.

ერებულში შესული წერილები და ნარკვევები წლების განმავლობაში იბეჭდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გადაიცემოდა რადიოთი და ტელევიზიით. მათ თავი მოუყარა და აკინძა აგტორმა ისე, როგორც ეს არის დალაგებული წიგნში, ისე, როგორც ეს იყო საქართველოში, საკუთარი აფხაზეთში, ისე, როგორც ამას ითხოვდა და თხოულობს სინდისიერი ჟურნალისტიკა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა წარსულის, აწმყოსა და მომავლის წინაშე.

**ბაღრი ცირამუა**

## რამდენიმე სიტყვა წიგნის ავტორისადმი

1993 წლის 30 სექტემბერს, მოულოდ-ნელობისგან თავზარდაცემულმა და გაოგნებულმა, ჩემს ათეულობით ათას თანამემამულესთან ერთად დავტოვე ცვეცლმოდებული აფხაზეთი.

მას შემდეგ ბევრმა წაიარა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, მაგრამ დღემდე ვერ გავ-

ქეცი ჩემს მოქალაქეობრივ პასუხისმგე-ბლობას – ადამიანურ ტკივილს და თანა-გრძობას საკუთარი ოჯახის, მეზობლების, ახლობლების, აფხაზეთის ყველა მკვიდრის მიმართ იქ- ენგურგადამა და აქ- ენგურგ-ამოდამ.

წიგნში შესული სტატიები წლების გან-მავლობაში იბეჭდებოდა ქართულ პერი-ოდიკაში, რომელთა რედაქტორებისა და თანამშრომლების დედალი დაუვიწყარია ჩემთვის და დენილებისთვის, რომლებიც დამის უსაშველო რიგებში ერთნაირად ველოდებოდით უფასო პურს და ახალ გაზულებს...

ამ წიგნით მინდოდა მკითხველისთვის, პირველ რიგში დენილობაში გაზრდილი თაობისათვის, გამეზიარებინა ჩემი შთა-ბეჭდილებები 90-იანი წლების (მათთვის ახლა უკვე შორეული) ეპოქის მოვლენების შესახებ, როდესაც ჩამოვადობდა ამა-მინდელი რეალობა და რომლებმაც დიდ-წილად განახლდნენ, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე თითოეული ჩვენგანის ბედი თუ უბედობა; გამეცნო კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საკითხებზე ქართული საზოგადოების წიაღში შე-მუშავებული სამშვიდობო გზანილები; გამომეხატა წუხილი და შეშფოთება იმაზე, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ აფხაზეთის პრობ-ლემა უკიდურესად დამძიმდა და აუ-ცილებელია საერთაშორისო განგაშის ზარების ახლებური დარისხება, რადგან რეალური დაკარგვის საფრთხის წინაშეა საქართველოს თვალმარგალიტი – აფხ-აზეთი; რომ დადავა ვამი, როცა თითოეული ჩვენთავის მივალე იმგვარად დაიცავს აფხაზეთი და აფხაზები, როგორც საკუ-თარი სიცოცხლე და კეთილდღეობა.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენების ეპოქაში, ჩვენი თაობა წარსულსა და აწმყოს შორის აღ-მონდა გამომწვევდელი. უარი ვთქვით წყნარ, მშვიდ, უსაფრთხო ყოფაზე და თავი-სუფლებასა და დემოკრატიის უნით შეკ-რობილებმა უმრავლესობისთვის გაუცნობიერებელ მომავალს დაუჭირეთ მხარი. უთუოდ იყო ბევრი გამარჯვება და სიხარული, გვაქვს ახალი ქვეყანა, რომელიც უთოდ გახდება ბევრად უკეთესი. ამასთან, გვეჩინდა სამარცხვინო მათამკველი შინაომები, დაკუთრეთ ქვეყნის ტერიტორიის ერთი მეხუთედი (იმერია, დროებით!), მდინარე ენგურთან ვიხილეთ რუსეთისაგან ზურგამაგრე-ბულთა მიერ ჩვენზე ძლიერის დამაცირე-ბელი ფეიერვერი, აფხაზეთიდან ოტეხული ასეულ ათასობით ქართველი, რომელთაც დღემდე უმძიმეს პირობებში უწვივთ არსებობისთვის ბრძოლა.

რა გამოგვივიდა და რა არა, ამას დრო და ისტორია განსჯის. კანონზომიერებაა, რომ ახალი, უფრო გონიერი და განათლე-ბული თაობები მომავალშიც შეცვლიან ხელისუფლებას და წეს-წყობილებას. ეს არის, რომ მანამდე მიწა და მამული არ გაგვისხვისდეს, ჩვენი ბედის გამგებლად ჩვენვე დავრჩეთ, უცხოთა მოიძვედ და ხელებში შემეყრე მანქურთები არ ვაგხვდეთ, რადგან ამით და აქედან იწყება ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცება, ერის გადაგ-ვარება, მსოფლიოს მბრძანებელთა ჩრდილში უწინარი გაუწინარება.

ჩვენ მორწმუნე, ნიჭიერი და შრომისმოყ-ვარე, მაგრამ ობოლი ერი ვართ, ამიტომაც ბევრჯერ ვაგმხდარვართ მრისხანე იმპე-რიების ძალმომრეობის მსხვერპლი. ძველი მაგალითების მოხმობა რად არის საჭირო, – რუსეთის იმპერიამ, აი, თითქმის ახლახან, მე-19 საუკუნის 60-იან წლებში მახვილი და თაფლაკვერით აფხაზეთისგან გაწ-მინდა აფხაზეთი, მე-20 საუკუნის 90-იან წლებში კი ქართველებისგან. არ მეუკება, რომ ჩვენს თანამედროვე მსოფლიოსაც განავებს ძალის სამართალი, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ და გადავრჩინოს ერთადერთ გზად შიდა ერთობა დავისახოთ, მივუტეოთ ერთმანეთს და ჩაეტეხილდ ხიდები ავადგინოთ აფხაზეთ-თან, მამულში დავბრუნდეთ. ეს საგნებით რეალურია, თუ ქართველთა და აფხაზთა ერთობლივი გადარჩენისთვის წინაპართა ალაო-წესებსა და ტრადიციებს არ ვუ-ღალატებთ და უფრო მოქნილი პოლი-ტიკის გზას დავადგებთ.

საზოგადოებრივი პრაქტიკის (ექსპერი-მენტის) საზომი, ცხადია, მისი ისტორიული ალტერნატივაა; ჩვენ გულწრფელად, ლამის გულუბრყვილოდ ვიწამეთ დემოკრატია, როგორც თავისუფალ ადამი-ანთა საერთო ნება, სამართლიანი კანონების უზენაესობა, ზოგადსაკაცო-ბრიო უფლებებით აღჭურვილი და რე-ალურად დაცული ადამიანი. ახლა ვხვდებით, რომ, თურმე, ასე მარტივად არ ყოფილა საქმე; გაგვიჭირდა, ძალიან გაგვი-ჭირდა, ამიტომაც გასავება კეთილშო-

ბილი ამბოხი არსებული რეალობის წინააღმდეგ, რომლის ერთადერთი წამალი ისევ დემოკრატიაა – ხელისუფლებაზე ხალხის, დემოსის, ლეგიტიმური ბატონობის დამყარება. ეს შეძლეს ბევრგან, უთუოდ შეუძლებელი ჩვენც, თუ სახელმწიფო, რო-გორც ფრანგი განმანათლებლები ბრძანებენ, შეძლებულთა დარაჯის მოვა-ლეთისგან განთავისუფლებდა.

ესაა ამ წიგნის მთავარი სათქმელი, – რეალური, კონკრეტული, ხშირად მეტისმეტად მძიმე, მაგრამ, უტყუარი და ფაქტებით გაჯერებული. მიხარია, რომ ამ წლებში ბევრი რამ შეიცვალა უკე-თესობისკენ, ქართული სახელმწიფო, საზო-გადოება, ჟურნალისტიკა კვლავაც ძიებაშია, ცდილობს უჭირისუფლოს ხალხს და ქვეყანას, თუმცა ღია ჭრილობა – ოკუპირებული ტერიტორიები, იქ დარჩე-ნილი მოსახლეობა ჯერაც ამაოდ ელოდება შევას და შევლას – მეტისმეტად გაჭიანურდა შეიარაღებული კონფლიქტის შედეგების დაძლევა, პოსტკონფლიქტური ლაბირინთიდან თავის დაღწევა.

მირჩევდები წიგნის გარეკანზე ჩემი ყრ-მობის ფოტოსურათი გამომეტანა, რათა მოძღვრის როლში არ გამოვსულიყავი. არ დავუთანხმე, ასე მგონია, რომ მამულზე უს-აშველო ფიქრის, ბრახის და დარდისგან ქანცაცაცილი ახალგაზრდა მა-მულიშვილიც გულიანი, მაგრამ უძალო მიხუტვივითაა, რომელიც ვერა და ვერ შე-ლევიდა დამწვარ და გაველურებულ ქალაქებსა და სოფლებს, წინაპართა გაე-ერანებულ საფლავებს, მრავალი თაობის ნალოლიაგებ ეხო-ყურებში დასაღებურე-ბულ თავზარდამცემ მარტოობას.

## რაფიელ გელანტია

### რამდენი წლის უშიკლება იყოს პრეზიდენტი?

მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუცი-აში პრეზიდენტის მინიმალური ასაკი ქვეყანაში არსებული ტრადიციების, ახ-ელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების, ხალხის მორალური და ფსიქოლოგიური მენტალიტეტის და სხვა მრავალი თავისუ-ბურების გათვალისწინებით, სხვადასხ-ვანაირად არის განსაზღვრული.

მოქმედი კონსტიტუციების შესაბამისად ამერიის შეერთებულ შტატებში პრეზი-დენტად შეიძლება აირჩიონ არანაკლებ – 35, იტალიაში – 50, ეგვიპტეში – 50, რუ-სეთში – 35, ტაჯიკეთში – 35, ვახაზეთში – 40, საქართველოში – 35 წლის ადამიანი.

პოლიტოლოგების და ისტორიის მკვლ-ევართა უმეტესობას მიანია, რომ საპრეზი-დენტო ასაკად 35 წლის დადგენა არსებითად მონარქიული ტრადიციის ინ-ერციაა და ადამიანი, როგორი ნიჭითა და ორგანიზატორული თვისებებითაც არ უნდა იყოს დაჯილდოებული, მას გაუჭირდება სახელმწიფოს რაციონალუ-რი მართვა.

ამა თუ იმ ქვეყანაში წამოტრიალი უამ-რავი პრობლემა, ცხადია, მოითხოვს ქვე-ყნის მართვის უმთავრესი პრინციპებისა და საკითხების ცოდნას და, რაც მთავარია, ექსტრემალურ ვითარებაში სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. მათ შორის ყველაზე მთავარია პოლიტიკური მართვის ხელოვნება, გამჭრიახობა, კონსტიტუციისა და კანონების ზედმიწევნით ცოდნა, ტიტა-ნური შრომისმოყვარეობა, პირადი მამა-ცობა და საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება.

ბევრგან მიხეუვლია, რომ დალაგებულ (სტაბილურ) ქვეყანაში, მართავს არა პერ-სონიფიცირებული პრეზიდენტი, მთავრობა, არამედ სისტემა, დემოკრატიული ინსტი-ტუტები, თანამშრომელი და მრჩეველთა უნი-ვერსალურად შერჩეული კონტინგენტი, საზოგადოების კანონმორჩილების კულ-ტურა და ხალხის მენტალიტეტი. მკვე-თრად განსხვავებული მდგომარეობაა განვითარებად, ახალი დემოკრატიის სახ-ელმწიფოებში, ნაკლებად სტაბილურ ქვეყნებში, სადაც მაღალია ალბათობა იმისა, რომ ყველაფერი ყირაზე დადგეს პირველი მმართველის მცირედი გადაც-დომის პირობებშიც კი.

მსოფლიო ისტორიის გამოცდილება ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მეთაუ-რად არჩევის ობიექტური ასაკის ადამი-ანის სიცოცხლის საშუალო ასაკი, ანუ 40-50 წელი და მეტი.

დავით აღმაშენებელი (ისევე როგორც ბევრ სხვა სახელმწიფოში) სრულიად ახ-ელგაზრდა გახდა საქართველოს მეფე და შეძლო უძლიერესი ქართული სახ-ელმწიფოს შექმნა. მაგრამ ეს გამონ-აკლისი არსებობდა დაკავშირებული იყო იმ დროის მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან, ისტორიულ

პარადოქსებთან, დროსა და იმეამინდელ მსოფლიოში პოლიტიკური ვითარების ხასიათთან.

სახელმწიფოს ახალგაზრდა მეთაურე-ბის მოსვლას ხელისუფლებაში ხშირად განაპირობებდა კარის ინტრიგები, სამხე-დრო გადატრიალებები, რევოლუციები და სხვა, რომლებიც ხშირად მხოლოდუნენ კარდერისტი, ავანტიურისტი ახალგაზრდა ლიდერის რისკს, თავხეხვლადებულობას.

მიუხედავად ამისა, ისტორიაში ზერელე ნახევად ადასტურებს, რომ უძველესი დროიდან დღემდე წარმატებულ თუ განსა-კუთრებით გამორჩეულ ხელმძღვანელად ხდებოდნენ ადამიანები მოწიფულ ასაკში, ამასთან, ყველა სხვა პოზიტიურ თვისე-ბებთან ერთად, მათ შორის უზარმაზარი ცხოვრებისეული გამოცდილება, ფართო ერუდიცია მრავალ დარგში, დიპლომატიის გამოჩენილი უნარი და, რაც ყველაზე მთავარია, საკუთარი ქვეყნისა და ხალხის განუხომელი სიყვარული, თავგანწირვის-ვის მზადყოფნა.

იქნებ, საინტერესო იყოს რამდენიმე ცნობილი და ნაკლებად ცნობილი მაგა-ლითის მოყვანა ქვეყნის პირველი პირის ასაკთან დაკავშირებით.

გაიუს დოკლეტიანე, რომის იმპერა-ტორი, მხედართმთავარი და მწერალი, ერთ-პიროვნული მმართველი გახდა 41 წლის ასაკში; აბდუ მუჰამედი, მონღოლთა დიდი იმპერიის შემქმნელი 47 წლის ასაკში ავიდა ტახტზე; ბათუ ყაენი, ოქროს ურდოს შემქმნელი – 41 წლისა, დაიპყრო თითქმის მთელი ევრაზია (ავსტრიის კარებთან შე-ჩერდა ჯარების ქანცაცაცის დამამ); 30 წლის ნაპოლეონ ბონაპარტი საფრანგეთის იმპერატორი გახდა (სამხე-დრო გადატრიალების შემდეგ); ეკატერინე მეორე, რუსეთის იმპერატორი, სახელმწიფო მეთაური გახდა მეუღლის გარდაც-ვლების შემდეგ – 32 წლის ასაკში.

დემოკრატიის განვითარებისა და სამო-ქალაქო საზოგადოების სიმწიფის კვალ-ობაზე ერთმოდებ სტაბილური ხდებოდა სახელმწიფო მოღვაწეთა ასარჩევი ასაკი. 55 წლის რიჩარდ ნიქსონი აშშ-ს პრეზი-დენტი გახდა; ჯონ კენედი – 44 წლის; კონრად ადენაუერი (გფრ-ის კანცლერი) – 73 წლის; ჩილეს პრეზიდენტი სალ-ვადორ ალიენდე – 65 წლის; ბენ გურიონი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი – 87 წლის, მარგარეტ ტეტჩერი – 54 წლის; სულ-ფიკარ ბჰუტო, პაკისტანის მეთაური – 51 წლის; პოლონეთის პრეზიდენტი ლეკ ვალენსა – 47 წლის; ვაჟლავ პავლევი, ჩეხ-ეთის პრეზიდენტი – 53 წლის; ჯონ მი-ჯორი, ინგლისის პრემიერ-მინისტრი – 47 წლის.

ფაქტია, რომ დემოკრატიული ინსტი-ტუტების განმტკიცება, სამოქალაქო სექ-ტორის განვითარება, კანონის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა უზენაე-სობა ართულებს სახელმწიფოს მართვას. შეძლებს კი 35 წლის ახალგაზრდა კაცი (რომელსაც, ბუნებრივია, დიდი ცხოვრე-ბისეული გამოცდილება არა აქვს), სახ-ელმწიფოს პირველი წინამძღოლის უმძიმესი ტვირთის აწევას, უროერებს სო-ციალურ და პოლიტიკურ კრიზისში მყოფი ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანას?

ხშირად ახალგაზრდა ლიდერის უმაღ-ლეს პოსტზე დაწინაურება რევორმის განხორციელებას უკავშირებენ. რა თქმა უნდა, ამაში არის სიმართლე, მაგრამ არის ისიც, რომ რევორმატორთა დროში ქვეშ უშეტეს წილად ქოსს დებულობენ, რომ-ლის ფინალია დიქტატურა ან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატასტროფა.

რევორმატორთა ასაკის პრეროგატივა არა არის. ამის საუკეთესო დასტურია დენ სილაპინის, რეიგანის, მიხეილ გორბაჩოვის და მრავალთა სხვათა პოლიტიკა. მათ ჩვენს თვალწინ სახე უცვლავს ქვეყნებს, შეცვლავს მსოფლიოს რუკა.

ჩვენ, ქართველებსაც, გვაქვს საფიქრალი ამ თვალსაზრისით. როგორც არ უნდა იყოს ნამდვილად ნიჭიერი, მაგრამ გამოუც-დეულ პოლიტიკოსთა ახალგაზრდული ხიბლი და მგზნებარება, მოწოდებათა პათოსი, თუ პოლიტიკოსი საქმეში ნაწრ-თობი არ არის და თანამდებობრივი საფეხურები ეტაპობრივად არ აქვს გაველილი, შეცდომა, როგორც წესი, გარდუ-ვალია.

ბოლო ათ წელიწადში საქართველოში ამ მხრივ დიდი გამოცდილება დავტოვეთ. გვეყვია წარმატებული ახალგაზრდები და უმაქნისი ასაკოვნებიც და, პირიქით. ერთი რამ ცხადია: ქვეყნის, ხალხის ბედს უნდა განავებდნენ სამშობლოზე შეყვარებული, ნიჭიერი, ძლიერი, მეტროლი, პატიოსანი, მა-გრამ უთუოდ გამოცდილი და მაღალი პა-სუხისმგებლობის ადამიანები, რათა ახლო წარსულის ტრაგიკული შეცდომები არ განმეორდეს.

# საათები – სააკაშვილის ბამორჩიული სიყვარული



საქართველოს ჯერ კიდევ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამორჩეული სიყვარული ძვირფასი მაჯის საათების მიმართ დიდი ხანია ცნობილია. როგორც ამბობენ, მიშა არასოდეს იშურებს თანხას კარგ საათში. უფრო მეტიც, თავის გარემოცვასაც ხშირად ასაჩუქრებს ძვირად ღირებული საათებით. მისი ნაჩუქარი საათები ბევრი მომღერლის, პოლიტიკოსის, ცნობილი ადამიანის და, თქვენ წარმოიდგინეთ, უბრალოდ თბილისელი გოგონას ხელსაც კი ამშვენებს.

როგორც მის მიერ დასაჩუქრებულმა ერთ-ერთმა პირმა გვიამბო, სააკაშვილი თურმე საზღვარგარეთ ყოფნისას მხოლოდ საკუთარ თავზე არ ზრუნავს, სხვებზეც ფიქრობს და შოპინგისას მეგობრებისთვის ძვირად ღირებული საჩუქრები, ძვირფასეულობა, მათ შორის საათებიც ჩამოაქვს. მადლიერი ბოძონდიც დაუდგავდა უმღერის და უმღერის პრეზიდენტს.

როგორც ამბობენ, მისი ნაჩუქარი საათებით თავს იწონებენ არი ჯოხაძე, ღირსების ორდენით დაჯილდოებული ლელა წურჭუბია, დუეტი “ჯორჯია”, სოფო ნიჟარაძე და სხვა მრავალი, საზოგადოებისთვის ცნობილი და არცთუ ცნობილი სახეები. როგორც ამბობენ, ბატონი პრეზიდენტი მადლიერებას ყველაზე ხშირად თავისი საყვარელი აქსესუარის ჩუქებით გამოხატავს და თუკი ვინმე რამდენჯერმე შეხვედრია მას, საათით აუცილებლად დაუსაჩუქრებია. როგორც ამბობენ, ბევრ ახლობელს დაბადების დღეზეც სწორედ საათს ჩუქნის.

როგორც ცნობილია, განსაკუთრებულად მდიდარი ადამიანებისთვის სპეციალური ჟურნალები და ინტერნეტსაიტები არსებობს, სადაც ფუფუნების ნივთები იყიდება. გამორჩეულად მდიდარი ადამიანებისთვის შექმნილია სპეციალური ბრენდები, რომელთა ნაწარმიც, ალბათ, ჩვეულებრივ მოკვდავთ არც დაეხმობებათ. ასეთ დაკავებულ ხალხს ცნობილი და უპირობო იტალიური ბრენდ “ბრიონის” დიზაინერებიც კი თავად ვახლებიან მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას და კოსტიუმის ზომებს თავადვე უღებენ. შემდეგ გამზადებულ კოსტიუმს სახელში მიაერთებენ, რა თქმა უნდა, დავით კოდუა ძმასთან, გიორგის-

ჩვენთვის წარმოდგენილი თანხების სანაცვლოდ. “ბრიონი” ცნობილია, როგორც ფუფუნების ბრენდი და მას პრეზიდენტების საყვარელ ბრენდაც უწოდებენ. მისი ერთი ჩვეულებრივი, მზა კოსტიუმი საშუალოდ ორი-სამი ათასი ევრო ღირს. რა თქმა უნდა, სულ სხვა ფასები სპეციალური შეკვეთისას, რასაც დიზაინერის მგზავრობა, ცხოვრება, განსაკუთრებული პონორარი და სხვა მრავალი ხარჯი ემატება.

ამ ბრენდის კოსტიუმებით თავს იწონებენ სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტები და ცნობილი ბიზნესმენები. როგორც ამბობენ, “ბრიონის” დიზაინერი საქართველოს პრეზიდენტს პირველად იტალიელებთან კარგად დაახლოებულმა კახი კალაძემ ჩამოუყვანა. ეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა “კარგი დრო” იყო, სააკაშვილი კალაძეს ემეგობრებოდა და ფულის დაბანდებას საქართველოში სთავაზობდა. მერე რა ბედიც ეწია ყოფილი ფეხბურთელის ფულს, ყველამ კარგად ნახა. ის კი უცნობი დარჩა, ვინ გადაიხდა სააკაშვილის ახალი კოსტიუმების ფული.

სპეციალურად მდიდრებისთვის უშვებს აუდიო-ვიდეო სისტემებს ელიტური კლასის დანიური ბრენდი “ბანგი და ოლუსენი”. როგორც ცნობილია, ამ ფირმის ტექნიკა კახი კალაძის სახლებს ამშვენებს.

“ოლუსენის” ტელევიზორი საშუალოდ 70 ათასი ევრო ღირს. გასულ ზაფხულს კი კომპანიამ ნამდვილი ინოვაციური ნაწარმი შექმნა. ტელევიზორი, რომელიც 113 ათასი დოლარი ღირს, იმდენად დიდია, რომ სანამ კომპანიის წარმომადგენელი არ მოვა თქვენი სახლის შესამოწმებლად და არ დაადგენს, როგორ და სად მოთავსდება ის, მანამდე არ მოგვიღიან. ტელევიზორი თურმე ნახევარ ტონას იწონის.

ისე, სიძვირეზე ერთი ამბავი გამახსენდა... როცა ვახშაურდა ამბავი, თითქოს სააკაშვილის რეზიდენცია 80 მილიონი დაჯდა, მის ერთ-ერთ მეგობარს და “პირად მშენებელს” თურმე ბევრი უცინია და უთქვამს: “მაგდანი მარტო გვირბაბები დაჯდაო”. რა გვირბაბები და სად გადის ისინი რეზიდენციიდან, ამას ჩვენ ვინ გვეტყვის, მაგრამ თუ ივანიშვილი, როგორც დაგვირდა, პრეზიდენტის რეზიდენციას მართლაც აქცევს სასტუმროდ, საიდუმლო გვირბაბები ალბათ ტურისტებისთვის ყველაზე საინტერესო ტურისტულ მარშრუტად იქცევა.

თუმცა ისევ საათებს და “კარგ დროს” დაუბრუნდეთ. როგორც კი მიშას “სისუსტის” ამბავი შეუტყვია, როგორც ამბობენ, ბიზნესმენთა ოჯახის უფროს ვაჟს, დავით კოდუას, მისთვის სასწრაფოდ ისეთი ფასის მაჯის საათი შეუკეთია, თავად პრეზიდენტიც გაუცვებია.

დავით კოდუა ძმასთან, გიორგის-

თან, და დედამისთან, ლაურა დაჭავასთან ერთად ავიაკომპანიის, ლილოს ტერმინალის, ფაბრიკა-ქარხნების, ბაზრობის, ჰექტრობით მიწის ნაკვეთების, რესტორნების ქსელის, სამშენებლო კომპანიების და სხვა შენობა-ნაგებობების მფლობელი და მეწილეა. როგორც ამბობენ, სწორედ ამ ოჯახმა შეისყიდა სიმბოლურ ფასად მედიტივილიზე მდებარე სასტუმრო “საქართველოს” შენობა, სადაც კახინო ვახსნა, ასევე საბურთალოს მდებარე ყოფილი “ლენკომბინატის” შენობა, ვაკეში მდებარე ყოფილი კინო “ყაზბეგის” შენობა, ჭავჭავაძის ქუჩაზე მდებარე ძველი საავადმყოფოები, ინსტიტუტები და პრესტიჟულ ადგილას მდებარე უამრავი შენობა.

როგორც ამბობენ, ზოგიერთი მათგანი, რომელთა ღირებულება რეალურად ათეული მილიონებით ღარია, კოდუებს სიმბოლურ ერთ ლარად გადასცეს.

მადლიერების გამოსახატავად და ბიზნესის მშვიდად განაგრძელებლად კი დავით კოდუას სააკაშვილისთვის ისეთი საათი შეუკეთია, რომლის ფასიც 850 ათას დოლარს აღწევდა. შემდეგ კი მეგობრებთან ამით თავიც მოუწონებია. “საათი 850 ათას დოლარად იყიდა და პრეზიდენტს აჩუქა. შეუკეთია და ჩამოუტანეს”, – გვიყვება კოდუას ერთ-ერთი მეგობარი.

წარმოდგენილად ძვირად ღირებულ მაჯის საათებს ბევრი ცნობილი ბრენდი უშვებს. მათ შორისაა შვეიცარიული კომპანიები “პუბლოტი” და “პატეკ ფილიპი”, რომელთა ექსკლუზიური საათების ფასი 2, 6, 8 და 11 მილიონსაც კი აღწევს. “პატეკ ფილიპის” 11-მილიონიანი საათი რამდენიმე წლის წინ აუქციონზე გაიყიდა. საათს 24 ფუნქცია აქვს, დამზადებულია პლატინისა და ყვითელი ოქროსგან, აქვს მუდმივი კალენდარი, მუშაობს წამების მეთასხედი სიზუსტით და არასოდეს ფუჭდება. ასეთი საათები ძირითადად ცნობილ აუქციონებზე იყიდება და სამეფო ოჯახებისა და მდიდარი შეიხებისთვისაა განკუთვნილი. ბევრ მათგანს ბრილიანტის თვლებიც ამშვენებს. ეს საათები ძვირფასი საიუველირო ნაწარმია და მხოლოდ დროის გასაგებად არ არის შექმნილი. ისიც ცნობილია, რომ საათი ძალიან დაფასებული აქსესუარია ბიზნესურეებში და ხშირად ბიზნესმენები პარტნიორებს სწორედ საათის მიხედვით აფასებენ.

გიორგი მაისურაძე

# იუსუფელის კაშხალი ქართულ კიბლესს წალეპკით ემუქრება!

თურქული გამოცემა „Hurriyet Daily News“ ვიდეო ვან პერპენის სტატიას აქვეყნებს სათაურით “იუსუფელი – მოსანახლებლად უნიკალური ადგილი”.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, შავი ზღვის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულმა ძეგლებმა პარხალმა და ოთხთა ეკლესიამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და ამ ძეგლების დათვალიერებას სხვა ტურისტებსაც ურჩევს.

თუმცა, იქვე დასძენს, რომ ვინც ამ ძეგლების მონახულებას დაგეგმავს, უნდა იჩქაროს, რადგან 2018 წლის მაისისთვის ეს ძეგლები და მიმდებარე ტერიტორიები წყალქვეშ აღმოჩნდება. მათ განადგურებს იუსუფელის კაშხალი, რომლის მშენებლობა სწორედ იმ დროისთვის დასრულდება.

„იუსუფელის კაშხალი, – აღნიშნავს სტატიის ავტორი, – მსოფლიოში სიმბოლოა მესამე და თურქეთში ყველაზე მაღალი იქნება. თუმცა კაშხალიდან გადმომავალი წყალი წალეკავს ამ უნიკალურ, ისტორიულ ძეგლებსა და სოფლებს!“



# იუბილარი თინათინ მღვდლიაშვილი ტრადიციას არ დალატობს

ცნობილი ქართველი პოეტმა, საზოგადო მოღვაწემ, ქალბატონმა თინათინ მღვდლიაშვილმა 7 აპრილს, ხარებას, 19.00 საათზე, საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში (სამების ტაძრის ეზო), ტრადიციისამებრ, პოეზიის საღამოს გამართა.

იუბილარმა ქალბატონმა ამ დღეს მისი პოეზიის მოყვარულთ ახლადგამოცემული ლექსების კრებული – „ჭრიჭინები“ – წარუდგინა. საღამოზე, ქალბატონი თინათინის ლექსებზე შექმნილი სიმღერების ფონზე, პოეტმა კვლავაც მოხიბლა მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები.

მკითხველს შევახსენებთ, რომ, რამდენიმე დღით ადრე, თინათინ მღვდლიაშვილმა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდულ ცენტრში საზოგადოებას საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ეროვნული გმირის – ზვიად გამსახურდიას – ხსოვნის საღამო აჩუქა, რომელსაც საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლები დაესწრნენ.

# სომეხთა სათვისტომო: „სააკაშვილს სურს, თავისი წარუმატებელი პოლიტიკა ორი ერის წაპიღებით დაასრულოს“



„საქართველოს სომეხთა სათვისტომო“ საქართველოს პარლამენტის დეპუტატ რუსლან პოდოსიანის მიერ 6 მარტს პარლამენტში გაკეთებულ განცხადებას მიესალმება, სადაც ის საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს სომეხი

ეროვნების მოქალაქეებისა და სამცხე-ჯავახეთის მიმართებაში ბოლო დროს გახშირებულ განცხადებებში კორექტულობისა და თავშეკავებისაკენ მოუწოდებს.

„მიუღებელია, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი გარკვეული შიდა ან გარეპოლიტიკური მიზნების მისაღწევად საქართველოს კონსტიტუციის ძირითადი დებულებების უგულვებელყოფით რეალობას მოწვევტილ აბსტრაქტულ საშიშროებებზე საუბრობს, რითაც ქვეყნის სხვადასხვა ეროვნული წარმომადგენლობის მქონე მოქალაქეებს ერთმანეთს უპირისპირებს და უარყოფით სტერეოტიპებს ნერგავს.

აღსანიშნავია, რომ 2003-12 წლებში ხელისუფლება ეროვნული უმცირესობების მრავალრიცხოვანი პრობლემების არსებობასაც კი უარყოფდა და ხშირ შემთხვევაში თვითონ ქმნიდა და ართულებდა არსებულ ვითარებას“, – ნათქვამია სათვისტომოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„მე დღეს განცხადებას ვაკეთებ არა მარტო როგორც დეპუტატი, არამედ როგორც სომეხი ეროვნების წარმომადგენელი. პრეზიდენტის მრავალჯერადი განცხადება სამცხე-ჯავახეთის საქართველოდან შესაძლო მოწვევების შესახებ არის საბოტაჟი სომეხი

და ქართველი ხალხის წინააღმდეგ. სააკაშვილს სურს, თავისი წარუმატებელი პოლიტიკა ორი ერის წაპიღებით დაასრულოს. ეს არ მოხდება. ვაცხადებ ამ კუთხის სახელით“.

სამცხე-ჯავახეთი ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კუთხე. უღამაზესი არა მხოლოდ თავისი ბუნებით, არამედ თავისი ხალხით, რომლებიც, საუკუნეების მანძილზე მძებნივით ცხოვრობდნენ ამ მიწაზე.

მოუწოდებ საქართველოს პრეზიდენტს – ნუ განაწყოებს ქართველ ხალხს სომეხი ხალხისადმი სიძულვილით. ამას ქვეყნის პრეზიდენტი არ უნდა

აკეთებდეს. პრეზიდენტის უპირველესი მოვალეობაა არა მტრობისა და სიძულვილის დათესვა თავისი ქვეყნის მოქალაქეებს შორის, არამედ პირიქით – მათში სიყვარულისა და სიკეთის დანერგვა.

„ჩვენ დღემდე არ გავაკეთეთ კომენტარი მის პოლიტიკურად უტაქტო განცხადებებზე, მაგრამ თუ კი ის კიდევ გააგრძელებს ამასე საუბარს, მაშინ ჩვენი პასუხი იქნება კიდევ უფრო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი“, – განაცხადა დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან“ რუსლან პოდოსიანმა.

საძინელო



# ნაკოლეონ ქარქაშაძე: აფხაზეთი ცხოვრების დონით უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე საქართველო



საუბრის თემა ბატონმა ნაკოლეონ ქარქაშაძემ თავად შემოთავაზა: – დღევანდელი სოხუმის ფოტოებმა და რეპლიკამ “გამარჯობა, აფხაზეთო, შენი”, რომლებიც “საქართველო და მსოფლიოს” მერვე ნომერში გამოქვეყნდა, გამახსენა ჩემი აფხაზეთი. ჩემსას ვუწოდებ იმიტომ, რომ ჩემი საქმიანობის საუკეთესო 16 წელიწადი აფხაზეთში გაატარე. მაშინ სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორად ვმუშაობდი. მე დღესაც მაქვს ურთიერთობა მეგობარ აფხაზებთან, რომლებიც ხშირად გადმოდიან აქეთ და ჩემს ოჯახსაც სტუმრობენ. მათაც ვიცი, რომ სოხუმს დღესაც ატყვია ომის ნაჭრილობები – აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს შენობა, უპატრონოდ მიტოვებული კერძო სახლები, მაგრამ საერთო სურათი, კერძო ბიზნესის წყალობით, უკეთესობისკენ შეიცვალა – გაღამაზდა და კეთილმოეწყო ქალაქი.

– კერძო ბიზნესში, თქვენ რომ თქვით, ქართული ბიზნესიც იგულისხმება?

– ჩვენთან რა ინვესტიცია უნდა შევიდეს, როცა მთელი ჩვენი ეკონომიკა უცხოურ ინვესტიციასზე დგას. საქართველოს ბიუჯეტში ადგილობრივი წარმოების შენატანი დაახლოებით 12-15 პროცენტია.

ხშირად მესმის, რომ აფხაზეთი უწვევოდ ვერ გაძლებს, დაიღუპებაო. მე კი მგონია, რომ პირიქითაა: ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან აფხაზეთს შეუძლია ყველაზე კარგად იცხოვროს, თუ იქ სათანადოდ განვითარდება საკურორტო ინდუსტრია. უკვე ფაქტია, რომ იქ ყველაფერი ამ მიმართულებით ვითარდება.

მე მითხრეს, რომ გაგრა მიმზიდველი ქალაქი-კურორტი გახდა, სწორედ უცხოური ინვესტორების აქტიურობის შედეგად, რომლებმაც ააშენეს ახალი სასტუმროები, კაფე-ბარები, მიხედვით ქალაქის ინფრასტრუქტურას. თქვენს მკითხველებს მოეხსენება, რომ გაგრა ისეთი კურორტია, რომელიც მეტ-ნაკლები ინტენსივობით მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს. სამთარშიც კი, როცა ზღვის კურორტზე მკვდარი სეზონია, აქაური კლიმატი მისწრებაა ფილტვებით დაავადებული ადამიანებისთვის. შემთხვევითი არ იყო, როცა ინგლისის პრინცმა თავის ავადმყოფ შვილს სწორედ აქ აუშენა ფუნქციონალური სასახლე.

– უცხოურ ინვესტიციებზე რომ ლაპარაკობ, რუსეთს გულისხმობ?

– რასაკვირველია, – რუსეთს, მაგრამ – არა მარტო. გაგრაში გაიხსნა, მაგალითად, უკრაინული რესტორანი, ინვესტიციები აქვს ჩადებული პოლონეთსაც, გერმანიასაც, ბიზნესს იმ ქვეყნებისა, რომელთაც არ აქვს გასასვლელი “თბილ ზღვებზე”.

დღეს აფხაზეთისა და აფხაზების ამ მიმართულებით პრაქტიკულად არაფერი კეთდება, არადა, აუცილებლად უნდა გადაიდგას თუნდაც მოსასინჯი ნაბიჯები.

იცით, რით იყო ყველაზე მეტად უკმაყოფილო აფხაზეთის ქართველობა

საქართველოს ხელმძღვანელობის მათ დამოკიდებულების საკითხში? – თბილისი ნაკლებად ენდობოდა არა მარტო აფხაზებს, არამედ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებსაც, რაც ორივე მხარეს ერთნაირად აღიზიანებდა.

მაგალითებსაც დავისახელებთ: საჭირო არ იყო პარტიის გაგრის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანად გივი კვანტალიანის თბილისიდან წამოყვანა, კაცისა, რომელიც აფხაზეთს საერთოდ არ იცნობდა, რუსულშიც, ბოდიშს ვისძი, ცოტა მოიკოჭლებდა. ვერც იგი მოერგო გაგრას, ვერც გაგრელებმა შეითვისეს იგი – აფხაზეთმა და ქართველებმაც. ან, ძალიან დადებითი პიროვნების, გალაქტიონ ნაჭყებიას, რომელიც გულრიფშის რაიონის კარგი პირველი მდივანი იყო, გაგრის პირველ კაცად გადმოყვანა რით იყო გამართლებული?!

ისიც ვერ მოერგო გაგრას და გულრიფშში დააბრუნეს.

არადა, ადგილობრივ კადრებს შორის იყვნენ ღირსეული ადამიანები, რომლებიც გაცილებით უკეთეს კვალს დაამჩნევდნენ აფხაზეთს.

მაგალითების ჩამოთვლას არ გავაგრძელებ.

ეს ერთი.

ახლა მეორე შეცდომა თუ მცდარი დამოკიდებულება, რომელიც თანამედროვე სიტუაციაში ზემოთ თქმული პოლიტიკის რუდისებურად გაგრძელებად შეიხსება: აფხაზეთზე დღეს ლაპარაკობს ყველა, გარდა იქ ნაცხოვრები ადამიანებისა. აქტიურობენ ისეთები, რომლებიც აფხაზეთში ჩამოსული არ მინახავს.

დაბეჯითებით ვამბობ: ჯერ კიდევ დარჩა ის ადამიანები, ვისაც აფხაზეთთან დაკავშირებით რაიმე კონსტრუქციულის თქმა შეუძლია. სამწუხაროა, რომ ისინი დროზე ადრე დაიფიცეს.

– ამასთან დაკავშირებით, აფხაზეთის, ცხინვალის მეორე პლანზე “გადართება” იმის მიზეზით ხომ არ ხდება, რომ კონფლიქტური რეგიონების პრობლემების მოგვარება მეორე პლანის ჩინოვნიკებს ეპარათ?

– ერთ-ერთი მიზეზი ესეც შეიძლება იყოს. ამიტომ მე დაუფტერდი მხარს იმ წინადადებას, რომლის მიხედვით:

პირველი და მთავარი – ამ საკითხებზე მუშაობა უმაღლესი რანგის მოღვაწე უნდა ეხაროს, მის მოვალეობათა ნუსხაში უნდა იყოს ჩაწერილი. იდეალურად შეიხსება, თუ ეს მოღვაწე აფხაზეთის მკვიდრი, აფხაზეთში ნაცხოვრები პიროვნება იქნება. ენერჯული, სათანადოდ გამოცდილებით აღჭურვილი, განათლების ფართო პორტიფოლიის მქონე, ადამიანი. ამასთან დაკავშირებით მე მხარს დაუჭერდი ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოსაზრებას, რომელიც “საქართველო და მსოფლიოში” არაერთხელ დაფიქსირდა.

– ბატონო ნაკოლეონ, რჩევა-დარიგებისთვის, კონსულტაციისთვის თქვენთვის არ მოუზარებთ?

– წინა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, არაფერს მკითხავდა, რადგან სააკაშვილის გუნდისთვის მე პერსონა ნონგრატა ვიყავი.

თქვენთან გამოქვეყნებულ ფოტოებს რომ ვუყურებ, გული მწყდება. იქ ჩვენსა და აფხაზებს შორის ისეთი ურთიერთობა სუფევდა, რომ ყველაფრის მოგვარება შეიძლებოდა. აგერ სასტუმრო «აფხაზეთთან» ევაზე ვინმე უცნობი ისე დაგპატივებდა, არც იკითხავდა, ვინ ხარ. სტუმრის სესხების წესი ჰქონდათ. ხშირი ყოფილა, როცა ჩემი ბინის აივანზე ვისხედით მე და ჩემი სტუმრები, დაურეკია აფხაზ მეზობელს და უთხოვია: – ბატონო ნაკოლეონ, თბილისიდან სტუმრები გყოფია და იქნებ დღეს თუ არა, ხვალ მაინც მასეხსოთ და მასტუმროთ ჩემთან ოჯახშიო. ბევრი ქართველი მიმიყვანია აფხაზის ოჯახში, მათ შორის – თქვენც, თუ გახსოვთ...

– მახსოვს, როგორ არ მახსოვს... მტრულად მივანჩევართ დღეს აფხაზებს?

– იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემს და ჩემს მომდევნო თაობას იცნობდნენ, ცხადია, მტრულად არ მივანჩევართ. მაგრამ მესამე თაობა უკვე აღარა სცნობს ქართველებს. ქართველი მათთვის უკვე მტერია.

– დრო ჩვენზე მუშაობს?

– არა. ამ თვალსაწიერიდან ძალიან გაგვიჭირდება ურთიერთობის დამყარება. რაც დრო გადის, აფხაზეთს უფრო და უფრო ვცილებდებით. და, სხვათა შორის, აფხაზეთი ცხოვრების დონით უფრო მაღალი უნდა იყოს ვიდრე ქართველობა.

ჩვენ რით უნდა მოვიხილოთ აფხაზი: იმით, რომ ქართველი ქართველს მტრობს?! იმით, რომ ყოფილმა ხელისუფლებამ ციხეები პოლიტიკატივებით აავსო?

– მასხადამე, პერსპექტივა ჩიხია?

– ახლა რასაც ვიტყვი, შეიძლება ამის გამო ჩამქოლონ: აფხაზეთის მშვიდობიანი დაბრუნების არავითარი პერსპექტივა არ გაგვანია.

– აბა, ომით?

– არავითარ შემთხვევაში! რატომ წავაგეთ ომი აფხაზეთში? ამ შეკითხვას ხშირად უბრუნდებიან და უმეტესად, რომელიმე ხელმძღვანელზე ხელის შეწყობით უპასუხებენ, მაგრამ თუ ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ, რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართველების სუსტი მოტივაცია იყო – ტერიტორიული მილიანობა, როგორც მიზანი, არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც აფხაზების რწმენა, რომ იბრძოდნენ საკუთარი სამშობლოს დასაცავად.

არსებობს ერთადერთი გზა – შენ უნდა იყო მასზე ეკონომიკურად ბევრად უკეთესი. მაგრამ ახლა, როცა იქ პენსია 350 დოლარის ეკვივალენტურია, შენი პენსია კი 72 დოლარის ეკვივალენტური, რომელ უკეთესობაზე შეიძლება ლაპარაკი?!

უნდა წავიდეთ მოლაპარაკებაზე, რათა შეიქმნას კონფედერაციული სახელმწიფო. მაგრამ ვეჭვობ, ამაზე დაგვთანხმდნენ.

ფაქტია, აფხაზეთის მიმართულებით უკან წავედით. მაგრამ ეს უკუსვლა არ უნდა გავაძლიეროთ, მაგალითად, აფხაზეთზე გამავალი რკინიგზით მიმოსვლის აღუდგენლობით. ვინმემ იანგარიშა, რა ზარალი მოაქვს ამ გზის უმოქმედობას საქართველოსთვის?

– არ ვიცი.

– ამ რკინიგზის აღდგენით გაიხსნებოდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არხი საქართველოს, როგორც ევროპა-აზიის სატრანზიტო ფუნქციის მქონე საკვანძო ქვეყნის, რაც ნიშნავს ქვეყნის ბიუჯეტში ფინანსური შემოდინების კოლოსალურ გაზრდას!

“დეოკუპაციის” განცხადების იქით ჩვენი “შორსმჭვრეტელი” პოლიტიკოსების თვალსაწიერი არ ვრცელდებოდა. არადა, ეს გზა სწორედ დეოკუპაციამდე მიგვიყვანს.

თუ გვაქვს პრეტენზია ცივილიზებულ სამყაროში ცხოვრების, აფხაზეთზე გამავალი რკინიგზა უნდა გავხსნათ და არ ავეყვით ზოგიერთებს, რომლებიც “ჯიუტობენ, ვითა ჯორი”. რკინიგზა აქამდეც უნდა გახსნილიყო.

– სამეცნიერო კავშირებზე მინდა გეითხოს, ბატონო ნაკოლეონ. სააკაშვილის ზეობის პერიოდში რა მიმართულებით ვითარდებოდა თქვენს აკადემიის კონტაქტები მონათესავე მეცნიერებათა აკადემიებთან? ჰიბრიდული სიმინდის გარდა მეცნიერული ღირებულების რა გამოცდილება გაგიზიარეს ამერიკელმა კოლეგებმა?

– ჯერ ერთი, ჰიბრიდული სიმინდის შემოტანა ჩვენ არავინ გეკითხა. ყველამ იცის, ვისი მითითებითაც გაკეთდა ეს დამუშავება საქმე.

– იმასავით ხომ არ იყო, აიოვას შტატის სიმინდის მოსავლით მოხიბულმა ნიკიტა ხრუშჩოვმა ამერიკელი ფერმერების გამოცდილების გადმოღება და საბჭოთა კავშირში დანერგვა რომ მოინდომა?

– იმას ჰგავდა. მეორე, რაც მთავარია, ჩვენ არავითარი ურთიერთობა არ გვექონდა, უპირველეს ყოვლისა, მსოფლიოში გამორჩეული სამეცნიერო ცენტრებით განთქმულ რუსეთის სოფლის მეურნეობის აკადემიასთან, არც რომელიმე სხვა აკადემიასთან. სააკაშვილის ხელისუფლების დროს მეცნიერება საერთოდ და, კერძოდ, სოფლის მეურნეობის მეცნიერება სრულად იყო იგნორირებული.

– ბატონო ნაკოლეონ, თქვენ ეკონომიკის დარგში მომუშავე ცნობილი მეცნიერი ხართ. ამიტომ მინდა გეითხოს, შეძლებს კი ჩვენი ეკონომიკა წელში გამართვას რუსეთის ბაზრის გარეშე?

– ჩემი კვლევების ძირითადი მიმართულებაა მსოფლიო სოფლის მეურნეობა. თანამედროვე მსოფლიოს განვითარება ქვეყნებს შორის ვაჭრობის ეფექტიანად მოქმედი სისტემის არსებობის გარეშე შეუძლებელია. რაღაც შემოგაქვს, რაღაც გაგაქვს, ეძებ და პოულობ შენთვის ხელსაყრელ გასაღებს ბაზრებს. ეკონომიკის კორექტირებაც ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად ხდება და ა.შ. ეს მუდმივი პროცესია, რომელზეც ზემოქმედება დადებითი ან უარყოფითი კუთხით შეუძლია ხელისუფლებასაც და ბიზნესმენებსაც.

– უნდა ვივაჭროთ თუ არა რუსეთთან? პირდაპირ გეკითხებით.

– მეც პირდაპირ ვიპასუხებთ: აუცილებლად უნდა ვივაჭროთ!

ერთ მაგალითს დავისახელებთ: 2007 წლის მონაცემებით, მსოფლიო რუსეთის ბაზარზე საქართველოს გაქონდა 60 მილიონამდე ბოთლი ღვინო, 2011 წელს კი, ჩვენი ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის წყალობით, ამ პერიოდში განვითარებული ნეგატიური პროცესების გამო, ღვინის მილიანი ექსპორტი 11 მილიონ ბოთლამდე დაეცა. აქედან ნახევარზე მეტი არალეგალურად გაგვექონდა.

როცა გვაქვს ისეთი დიდი მეზობელი, როგორც რუსეთის სახელმწიფო, რომლის მილიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ჩვენი ქვეყნისაა ათასჯერ აღემატება, გასურს თუ არა, მაინც მის ორბიტაზე ტრიბუნალებს, მისი თანამგზავრი ხარ.

როცა ხელისუფლება თავის მოღვაწეობაში ეკონომიკის ელემენტარულ კანონებს არ ითვალისწინებს და ქმნის ხელოვნურ ბარიერებს, ქვეყნის ეკონომიკის რაღაც ნაწილი ემსგავსება “სოხეტიალურ სხეულებს”, რომლებიც ეძებენ “პატრონს”. სააკაშვილის ხელისუფლებამ ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა საქართველო, რაც ქვეყნისთვის დამანგრეველი აღმოჩნდა.

– ამჟამად რა ტენდენციები პრევალირებს?

– ბატონი პრემიერ-მინისტრი ბიზნესიდან მოსული ადამიანია, სწორი, რეალისტური გათვლები აქვს, სწორ პოლიტიკას განახორციელებს, მათ შორის, რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხშიც. მაგრამ პრაქტიკულ შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მთავრობის ეკონომიკურ გუნდზე, იმაზე, თუ რამდენად სწორად მოახერხებს იგი ამ მიმართულებით დასახული გეგმების რეალიზებას.

ამჟამად ხელისუფლება სამუშაო რეჟიმში იმყოფება და მთავარი ყურადღება, ჩემი აზრით, ქვეყნის ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისკენ უნდა მიმართოს, მიუხედავად «ნაციონალური მოძრაობის» მხრიდან გააფთრებული წინააღმდეგობისა და საბოტაჟისა.

ესაუბრა არმაზ სანაბლიძემ



# როგორ "იძცა" უძველესი ქართული ტაძარი



რამდენიმე ხნის წინ აზერბაიჯანში ვიზიტად მყოფ თურქეთის პირველ პირს რეჯებ ტაიპ ერდოღანს, მისმა აზერბაიჯანელმა კოლეგამ, ილჰამ ალიევმა სხვა ღირსშესანიშნაობებთან ერთად, გიშის სამონასტრო კომპლექსიც დაათვალიერებინა და სტუმრის წინაშე თავიც მოიწონა თავის ქვეყნის წარსულით. როგორც რუსული და აზერბაიჯანული პრესა იუწყება, ალიევმა ერდოღანს გიშში წარუდგინა, როგორც უძველესი ალბანური ტაძარი და აზერბაიჯანის კულტურული მემკვიდრეობა. საგარეო ურთიერთობების მინისტრის თანხლებით, ერდოღანს წარმოადგინა არქონდა რომ ქართული კულტურის ნიმუშს ათვალიერებდა, ხოლო ალიევმა რბილად რომ ვთქვათ ეს ფაქტი დამატა. ეს სულაც არაა ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ქართულ ისტორიულ ძეგლებს ჩვენი მეზობლები უაპელაციოდ ითვისებენ და მათ საკუთრებად მიიჩნევენ. ამ პრობლემაზე ვესაუბრეთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს, ისტორიკოს ბუბა კუდავას.

– გიშის მონასტერი ესაა ყველაზე უფროსი ქართული სამონასტრო ცენტრი, საიდანაც მოგვიანებით სამონასტრო ცენტრი ქურმუხში გადმოვიდა, ქართველმა მეფეებმა ამ მონასტერზე გადგინა შედარებით ადრე დაკარგული და ამიტომაც მოხდა საეპისკოპოსო ცენტრის გადმოტანა. ტაძარზე კი არის აბრა, რომ გიშის მონასტერი ესაა ალბანური კულტურის ნიმუში, ასევე იქ არის მიუხედავად რომელიმე უამრავი დამთავლიერებული სტუმრობის და ყველა მათგანი ტაძარს აღიქვამს როგორც ალბანურს, რაც დიდი დანაშაულია. არა მარტო გიშშია ასეთი სიტუაცია, ქურმუხის ტაძარზეც არის მსგავსი აბრა და იქაც ანალოგიური წარწერაა. ესაა წმინდა წელის სივრცე. ქურმუხში, დღევანდელი ტაძარი არის მეცხრამეტე საუკუნის ნაგებობა, რომელიც აშენდა სავარაუდოდ XIII საუკუნეში აშენებული ტაძრის ადგილას. შეიძლება მეხუთე საუკუნეში ან მანამდეც იყო იქ რამე ისტორიული ძეგლი, მაგრამ არავითარი კვლევა არ ყოფილა და მასზე იმის თქმა, რომ ალბანურია, არ შეიძლება.

– ბატონო ბუბა, ზოგადად რამდენად შეიძლება აზერბაიჯანელები ალბანელების მემკვიდრეობად ჩათვალოთ?

– აზერბაიჯანელებს აქვთ ლეგიტიმური უფლება, რომ იამაყონ ალბანური წარსულით, რადგან ის ალბანელი მოსახლეობა, რომელიც იქ იყო, არ აორთქლებულა და შეერწყა ადგილობრივ მოსახლეობას, შეერწყა მეზობლებს, მათ შორის ქართველებსაც, თუმცა მათი სამოსახლო ადგილები, ძირითადად, აზერბაიჯანის ტერიტორია იყო და სავსებით ლოგიკურია, რომ აზერბაიჯანელებმა იამაყონ ალბანური კულტურით, მაგრამ არა მეზობელი კულტურის ხარჯზე. სხვისი წარსულის მითითება ხომ საკუთარი წარსულის სიმწირეზე მიუთითებს! თუ რომელიმე ძეგლი აქვს ალბანური წარსული ან რაღაც ეტაპი ალბანური ეპოქისა, ამის აღნიშვნა და ამით თავის მოწონება გასაგებია, მაგრამ ჰერეთის ტერიტორიაზე არსებული ძეგლები ალბანურად მოხსენიება სრული აბსურდია. არის კიდევ ერთი მომენტი: იქ არსებული ძეგლები არ არის კარგად შესწავლილი. არც ქართველებს გვეძლევა საშუალება, რომ შევისწავლოთ, ხოლო აზერბაიჯანელი მეცნიერები არათუ არ გამოთქვამენ სურვილს, რომ შესწავლონ, არამედ

# ალბანურად აღიგებოდა ანის უძველესი

განზრახ ითრევენ ფეხს, რადგან ეს არის ის შემთხვევა, როდესაც ისტორიის გამოყენება ხდება როგორც პოლიტიკური იარაღისა. ამ პროცესში კი ხდება ისტორიის დამახინჯება, რაც დამთავრებით რომ დანაშაულია. ზოგადად გადაშენებული კულტურის მემკვიდრეობის საკითხი ცოტა პირობითია. თუმცა ეს კარგად შეიძლება გამოყენებული იქნეს პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგალითად: ტერიტორიული საკითხების გადასჭრელად, ისტორიის "დასაბუთებლად", პოლიტიკური იდეების გასამყარებლად და სხვა.

– აზერბაიჯანში არსებული ქრისტიანული ძეგლები შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ალბანური კულტურის ძეგლებად, როგორც ამას აზერბაიჯანელები ამბობენ?

– ალბანეთი ეს იყო ისტორიული კავკასიის ერთ-ერთი სახელმწიფო. V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალმა შემოიერთა ალბანეთის სამეფო, შესაბამისად ვახტანგის პერიოდთან აკვებული ქრისტიანული ძეგლები ლოგიკურად ქართული კულტურის ნიმუშებია და სრულიად აბსურდია მათი ალბანურ (მით უმეტეს – მუსულმანურ) ძეგლებად გამოცხადება. ვახტანგის შემდეგ დაახლოებით მერვე საუკუნეში აქ ყალიბდება ჰერეთის სამეფო, რომელიც შედევ სამეფოდ იქცა. ეს იყო ქართული პოლიტიკური ერთეული, შესაბამისად ამ პერიოდში აკვებული ძეგლებიც, ყველა უპირობოდ ქართულია. როგორც ჩანს, ჩვენი აზერბაიჯანელი კოლეგები ალბანეთის ისტორიის პერიპეტებს ითვალისწინებენ და ძეგლებზე ხშირად გვხვდება წარწერა – ალბანეთის კულტურის ძეგლი, V საუკუნე ანუ ხდება ძეგლის ხელმოწერად დაძველება, რომ გადაიტანონ ვახტანგამდელ ეპოქაში და შემდეგ ალბანურ ძეგლად მონათლონ.

– დღეს ამ ორ ქვეყანას შორის არსებული ვითარება მსოფლიო დავებით შეიძლება ეწოდოს და ამის ფონზე არ გვეძლევა საშუალება რომ სამცხე-ჯავახეთში ჩატაროთ სიმართლის დასამტკიცებლად?

– ვფიქრობ დღეს არსებული დამთბარი პოლიტიკური სიტუაციის ფონზე სრულიად ალოგიკურია და ანაქრონიზმია, რომ არ გვეძლევა საშუალება ისტორიული ძეგლების საფუძვლიანი კვლევა ჩატარდეს. კიდევ ვიმეორებ, გადაწყვეტილების მიღება,

რომ ჩატარდეს ერთობლივი სამეცნიერო კვლევა, ძალიან ადვილია, მთავარია იყოს პოლიტიკური ნება იმათი მხრიდან, თუმცა აზერბაიჯანელები ამას კატეგორიულად არ ეთანხმებიან და არ მოდიან თანამშრომლობაზე, რადგან ერთობლივი სამუშაოების შემდეგ მათ მოუწევთ სიმართლის აღიარება, რაც არც მეცნიერებს აწყობთ და არც პოლიტიკოსებს. მაგ: ცოტა ხნის წინ ქურმუხის ტაძარს ჩაუტარდა რესტავრაცია. ეს მოლიანად აზერბაიჯანელმა მხარემ ჩაატარა, კარგია, რომ აღდგენა მოხდა და ტაძარი კარგ მდგომარეობაშია, მაგრამ რესტავრაციის დასრულების შემდეგ ტაძარზე არ აღმართეს ჯვარი, იმ საბაბით, რომ ესაა ალბანური ძეგლი და ალბანურ კულტურაში ტაძარზე ჯვრის აღმართვის ტრადიცია არ არსებობს. ბუნებრივია, ეს აბსურდია (სხვათაშორის გიშის ტაძარზეც რესტავრირებულია და არც მასზეა აღმართული ჯვარი). შემდეგ ამას მოყვა ადგილობრივების პროტესტი და იძულებული გახდნენ ჯვარი აღმართათ. და ამას აკეთებენ იმ რელიგიის წარმომადგენლები, რომელთაც არავინ უშლის ხელს საქართველოში მენეთების აგებაში!

– გარდა აზერბაიჯანული მხარისა სხვა მეზობლებიც არაერთ ტაძარზე აცხადებენ რომ ის მათი საკუთრებაა

– საცხებოთ გეთანხმებით. კავკასიაში არის ისტორიული ძეგლები, რომლებიც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ცხადდება სომხურ ან გნებავთ აზერბაიჯანულ ძეგლებად. თუ რომელიმე ძეგლის მშენებლობისას მონაწილეობა მიიღო სომეხმა ან აზერბაიჯანელმა მუშამ თუ შემომწირველმა, ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ეს ძეგლი ამ ეროვნების ხალხის კუთვნილებაა. ასეთ შემთხვევაში გამოსავალი არის მკაფიო კრტიკური შეფასება – რა უნდა ჩაითვალოს ქართულ-მართლმადიდებლურად და – რა არა, მაგალითად თუკი ტაძარში აღესრულბოდა ქართული წირვა-ლოცვა, სავსებით ბუნებრივია – ეს ტაძარი ქართულია, ქრისტიანული, ხოლო თუ აღესრულებოდა სომხური წირვა-ლოცვა. ესაა სომხური. მიუხედავად იმისა, თუ ვინაა მისი ამშენებელი. ნუთუ ყოველივე ეს ძნელი შესამეცნებელია?

ლ. ბობოლაძე

# "ბატონო ბიბინა, ნუ დაუშვებთ აფხაზეთის მთავრობაში კვლავ კეკელის კარკაშს"

ყოფილი პარტიზანული შენაერთის, "თეთრი ლეგიონის" მეთაური ზურაბ სამუშია აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, ვია ბარამიას შესაძლო გათავისუფლებასა და მის ადგილზე ბესარიონ მიქელაძის მოსალოდნელი დანიშვნის შესახებ დაპირაკობს. აცხადებს, რომ მიქელაძეს არ იცნობს არც ქართველი და არც აფხაზი საზოგადოება და მისი დანიშვნა არაფერს მოუტანს ქვეყანას.

– აფხაზეთის მთავრობის სათავეში ისეთი კაცი უნდა მოვიდეს, რომელიც მე და სერგეი შამბას შეგვარბიებს. ჩვენ ვერ დავახლოვდებით შუამავლის გარეშე. შუამავალი კი არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩეული კადრი კი არა, ბრძენი კაცი უნდა იყოს, რომელსაც აფხაზები პატივს სცემენ და მათთან დალაპარაკებაზე უარს არ იტყვიან, რადგან აფხაზეთში დღესაც გაველენიანია უხუცესთა საბჭო. მათ შეუძლიათ, ომიც კი შეაჩერონ. ლორიკ მარშანია იყო ასეთი კაცი, ახლა კი, ასეთ ადამიანად მხოლოდ ბატონი ალექსანდრე ჭაჭია მიმჩნია, ისიც, მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის რანგში! მოვიტხოვ, ხელისუფლებამ არ გაიმეოროს წინამორბედების შეცდომა და ე.წ. აფხაზეთის დეფიციტური მთავრობის სათავეში ჩაუყენოს ის, ვისაც აფხაზებთან მიესვენება. ბუტაფორები არ გვეჭირდება!

– დეფიციტური მთავრობის ბუტაფორულს უწოდებთ?

– ე.წ. აფხაზეთის მთავრობის დეფიციტია იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რათა საერთაშორისო ორგანიზაციების დასახნავად ჩამოეყალიბებინათ სიმბოლური სტრუქტურა. სასაცილოდ არ მყოფის ამ მთავრობის დეპუტაციის მტკიცება, რომ თურმე ჩვენ, დევნილებს, ისინი აგვირჩევიან მუდმივად. არადა, მხოლოდ ოთხწლიანი უფლებამოსილება აქვთ, რომელსაც თვითნებურად იგრძელებენ. ვიღაც იტყვის, სამუშაოს თანამდებობა მოუნდაო. არაფერი მინდა

ჩემს მიწაზე დაბრუნების გარდა. ეს მიქელაძე რომ აცხადებს, ყველა არასამთავრობო ორგანიზაცია და ხალხი მიჭერს მხარსო, ვის მხარდაჭერაზე დაპირაკობს? ოდესმე ყოფილა იმ ბიჭებთან, ვინც სისხლი ანთხია აფხაზეთის შესანარჩუნებლად და ვინც დღეს, სახელმწიფოს სამარცხვინოდ, გაჭირვებით ცხოვრობს? მივმართავ ბიბინა ივანიშვილს: გენდეთ, როდესაც არჩევნების წინ ზუგდიდში ყოფნისას თქვით, რომ აშშ-ში მდებარე უნივერსიტეტს, სადაც კავკასიელები, აფხაზები ისწავლიდნენ, ვეღვაფერს გაგაკეთებთ მათთან შესარიგებლადო. გენდეთ, როდესაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე დაიწყეთ დაპირაკობა და გთხოვთ, ნუ დაუშვებთ აფხაზეთის მთავრობაში კვლავ კეკელის კარკაშს. აფხაზეთის დეფიციტური მთავრობის დეპუტაციიდან არც ერთთან აფხაზები მოსალაპარაკებლად არ დასხდებიან.

– რას გულისხმობთ?

– იმას, რომ ამ დეპუტაციასა და აფხაზებს შორის კონფლიქტი ომამდე არსებობდა. ამაზე დაპირაკობა შორს წავიყვანს. იმის თქმა მინდა, რომ შეცდომების დაშვების უფლება ადარ გვაქვს. ყველას უნდა მოგვეკითხოთ ჩვენი ცოდვების გამო.

– აფხაზეთი ხომ მიიჩნევენ, რომ მათ არც ცოდვები აქვთ და არც შეცდომები?

– უამრავი ცოდვა და შეცდომა აქვთ და ყველა ანტისახელმწიფოებრივი. რკინიგზის ათონი-გუდაუთის მონაკვეთზე რასაც სწავლიდნენ, მარტო ის რად ღირს?! ყველა სატვირთო შემადგენლობა იმარცხვებოდა. მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, თენგიზ სიგუას მონაცემებით, სახელმწიფოს სამხანგვარი ტრილონი რუბლის ზარალი მიადგა. ასე რომ გაგრძელებულიყო, ვალებს თავს ვერასოდეს გადალწყვდით, ამიტომ გამართლებული იყო იქ კანონდამცავი დონისიძებების გატარება.

– რა აზრის ხართ რკინიგზის შესაძლო აღდგენის თაობაზე?

– 2001 წელს სომხეთის ახალარჩეული პარლამენტის თავმჯდომარე იმყოფებოდა

თბილისში და ნინო ბურჯანაძეს მოსთხოვა აფხაზეთში რკინიგზის აღდგენა. მაშინ ვთქვი, რომ მისი განცხადება იყო უცხო ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა, ბურჯანაძემ კი პირიქით, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენას წინ უნდა უსწრებდეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. თავის დროზე ამ მაგისტრალის მონიტორინგი გააკეთე, მისი უფუნქციობით წელიწადში დაახლოებით მილიარდი დოლარით ზარალდება საქართველო, რუსეთი კი 13 მილიარდს კარგავს.

– დღეს ხომ არ არის მოგვარებული ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, გამართლებულია რკინიგზის აღდგენა?

– მაგ საკითხს 2001 წელს სოჭში შევარდნაძე, პუტინი და არძინბას მთავრობის წარმომადგენელი რომ შეხვდნენ ერთმანეთს, მაშინ მოეწერა ხელი. გაგაპროტესტე, აფხაზეთი მხარედ არ უნდა წარმოჩენილიყო, რადგან აფხაზეთის რკინიგზა საქართველოს რკინიგზა-მეთქი. მაშინ ასე ამხსნეს, ფსოვთან ენგურის ხიდამდე კონტროლი აფხაზურ მხარეს დაეკისრება და ამიტომაც იახლებს რუსებმა აფხაზი თანი.

– თუ აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზას მხოლოდ აფხაზები გააკონტროლებენ, ეს ხომ ფაქტობრივად საზღვრის აღიარებას ნიშნავს?

– თუ ჩვენ ვფიქრობთ მოლაპარაკებებსა და შერიგებაზე, მაშინ კიდევ ბერის დათმობა მოგვიწევს, სხვა შემთხვევაში ომის ენა გამოსვავდა, 21-ე საუკუნეში კი ომს შედეგი არ მოაქვს. სამწუხაროდ, აფხაზეთი რუსეთმა აღიარა და ახლა სხვა რეალობაა.

– აფხაზურმა მხარემ განაცხადა, რკინიგზა რომც გაიხსნას, საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება არ გვინდაო...

– აფხაზეთი ყოველთვის ასე იჭერდნენ თავს, მაგრამ რამდენიმე წლის წინ ალასანია რომ ჩავედა, ხომ მიიღეს? მათ ირაკლი ჩათვალეს მისადგე ფიგურად. სამწუხაროდ, ირაკლის არ დააცადეს საქმის კეთება, მეტიც, აღმოჩნდა, რომ სააკაშვილის ხელისუფლების და ალასანიას გეგმები

ერთმანეთს ვერ ემთხვეოდა, რადგან 2006 წლის შემდეგ აფხაზეთთან ფაქტობრივად შეწყდა დიალოგი. ვიცით, რითაც დასრულდა ეს 2008 წლის აგვისტოში. რუსეთმა აღიარა აფხაზეთი, იმის გაკეთების შესაძლებლობა მივეცი, რასაც მანამდე ვერ ახერხებდა, მიუხედავად იმისა, რომ 1993 წლიდან რუსეთი ტერიტორიულად და იურიდიულადაც აკონტროლებდა აფხაზეთს. ეს ადარ უნდა განმეორდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ომამდე მივა საქმე, ავანტიურისტი პოლიტიკოსები ისევე მოიქცევიან, როგორც არაერთხელ და ბოლოს, 2008 წლის ომში მოიქცნენ.

– ამბობენ, ბაჩო ახალაიას ერთ-ერთი ახლობელი, ყოფილი ჩინოსანი მეგობარს კარდავა სამეგრელოს ტყვეებშია გახიზნული და ნიშანს ელოდება, რომ ბუნტი დაიწყოს.

– არ ვიცი, სად არის მეგობარს კარდავა, მაგრამ თუ ქვეყნის არევის აპირებს, ვეჭვობ, ყველამ კარგად იცის, ასეთმა ბრიყვებმა საქციელმა საქართველო რა დღეშიც ჩაავლო. შეცდომებს პოლიტიკოსები უშუქებდნენ, მათზე აყოლილი ზოგიერთი უგუნური კი ქვეყანას ანგრევდა, მარტო სამეგრელო რად ღირს? მერე აფხაზეთი... სოხუმში სამცხე-ჯავახეთის ინსტიტუტის თანამშრომელი ვიყავი და რომ არიეს ქვეყანა, იძულებული გავხდი, იარაღი ჩემი ოჯახის დასაცავად ამეღო და პარტიზანი გამხდარიყავი. ახლა იმავეს გაკეთების უფლება, თანაც წინასწარი განზრახვით, რომ ქვეყანა უნდა აირიოს ვიღაცის ინტერესების გამო, არ შეიძლება.

პოლიტიკოსებს შეუძლიათ ქვეყანა დაპირისპირების ზღვარზე მიიყვანონ და ყველაზე მძიმე წუთებში მიატოვონ, ისტორია კი არა მხოლოდ მათ, ჩვენც არ გვაპატიებს შეცდომას. ტყეში გავარდნა და ქვეყნის არევა კი არა, სტაბილურობის დაცვა უნდა იყოს ჩვენი საფიქრალი. თუ გარედან არ დაგვემუქრება საფრთხე, საქართველომ უნდა დააღწიოს თავი იარაღთან საბედისწერო თამაშს.

ი. ლომიძე

ბულბაათ რცხილაძე: „საქართველოს საბარეო პოლიტიკის კვლევა და ახალი პერიოდები“



საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ეს მოვლენა არაორდინალური საპარლამენტო პრაქტიკაში, თუმცა არა პრინციპულად მიუღებელი და, მით უმეტეს, ლეგიტიმაციას მოკლებული. ამასთან, მხედველობიდან არ უნდა გამოვტყდეთ რეზოლუციის მიღების მიზეზი – იგი განაპირობა მძაფრმა შიდაპოლიტიკურმა დაპირისპირებამ და არჩევნების შედეგად დამარცხებული „ნაციონალური მოძრაობის“ დემაგოგიამ, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ ცვლილებასთან დაკავშირებით. საზოგადოდ, საშინაო და საგარეო პოლიტიკა მჭიდროდ არის ურთიერთდაკავშირებული, პრაქტიკულად მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში შიდაპოლიტიკური კონიუნქტურა მეტად ან ნაკლებად პოულობს ასახვას. საქართველოს პარლამენტის მიერ ამა წლის მარტში მიღებული რეზოლუცია ამგვარი საშინაო კონიუნქტურის ანარქულად უნდა განვიხილოთ.

მეორეს მხრივ, არც ის ფაქტორია მხედველობიდან გამოსარჩენი, რომ ადგილი აქვს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებზე გარე ძალების არსებით ზეგავლენას (სპეციალურად არ ვიყენებთ ფორმულირებას – „საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა“, თუმცა ამ ცნების გამოყენება სავსებით მართებული იქნებოდა). ჩვენ მოვწოდებთ ვართ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, რიჩარდ ნორლანდის პიპერაქტიურობისა – ბატონი ელჩი ხან ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს ხვდება, ხან მეორისას, მუდმივად აკეთებს კომენტარებს პრესის წინაშე საქართველოს შიდაპოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით, მისივე განცხადებით, „სწავლობს“ და „აკვირდება“ ამა თუ იმ მოვლენას, უხვად ართვებს რჩევებსა და რეკომენდაციებს, კორექტულად, მაგრამ ფაქტობრივად მოძღვრავს ქართულ საზოგადოებას მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. არანაკლებ აქტიურობენ ევროპელები, ევროპარლამენტში წარმოდგენილი უმსხვილესი „სახალხო პარტის“ სახით, რომელიც „ნაციონალურ მოძრაობას“ თავის პარტნიორად განიხილავს და 2012 წლის 1 ოქტომბრის შედეგად „შეშფოთდა“ საქართველოში დემოკრატიისა და სიტყვის თავისუფლების ბედით. გარდა „სახალხო პარტიისა“, არც ევროკავშირის სტრუქტურები ტოვებენ საქართველოს შიგნით მიმდინარე პროცესებს უყურადღებოდ. ყველა მათგანი კი ერთხმად განაგრძობს ქართული პოლიტიკური სპექტრის შეფუძინებას, გაგრძელებულ იქნას საქართველოს „სეფა“ დასავლეთისკენ, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირებისკენ სწრაფვა და ა.შ.

არსებობს საპარლამენტო რეზოლუცია სწორედ ამ საშინაო და საგარეო ფაქტორების გამოძახილია, რომელიც აუცილებლად საჭიროებს საზოგადოების მხრიდან განხილვასა და შეფასებას. პირველ ყოვლისა, არ უნდა დაგვაიწვიდეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტს არ აქვს კანონის ძალა და იგი აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის საგადადებულად შესასრულებელი ვერ იქნება. მით უმეტეს, ეს არ არის იმ ტიპის დოკუმენტი, რომელიც მომავალში ვერ გადაიხედება და მისი პრინციპები არ შეიცვლება. ამ მხრივ, რეზოლუციის დიდი ორიენტილი დატვირთვა არ აქვს და ეს კარგია, რადგან სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მოქნილი, შეუზღუდავი უნდა იყოს და მას არ ესაჭიროება არტახეზში მოქცევა. მაგრამ მიღებულ დოკუმენტს აქვს მორალური დატვირთვა, იგი ასახავს ლეგიტიმური პარლამენტის ნებას. სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებას“ მოუწია, საგარეო უწყობის პირობებში დათმობაზე წასვლა და რეზოლუციაში გათვალისწინებული „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელთა აზრებიც. ალბათ

გასაგებია, რატომ – სამწუხაროდ, ვინაიდან სწორედ „ნაციონალურ მოძრაობას“ უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენს უძლიერეს და უახლოეს მეზობელ რუსეთთან ურთიერთობების გაწვევას, ომსა და ამის შედეგად საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას. საქართველო რომ შემდგარი, სუვერენული სახელმწიფო იყოს, ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ გასამართლებელი იქნებოდა, როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაცია, ნაცვლად იმისა, რომ მასთან შეთანხმებული ყოფილიყო ქვეყნის სტრატეგია. მაგრამ ასეა თუ ისე, ახალმა მმართველმა პარტიამ ის მაინც მოახერხა, რომ ქვეყანას ააცილა სრული აბსურდი – კონსტიტუციაში საგარეო პოლიტიკური კურსის თაობაზე შენიშვნების ჩამატება. ისიც უნდა ითქვას, რომ თავად მიღებული საპარლამენტო რეზოლუციაც მთლიანობაში ნორმალურ შიდაპოლიტიკურ ტოვებს, ზომიერია და იგრძნობა, რომ მმართველმა პარტიამ მაქსიმალურად შეაფერხა „ნაციონალური“ დემაგოგიის ზეგავლენა რეზოლუციის ტექსტზე. მაგრამ დოკუმენტი შეიცავს რამდენიმე მიუღებელ პუნქტსაც, რომელთა პრაქტიკაში რეალიზება მთავრობის მხრიდან, ქვეყნის ინტერესებისთვის საშიშრო იქნება.

პირველ ყოვლისა, პრინციპულად მიუღებელია დოკუმენტის მე-18 პუნქტი, რომლის მიხედვითაც – არ უნდა იქნას დაშვებული რეალური დაახლოება საქართველოსა და რუსეთის შორის, ამ პუნქტში ამთავითვე გამოიკვეთილი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება რუსეთთან ისე, რომ თავად რუსეთი არც არის ნახსენები. გასაკვირი არაა, რომ დიპლომატიური ურთიერთობების თემა დემაგოგიურად არის მიბმული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხთან: „საქართველოს არ შეიძლება აქონდეს დიპლომატიური ურთიერთობები ან იმფორმალური სამხედრო-პოლიტიკური ან საბაზო კავშირები იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც აღიარებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას. საქართველო გაატარებს თანამიმდევრულ საგარეო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს თავისი ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საერთაშორისო პატივისცემის უზრუნველყოფა“.

რბილად რომ ვთქვათ, შეცდომაა საკითხის ამგვარი დასმა, რადგან საქართველო არ არის იმ მდგომარეობაში, რომ თავს ფუფუნება მისცეს, წინასწარ განსაზღვროს, ვისთან უნდა აქონდეს დიპლომატიური ურთიერთობა და ვისთან – არა, რომელ სახელმწიფოებთან დაამყაროს სავაჭრო ან სამხედრო-პოლიტიკური კავშირი და რომელთან – არა. მაგალითად, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ასეთ პოლიტიკას ატარებს და ტაივანის აღიარებას დიპლომატიური ურთიერთობების გაწვევების შექარით აბრკოლებს, შესაძლო სახელმწიფოების მხრიდან, მაგრამ ეს არის ჩინეთი, თავისი უზარმაზარი პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენით მსოფლიო დონეზე, რომელსაც საქართველო ამ შემთხვევაში აუცილებლად არ უნდა ბაძავდეს. საქართველოსთვის უფრო საინტერესო უნდა იყოს სერბეთის მაგალითი, რომელსაც დასავლეთმა მისი უძველესი მიწა-წყალი – კოსოვო ჩამოატარა და დამოუკიდებლად აღიარა. სერბეთისთვის ეს არანაკლები ტრაგედიაა, ვიდრე საქართველოსთვის აფხაზეთი და სამხაბლო, მაგრამ სერბეთის სახელმწიფოს არ გაუწვევია დიპლომატიური ურთიერთობები კოსოვოს ამღიარებულ სახელმწიფოებთან და თან „ოკუპანტ“ ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებისკენ მისიწვევას. საქართველოსთვის უზარმაზარი მეზობელი რუსეთი იგივე მნიშვნელობისაა, რა მნიშვნელობაც სერბეთისთვის აქვს ევროკავშირი, გამომდინარე მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან. თუკი საქართველომ თავიდანვე გამოიციხა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მიმდინარე მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობის შესაძლებლობები, სადაც რუსეთი მონაწილეობს, ეს იქნება კიდევ ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი, რომელიც ვერ დაგვახლოებს საქართველოს გაერთიანების მიზანთან.

მაგრამ ინტეგრაციული პოცესებიდან საკუთარი თავის გამოჯანსაღ კიდევ უფრო მიმე იქნება რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე უარის თქმა. „ნაციური“ დემაგოგია იმის თაობაზე, რომ დიპლომატიური ურთიერთობების განახლება იმ სახელმწიფოსთან, რომელ-

მაც „ოკუპაცია“ მოახდინა და აღიარა ჩვენი ტერიტორიები, ამ ტერიტორიების ჩვენი მხრიდანაც აღიარების ტოლფასი იქნება, კრიტიკას ვერ უძლებს. დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის მომენტში საქართველოს შეუძლია, წყველობით და ზეპირად, ოფიციალურად დააფიქსიროს, რომ იგი არასოდეს გაიზიარებს რუსეთის მხრიდან თავისი ტერიტორიების აღიარებას და რომ რუსეთი და საქართველო ამ კონკრეტულ საკითხზე ვერ თანხმდებიან. ეს უკვე საკმარისია იმისათვის, რომ საქართველოს მხრიდან აღიარება გამოირიცხოს. პირიქით, დიპლომატიური ურთიერთობები და საერთოდ, რუსეთთან დაახლოება, საქართველოს შანსებს ბევრად ზრდის, მომავალში გავლენა იქონიოს აფხაზეთთან და კავშირებულ პროცესებზე. მრავალჯერ მითქვამს და ახლაც გაივლილებ: საქართველოს არაკეთილმოხურნებს არაფრის ისე არ ეშინიათ, როგორც რუსეთის და საქართველოს ერთმანეთთან დაახლოებისა. არავის ადევნებს არც სოსუქში და არც ცხინვალში, თუკი თბილისი ასიათასჯერ გაიმეორებს, რომ მას ნატოში და ევროკავშირში სურს შესვლა. სოლო როცა საქმე რუსეთთან ურთიერთობების დათბობას ეხება, სეპარატისტების ემისრები რუსეთში მაშინვე აქტიურდებიან, რუსულ პრესაში ჩნდება აშკარად დაკეითილი ხასიათის ანტიქართული სტატიები, იწყება ისტერია იმის თაობაზე, რომ რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთის და ოსების „ზურგს უკან“ არ განახორციელოს მოლაპარაკებები საქართველოსთან და ა. შ. ამ მხრივ უზარმაზარი მნიშვნელობა აქონდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მისი უწმინდესობა ილია მეორის ვიზიტს მოსკოვში, რომელიც ამა წლის იანვარში შედგა. გარდა იმისა, რომ პატრიარქმა გააძლიერა ყინული და საფუძველი ჩაუყარა ორმხრივი ურთიერთობების აღდგენას, მისმა ვიზიტმა დიდი შეშფოთება და აყვალ-მყვანი გამოიწვია ანტიქართულად განწყობილი ელემენტებში, რომლებიც სოსუქში და ცხინვალის გარდა, სამწუხაროდ, მოსკოვშიც უხვად არიან. ამის შესახებ ჩემთვის ჩემი რუსი კოლეგებისგან არის ცნობილი. ამ შეშფოთებამ ნაწილობრივ გამოხატულა ჰაოვა საჯარო სივრცეშიც – ამოქმედდა სეპარატისტების დიპლომატიური ურთიერთობების დაახლოების იდეა და კერძოდ, პატრიარქის მიერ გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები. ამ ფონზე ქართული სახელმწიფო პასიურად არ უნდა იქცეოდეს და „ნაციპროპაგანდით“ დარეგისტრირებული, შეცდომას შეცდომაზე არ უნდა უმატებდეს. უკვე უიმედოდ მოქმედდა თავამოდებით ორიენტაცია დასავლეთზე, საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთთან და რუსეთში უნდა იმუშაოს ინტენსიურად. ეს არ იქნება ადვილი, ჩვენ წინ გველის ბრძოლა, დიდი ბრძოლა, მაგრამ ეს გამოწვევა უნდა მივიღოთ და განვსაზღვროთ ჩვენი ახალი პერიოდები – რუსეთთან არა მხოლოდ ზერედე დაშოშინება და გაუთავებელი დიალოგი, არამედ მეტი აქტიურობა, დაახლოება და შედეგი გეჭირდება! ეს კი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის გარეშე, უბრალოდ ძნელი წარმოსადგენია, თორემ სხვა მხრივ, შეიძლება კიდევ, მოვალეობით სიტუაციის დაკონსერვაცია და ამ საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სანამ შორეულ და რთულად განსახორციელებელ მიზანმდე მივალთ – საქართველოს ერთიანობის საკითხის გადაწყვეტამდე, მანამდე ბევრი საჭირობო საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი, რომელიც რუსეთის გარეშე არ მოგვარდება – ვაჭრობა, შრომითი მიგრაცია, სავიზო რეჟიმის შეზღუდვა და პერსპექტივაში მოხსნა... ყოველივე ეს დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე მხოლოდ ნაწილობრივ მოგვარებადია. საქართველოს კი განვითარებისთვის სიახლეები სჭირდება. აუცილებლად უნდა გაგრძელდეს „ნაციონალური მოძრაობის“ დასუსტების და პოლიტიკური პროცესების ჩამოშორების პროცესი. ისე არ უნდა მოხდეს, რომ „ნაციები“ ფიზიკურად ხელისუფლებაში არ იქნებიან, მაგრამ ოპოზიციიდან, ისტერიითა და დემაგოგიით მოახდინონ გავლენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, მათ შორის, საგარეო პოლიტიკის სფეროში. სააკაშვილის დამქაშებისთვის რუსეთთან ურთიერთობის თემა პროპაგანდისტური ინსტრუმენტია, რომლის გამოყენებას დიდი ინტელექტი არ სჭირდება – მთავარია, ისპეკულანტო ტერიტორიების თემით და ემოციური ფონის დაძაბვა გარანტირებულია. მე არ ვგულისხმობ სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას, არამედ ხელისუფლების მხრიდან დემაგოგიებისა და პროვოკატორების იგნორირების აუცილებლობას. ხალხის მხარდაჭერა ხელისუფლებას ამ საკითხში გარანტირებული აქვს, ამას არაერთი სოციოლოგიური გამოკითხვა მოწმობს – ქართველ ხალხს სურს რუსეთთან დაახლოება, მასთან სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და რაც მთავარია, სულიერი ურთიერთობების გაღრმავება. კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ყოველივე ამის სრულფასოვანი განხორციელება პოლიტიკური გადაწყვეტილებების გარეშე შეუძლებელია. ამიტომ „ნაციონალების“ პროპაგანდას უფრო ხელისუფლებამ არ უნდა ათხოვოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნამდვილად ახდება კახა ბენდუქიძის სტელევიზიო „პროგნოზი“ იმასთან დაკავშირებით, რომ ივანიშვილის ხელისუფლებას დაახლოებით ერთ წელიწადში მკვეთრად გაუფუჭდება აწ უკვე ნელ-ნელა დაწყებული, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტი ურთიერთობები რუსეთთან. ამის შესახებ იმავე სტელევიზიო გადაცემაში განცხადება და ახლაც ვაცხადებ.

იმისათვის, რათა ხელისუფლებამ მეტი სითამამე გამოავლინოს და ხალხის მხარდაჭერის ირწმუნოს, საზოგადოებამ უფრო აქტიურად და შეინიღბადად უნდა გამოხატოს თავისი პოზიცია რუსულ-ქართული ურთიერთობების მიმართ. აუცილებელი არაა, ყველა პოლიტიკის სპეციალისტი იყოს (მით უმეტეს, სამწუხაროდ, სულ ერთი მუჭა სპეციალისტი გვყავს, „ექსპერტებად“ მონათლულ დილემანტებს და თვითმარქვიებს თუ არ ჩავთვლით). პირიქით, სწორედ აპოლიტიკურმა და უპარტიო მოქალაქეებმა, რომლებიც თავიანთი სფეროში არიან სპეციალისტები, მაგრამ რუსულ-ქართული ურთიერთობების თემა მათ ინტერესებს ეხება ან ხვდება, რომ ეს თემა ქვეყნის საერთო განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, უნდა გამოიქვანებულ დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ ევრაზიის ინსტიტუტის მიერ განხორციელებული ინიციატივა, როდესაც 27 თებერვალს, სასტუმრო „ვერვ-პალასში“ ქართული ინტელექტუალის ცნობილი წარმომადგენლები, ასევე ვეტერანი სპორტსმენები და ახალგაზრდობა შეიკრიბნენ. სხვებზე უფრო მეტად გაიხსნა საზოგადოებრივი დისკუსიები რუსულ-ქართული ურთიერთობებზე. საინტერესოა, რომ თითქმის 100 ადამიანი შეიკრიბა 27 თებერვალს და სრული ერთსულოვნება სუფევდა მათ შორის განსახილველ თემაზე (ერთი გამონაკლისის გარდა). სწორედ ამ გარემოებამ გააძლიერა „ნაციონალების“ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიები და ატყდა აურხაური, შეკრების მონაწილე ინტელექტუალის ზოგიერთი წარმომადგენლის გამოძახება სატელევიზიო შოუებში მონაწილეობის მისაღებად და იქ უზრუნველსტებად მონათლული „ნაციონალების“ მიერ წინესა გასატარებლად. ასეთი ნათელი მაგალითია ეკვესიტადის მიერ მომზადებული გადაცემა „აქცენტები“, სადაც იგი შეეცადა, ირმა სოხაძისა და ჯემალ სეფიაშვილის ფსიქოლოგიურ ტერიორიებას – ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. გამომდინარე აქედან, მივიჩნევ, რომ ევრაზიის ინსტიტუტის წამოწყება აბსოლუტურად გამართლებულია და საჭირო. უახლოეს ხანებში შესხვედრების ფორმატი ვეფაროვდება და ტრიბუნა მიეცემა ყველა მსურველს. ხელისუფლებამ კი ეს უბრალოდ უნდა შეინიშნოს, დაინახოს და ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს, მას ჩვენგან მეტი არაფერი მოელოება.

ბულბაათ რცხილაძე, პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი სამიწვორში

# სკორტული კუთხე მიჰყავს შურნაღის ბიორბი ჯალალნიას ზაქარია ბებლარიშვილი: მაისამდე ბოლნისის "სიონში" ვითამაშებ

ბოლნისის "სიონის" სატრანსფერო აქტიურობა და გამჭრიახობა უდავოდ ფეხბურთის გულშემოტივართა პატივისცემას იმსახურებს. იმ დროს, როდესაც ჩვენი ჩემპიონატის ლიდერები ევროპელების ჩამოყვანაში საკმაოდ დიდ თანხებს ხარჯავენ, ბოლნისელები ბევრად ნაკლები საფასურით ცნობილი ქართველი მოთამაშეების დამატებასა და საკუთარი საფეხბურთო კლუბის გაძლიერებას ახერხებენ.

ჯერ იყო და გუნდში მახანკალის "ანუის" ყოფილი შემტევი ნახევარმცველი ირაკლი კლიმაშვილი დაიმატეს. როგორც შევეცდეთ, ირაკლი კლუბს უკვე შეუთანხმდა და სეზონის ბოლომდე "სიონში" ითამაშებს.

თბილისის "დინამოსთან" ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც 23 მარტს დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გაიმართა, ბოლნისელთა რიგებში კიდევ ერთი ახალ-წვეული, ზაქარია ბებლარიშვილი გამოჩნდა.

ესტონეთის ჩემპიონატის ბომბარდირებში მესამე ადგილზე გასული ბებლარიშვილი ტალინის "ფლორადან" წამოვიდა. მას კონტრაქტი დაუმთავრდა. ამავე დროს, მეტისმეტად დაბალ ხელფასს იღებდა და ასეთ პირობებში ესტონეთში დარჩენა აღარ უღირდა.

რაც მთავარია, უკრაინის პრემიერლიგის ლიგის "კარპატიში" მიიწვიეს, მაგრამ პირველი შეკრების შემდეგ 22 წლის ქართველ პლეიმიკერს უკრაინელებმა მიუღებელი პირობები შესთავაზეს და ლიგელებს მეორე შეკრებაზე აღარ გაჰყვა.

ორიოდე დღის წინათ ჩვენ ვწერდით, რომ ესტონური ინტერნეტგამოცემა Err.es-ის ინფორმაციით, ბებლარიშვილს ქალაქ ტალინის "ფლორას" ხელმძღვანელობა

კვლევებში დაბრუნებას სთავაზობდა. გამოცემა უდავოდ შეცდა, როდესაც ქართველი ახალგაზრდის "ფლორასში" თამაშის შანსს 50/50-ზე აფასებდა.

შევეცდეთ, რომ ზაქარია, კლიმაშვილის მსგავსად, "სიონში" სეზონის დასრულებამდე დარჩება. "დინამოსთან" შეხვედრის შემდეგ ზაქარია ბებლარიშვილს მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

**– "სიონში" შენი გამორჩენა საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა...**

– ეს ჩემთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი იყო.

**– ანუ "სიონში" უკვე ჩაირიცხე?**

– "ფლორადან" გათავისუფლების ფურცელს ელოდებინ და მალე საჩემპიონატო განაცხადში შემთავსდები.

**– ესტონელებს შენში საკმაოდ დიდი საკომპენსაციო თანხა, 60 ათასი ევრო ეკუთვნის – ბოლნისელებს დიდი ბიუჯეტი არ აქვთ და ამხელა ფულს ისდიან?**

– საქმე ისაა, რომ "ფლორა" საკომპენსაციო თანხას ვეღარ მიიღებს.

**– რანაირად?**

– ერთ თვეში 23 წლის გაცხდები. ანუ თავისუფლად შემეძლო, ეს პერიოდი უგუნდოდ ეყოფილიყავი და მერე თავისუფალი აგენტის სტატუსით ნებისმიერ დაინტერესებულ კლუბში ჩავირიცხებოდი. ეს ესტონელებისთვისაც არ დამიძალავს.

უთხარი, რომ მათი მადლიერი ვიყავი, კარიერის აწყობასა და წინსვლაში ხელი შემეწყვეს და ცუდი დაშორების სურვილი არ მქონდა – ყველაფერი ისე გადავწყვიტეთ, ნორმალურ ხალხს რომ შეეფერება-მეთქი. გამოგეს, არ შემეწინაღმდეგნენ და შევთანხმდით. ადამიანურად მოიქცნენ.

**– ესტონეთის მესტრილიგის კლუბების ბიუჯეტი მინიმუმ მილიონი ევროა. ვიცით, რომ "ფლორას" შენი დატოვება**

**სურდა – ნუთუ მისაღები პირობები არ შემოთავაზეს?**

– ახალი კონტრაქტი რომ შემომთავაზეს, პირობების გაუმჯობესება მოვითხოვე, რაზეც უარი მითხრეს, არ შეგვიძლიაო და ცხადია, იქ დაბრუნებაზე უარი შევუთვალე.

**– როგორც ვიცი, ძალიან დაბალ ხელფასზე თამაშობდი...**

– ასეც იყო. საფეხბურთო კლუბ "ფლორასში" იმდენად დაბალი ხელფასი მქონდა, ევროკაპეშირის წევრ ძვირ ქვეყანაში ცხოვრება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ადრე მიხერულ თანხაზე იმიტომაც ვთამაშობდი, რომ მარტო ვიყავი, მაგრამ ახლა დაეოჯახი და ამის მიუხედავად, "ოქროს მთები" არ მომითხოვია, ელემენტარულ პირობებზე იყო ლაპარაკი. ამის გადახდაც არ ისურვეს და, ამიტომაც, გუნდიდან წამოვედი.

დაბალ ხელფასზე ესტონეთში ყოფნას ისევ ქართულ გუნდში თამაში მერჩივნა. ის მინც მეცოდინება, რომ გვერდში ჩემიანებს დავუდგე, და არა უცხოებს.

**– "სიონზე" უკეთესი მიწვევები არ გქონია?**

– იყო რამდენიმე ვარიანტი, მაგრამ "სიონის" წინადადება საუკეთესო აღმოჩნდა და საბოლოოდ, ბოლნისში თამაში ვარჩევინე.

**– იქნებ გვითხრა, ლეო-**

**ვის "კარპატიში" რატომ არ დარჩი?**

– შეკრების ბოლოს მიუღებელი წინადადებით მომმართეს და იმიტომ. ეს თემა წარსულია, დახურული საკითხია და მასზე ლაპარაკი აღარ მსურს. არადა, იმედინად მივდიოდი. რაც იყო, იყო, ჩემთვის მთავარია, ახლა თავი გამოვიჩინო და წინსვლა არ შევანერო.

**– "სიონში" როდემდე დარჩები?**

– ზაფხულამდე, მერე კი ვნახათ.

**ბ. ჯალალნიას**



გამოვიდა პირველი ტომი სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია – XXI საუკუნის საუკეთესო მენეჯერი". გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნის შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ.№68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველ ოთხშაბათ დღეს, დილის 9 საათზე, ბაქრაძის ქ.№6-ში (დიდუბე). ტელ. 599.573.322.

საბამოცემო ჯგუფი



## "ჩემი დინა და ჩემი მამა"

კვირფასო რედაქცია!

უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ჩემი წერილების გამოქვეყნებისათვის, რისთვისაც მკითხველები მადლიერებას გამოთქვამენ როგორც ჩემს, ასევე თქვენს მიმართაც!

ახლა კი მინდა გამომიქვეყნოთ ჩემი ნეკროლოგიური ესეე "ჩემი დინა და ჩემი მამა", რომელიც ეძღვნება ერთი წლის წინ გარდაცვლილ დიდებულ კოლხ ქალბატონს, სენაკის რაიონის სოფელ უშაფათის მკვიდრს მდინარა მურზას ასულ წურწუშია-ქვარცხავას, რომელიც დედობას გვიწვედა მე და ჩემს თანატოლებს. ქალბატონი მდინარა გახლდათ სოფლის თავკალი, სოფლის კოლორიტი, რომლის ადამიანური თვისებები, მოქალაქეობრივი შეგნება და შინაგანი სითბო ბევრად სცილდებოდა ჩვენი სოფლის ფარგლებს. მიუხედავად იმისა, რომ მატერი-ალურად დიდად არ ულხინდა, გამორიცხული იყო, რომ თუნდაც შემთხვევითი სტუმარი სათანადო პატივისცემის გარეშე გაეშვა. სულ-განათლებული მდინარა სამაგალითო გახლდათ როგორც საზოგადოების წევრი, სამაგალითო გახლდათ როგორც დინასახლისი...

ამიტომაც მიმანია, რომ მისი სიკვდილით მე მეორეჯერ დავკარგე დედა და საბოლოოდ დავობლდი. ჩემს ამ სულისკვეთებას კი ბევრი ჩემი თანასოფელი იზიარებს!

საუბედუროდ, მინც ვერ გაძღა სიკვდილი ქვარცხავების ოჯახის დაწოკებით და ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ ავტოავარიას ემსხვერპლა შესანიშნავი ახალგაზრდა, სოფლის თვალად აღიარებული 26 წლის მამუკა გურამის ძე ქვარცხავა.

ახლა მხოლოდ ამ ადამიანების სულებს ვესაუბრებით ხოლმე, როცა სანთლებს ვანთებთ მათ სახელზე სალოცავად გახაზირებულ ოთახის კუთხეში.

დიახ, ქალბატონი მდინარა წურწუშია-ქვარცხავა და მამუკა ქვარცხავა ის ადამიანები არიან, რომლებიც არა მხოლოდ მათ ოჯახს, არამედ სოფელს უკვებდა. სოფლის ძალა კი დიდია და, ვიმედოვნებ, რომ საერთო გულისტკივილს იმქვეყნიურ სასუფეველში გადასული ადამიანების სულები იგრძნობენ!

ნათელში იყოს მათი სულები!

**მერაბ ხუბუა,  
სენაკის რაიონი,  
სოფელი უშაფათი**



## ზურბო შამათავას მონატრება!

40 დღე გავიდა, რაც დაგეტოვებ და მარადიულობაში გადაინაცვლე. ცრემლითა და მოუშუშებელი ტკივილით მოვიდა გაზაფხული. ყველას ძალიან დაგვაკლდი, გვენატრება შენი იუმორი და გვიჭირს იმის დაჯერება, რომ ჩვენს გვერდით აღარ ხარ. მარადიული ახალგაზრდობა გარეგნა ზეცამ! შენ მხოლოდ 25 წელი იცოცხლე ამქვეყნად, მაგრამ შენი წარმატებული და იუმორით სასე ცხოვრებით, შექმნილი ყველასათვის დიდი სევდა, ცრემლი და ტკივილი დაგეტოვებინა. მნელია ნუგეში შენი მშობლებისთვის, საფიცარი დისთვის, და შენი მოიმედე ბებია-ბაბუასთვის. ჩვენ ყოველთვის ვილოცებთ შენთვის! ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უბოროტო სული!

შორენა, თათია, თორნიკე, თინათ

<p>ISSN 1987-8966 ilori</p> <p>ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე</p>	<p><b>რედაქციის მისამართი:</b> თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95</p>	<p><b>მთავარი რედაქტორი:</b> როლანდ ჯალალნიას ტექნიკური რედაქტორი: მინილ ნოდრიშვილი გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27 სარედაქციო საბჭო: თამარ ქორიკე, ზურაბ ჯამბურია, თინათი კუპლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, დავით ქობალია, ბიორბი სიჭინავა, ნუზუარ სალახია (ბალი)</p>	<p>გახეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე <b>WWW.saqinform.ge</b></p>
--	---	--	--